The results of the comparative analysis show that Danube and Romanian ports offer the most immediate capacity, Baltic route remains the most expensive option. The ports of Varna and Burgas have smaller capacity but viable for Ukrainian exports and require improved cross-border rail connectivity. Middle Corridor avoids Russian interference but faces capacity constraints. All routes require significant investment to reach full potential.

The technical and economic indicators of alternative maritime logistics routes for Ukrainian exports are analysed in Table 2.

Table 2

The technical and economic indicators of alternative maritime logistics routes for Ukrainian exports

Route	Estimated costs (\$/ton)	Transit time	Required investments	Best for
Danube River Ports (Reni, Izmail, Ust-Dunaisk)	\$40-80	5-10 days	- Dredging to 7m - New grain terminals - Border customs tech	- Grain - Iron ore - Containers
Romanian Ports (Constanța)	\$50-100	7-14 days	- Ukrainian storage facilities - New rail spurs - Ferry terminals	- Bulk grains - Oil seeds - Coal
Bulgarian Ports (Varna, Burgas)	\$60-110	10-15 days	- Grain terminals - Gauge-changing facilities	- Fertilizers - Steel products
Baltic Route (via Poland to Gdańsk/Klaipėda)	\$150-200	10-20 days	- Broad-gauge rail extension - Transshipment hubs	- High-value agriproducts - PMCG cargo
Middle Corridor (via Georgia/Turkey)	\$80-120	15-25 days	- Poti port expansion - Batumi grain terminal	- Niche markets - Asian-bound cargo

Source: authors' generalisations based on CAREC, (2022); Danube Commission, (2023); OECD, (2023); Port of Constanța, (2023); Port of Burgas, (2023); Port of Varna, (2023); Port of Gdańsk, (2023); Port of Klaipėda, (2023).

The table shows that for grains (priority) best option is Danube and Constanța combo, keep under \$90/ton, temporary storage near Galati. For steel (heavy industry), best option is Baltic route despite costs due to railcar availability for slabs. For containerized goods emerging solution – Danube barge-container hybrids. The availability of appropriate port infrastructure in Bulgarian ports facilitates the development of fertiliser and steel exports. The longest transit times are in the Middle Corridor, which is focused on cargo transport to Asia.

For Ukraine’s alternative maritime logistics routes, it is important to study geopolitical risks, including an assessment of threat levels, actors involved, and mitigation measures (Table 3).

Table 3

Geopolitical risk assessment of Ukraine’s alternative export routes

Route	Risk level	Primary threats	Actors involved	Risk mitigation strategies	Stability outlook (2025-26)
Danube River Ports (Reni, Izmail, Ust-Dunaisk)	Moderate	- Russian drone strikes - Border delays - Romanian protests	- Russian military - EU border agencies - Local farmers	- NATO river patrols - Night navigation bans - EU customs fast-tracking	Improving (with EU investment)
Romanian Ports (Constanța)	Medium-High	- Port congestion - Russian sabotage risk - Labor strikes	- Russian intelligence - Port unions - Moldovan transit issues	- Cybersecurity upgrades - Dedicated Ukrainian terminals - NATO port protection	Stable but vulnerable
Bulgarian Ports (Varna, Burgas)	Medium	- Russian influence ops - Corruption delays - Limited capacity	- Pro-Russian groups - Customs officials - Rail operators	- EU monitoring teams - Transparency initiatives - US-funded inspections	Uncertain (domestic politics)
Baltic Route (via Poland to Gdańsk/Klaipėda)	Low	- Polish trucker protests - Belarusian hybrid threats - Gauge	- Polish unions - Lukashenko regime - Russian hackers	- Military convoy escorts - Rail electrification - EU trade guarantees	Highly stable

Route	Risk level	Primary threats	Actors involved	Risk mitigation strategies	Stability outlook (2025-26)
		change delays			
Middle Corridor (via Georgia/Turkey)	High	- Georgian political instability - Turkish Straits congestion - Abkhazian conflict spillover	- Georgian Dream party - Turkish authorities - Russian peacekeepers	- US-Georgia defense pact - Alternative Caspian routes - Insurance pools	Volatile (election risks)

Source: authors' generalisations based on IMO, (2023).

As the table shows, the most significant geopolitical risk is the military threat from Russia. Direct military threats (drones, mines) may be experienced on the Danube/Constanta. Russia's political and economic influence may also be exerted on Bulgaria. The Middle Corridor is characterised by proxy conflicts and a lack of protection from the Alliance. The Baltic route is safer (full coverage under NATO Article 5). The Danube is partially patrolled (Romanian/Bulgarian naval forces). Internal factors of instability include protests by Romanian and Polish farmers (price competition) and changes in political forces.

To address maritime limitations, Ukraine has embraced multimodal logistics involving rail, road, river, and maritime transport. The EU's "Solidarity Lanes" initiative played a key role by (European Commission, 2023):

- improving customs processes at borders;
- enhancing rail interoperability;
- supporting investment in logistics hubs and terminals;

public-private partnerships have also emerged, particularly in agri-export logistics using mobile grain silos and containerization to facilitate quick transfers. International diplomacy facilitated temporary maritime corridors, such as the UN-Turkey brokered Black Sea Grain Initiative (UNCTAD, 2023a). While Russia later exited the deal, it demonstrated the potential of legal mechanisms to reopen maritime access. Ukraine has also appealed to

the International Maritime Organization and invested in rebuilding legal protections for merchant vessels (IMO, 2023).

The transformation of Ukraine's maritime logistics in response to the Russian invasion demonstrates the country's adaptability under extreme constraints. However, the transition from traditional Black Sea shipping routes to alternative corridors has revealed both strategic advantages and enduring limitations.

The rapid development of the Danube corridor and the redirection of cargo to EU ports underscore Ukraine's capacity to pivot under duress. The increase in export volumes through Izmail and Reni, for instance, reflects both operational resilience and the importance of geographic proximity to NATO territory, which offers a layer of relative safety. This shift has also accelerated Ukraine's integration with the European Union's transport and customs systems, setting the stage for longer-term alignment with the EU's Trans-European Transport Network (TEN-T).

Furthermore, multimodal logistics solutions – combining rail, road, river, and sea – have provided Ukraine with greater flexibility. The collaboration with EU institutions via the Solidarity Lanes initiative enabled crucial short-term relief, while also prompting investment in border and terminal infrastructure.

Despite these gains, the alternative routes face notable constraints. Danube ports, while safer, were initially designed for smaller-scale regional trade and lacked the capacity for large-scale export flows. Although investment and dredging have improved throughput, congestion remains a chronic issue. Similarly, rail logistics through Poland and Slovakia have faced problems due to differences in track gauge, limited rolling stock, and delays at customs checkpoints.

Moreover, increased reliance on EU ports such as Constanța and Gdańsk has introduced competition with domestic EU exporters, raising concerns over prioritization, fairness, and logistics coordination. These factors indicate that while alternative logistics solutions are functional, they are not yet optimized for sustained high-volume use without further systemic upgrades.

Legal frameworks and security guarantees play an increasingly critical role in the sustainability of maritime logistics. The brief success of the Black Sea Grain Initiative proved that international diplomacy could temporarily restore trade flows, even in a conflict zone. However, Russia's withdrawal from the agreement in 2023 exposed the fragility of such arrangements. Long-term solutions require robust legal protections for maritime navigation, possibly enforced through international bodies like the International Maritime Organization.

Security risks also persist, particularly for vessels operating near or within contested waters. The high cost of maritime insurance and the limited availability of shipowners

willing to service Ukrainian exports reflect this continued uncertainty. While Ukrainian naval innovation and limited security corridors have helped, the overall logistics environment remains vulnerable to escalation.

The reorientation of Ukraine's logistics network is not only a practical response to war but also a significant geopolitical shift. It deepens Ukraine's reliance on and integration with the EU, while reducing its exposure to Russian-controlled or contested regions. In the long term, this could reshape regional trade dynamics in Eastern Europe and the Black Sea basin.

Conclusions, proposals, recommendations

The full-scale Russian invasion has forced Ukraine to radically restructure its maritime logistics. While the loss of access to major Black Sea ports posed an existential threat to Ukraine's export economy, the country has successfully developed alternative logistics strategies using the Danube River, EU ports, and multimodal transportation. These alternatives have proven vital in maintaining a lifeline for Ukraine's agricultural and industrial exports and in sustaining global food supply chains. However, they also revealed significant infrastructural, logistical, legal, and geopolitical vulnerabilities. Short- and medium-term alternatives are functioning under pressure, they are not yet sustainable without ongoing investment, modernization, and diplomatic support. Ukraine's logistics network is currently held together by a patchwork of stopgap solutions, EU solidarity, and rapid adaptation. To build long-term resilience, a strategic transformation is required – not only to survive the current war but also to thrive in the postwar era.

For strategic development of the Danube River ports needs expand port infrastructure in Reni, Izmail, and Ust-Dunaisk; modernize customs and handling facilities to reduce congestion; collaborate with Romania and Moldova on dredging and navigation agreements. It is necessary to full integration with the EU Transport Network (TEN-T) due to prioritize upgrades to railway and road links connecting Ukraine with Poland, Slovakia, and Romania; harmonize customs procedures and border management to enable seamless flow of goods; convert key border terminals to accommodate EU rail gauges. In order to effectively realisation of maritime insurance and security mechanisms it is advisable to work with international partners to establish maritime risk insurance schemes for ships operating in or near Ukrainian waters, explore the creation of internationally protected humanitarian maritime corridors. Actively implement of legal and diplomatic initiatives by pursue long-term agreements with international organizations (UN, IMO) to enforce the freedom of navigation, strengthen Ukraine's legal framework for port operation, customs digitization, and international logistics standards. Using public-private investment in logistics infrastructure contribute to encourage domestic and foreign investment in grain terminals, cold storage, mobile silos, and digital logistics platforms; launch public-private

partnerships for building container transfer facilities in Danube and western border regions.

For the Government of Ukraine we offer treat logistics infrastructure as a matter of national security; create a long-term maritime logistics development strategy beyond wartime needs; improve coordination among ministries, customs services, and port authorities. For the European Union countries we offer maintain and expand the Solidarity Lanes initiative, offer financial and technical assistance for cross-border logistics modernization, support Ukraine’s full integration into EU transport and trade systems. For international donors and institutions we offer provide grants and loans focused on sustainable logistics infrastructure; facilitate technical expertise for smart ports, customs digitalization, and climate-resilient logistics solutions; support training programs for logistics operators in crisis conditions. For private sector stakeholders we offer create joint ventures in terminal operations, shipping, and container logistics, invest in alternative transport corridors and build contingency supply chain plans, advocate for international maritime protection mechanisms for cargo shipping.

Bibliography

1. CAREC (2022). *Middle Corridor Assessment*. Transport Connectivity on the Eurasian transit routes. Retrieved: https://www.carecprogram.org/uploads/19th_TSSC_CAREC-Middle-Corridor-Assessment-Report.pdf. Access: 15.05.2025.
2. Danube Commission. (2023). *Infrastructure Capacity Report for Lower Danube Ports*. Retrieved: https://www.danubecommission.org/uploads/doc/2024/Market_observation/en_market_2023.pdf. Access: 14.05.2025.
3. European Commission (2023). *Solidarity Lanes: EU-Ukraine Logistics Coordination Platform*. Retrieved: https://commission.europa.eu/topics/eu-solidarity-ukraine/eu-assistance-ukraine/eu-ukraine-solidarity-lanes_en. Access: 14.05.2025.
4. FAO (2023). *The Importance of Ukrainian Grain Exports for Global Food Security*. Food and Agriculture Organization of the United Nations. Retrieved: <https://openknowledge.fao.org/server/api/core/bitstreams/3d62caef-1749-404e-8217-6ac4783a135b/content>. Access: 14.05.2025.
5. IMO (2023). *Ukraine and Maritime Safety: Legal Measures and Protection*. Retrieved:

- [https://wwwcdn.imo.org/localresources/en/KnowledgeCentre/IndexofIMOResolutions/AssemblyDocuments/A.1183\(33\).pdf](https://wwwcdn.imo.org/localresources/en/KnowledgeCentre/IndexofIMOResolutions/AssemblyDocuments/A.1183(33).pdf). Access: 14.05.2025.
6. International Transport Forum (2023). *Rebuilding Ukraine's Transport Infrastructure: A Strategic Outlook*. OECD Publishing. Retrieved: https://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/reports/2023/05/itf-transport-outlook-2023_4466cd78/b6cc9ad5-en.pdf. Access: 14.05.2025.
 7. OECD (2023). *Realising the Potential of the Middle Corridor*. OECD Publishing. Retrieved: <https://doi.org/10.1787/635ad854-en>. Access: 14.05.2025.
 8. Port of Burgas (2023). *Annual Capacity Report*. Retrieved: <https://port-burgas.bg>. Access: 15.05.2025.
 9. Port of Constanța (2023). *Annual Capacity Report*. Retrieved: <https://www.portofconstantza.com/pn/en>. Access: 15.05.2025.
 10. Port of Gdańsk (2023). *Annual Capacity Report*. Retrieved: <https://www.portgdansk.pl/en>. Access: 15.05.2025.
 11. Port of Klaipėda (2023). *Annual Capacity Report*. Retrieved: <https://portofklaipeda.lt/en>. Access: 15.05.2025.
 12. Port of Varna (2023). *Annual Capacity Report*. Retrieved: <https://port-varna.bg/en/Nachalo/Home>. Access: 15.05.2025.
 13. UNCTAD. (2023a). *Impact of the Black Sea Grain Initiative on Global Food Security*. Retrieved: https://unctad.org/system/files/official-document/osginf2023d3_en.pdf. Access: 14.05.2025.
 14. UNCTAD (2023b). *Review of Maritime Transport 2023: The Impact of Geopolitical Tensions on Shipping*. United Nations Conference on Trade and Development. Retrieved: https://unctad.org/system/files/official-document/rmt2023overview_en.pdf. Access: 14.05.2025
 15. USDA (2023). *Grain and Oilseed Export Disruptions from the Black Sea Region*. U.S. Department of Agriculture. Retrieved: <https://www.fas.usda.gov/sites/default/files/2024-05/2023%20Ag%20Export%20Yearbook%20Final.pdf>. Access: 14.05.2025.

GLOBALIZATION AND SMALL STATES: NEW OPPORTUNITIES AND/OR STRATEGIC CHALLENGES IN THE GLOBAL NETWORK

Maia Gamsakhurdia

Doctor of International Relations

Chief Scientist of Scientific-research Center of

David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Abstract

The paper examines the impacts of globalization on small countries, which encompasses the most important process of transformation of the modern world, which has fundamentally transforming nature of international relations.

Globalization is a multidimensional process that encompasses economic integration, technological advancement, cultural exchange, and the emergence of new security mechanisms. While this process opens doors to new developmental opportunities for many countries, its impact on small states is particularly dynamic and often contradictory.

On the one hand, small countries benefit from globalization through opportunities for economic growth, access to investment flows, the implementation of technological progress, and the strengthening of cultural pluralism. The development of digital connectivity and electronic communication has enabled small states to integrate into global markets and participate in transnational projects.

On the other hand, this process brings serious strategic challenges: erosion of national sovereignty, one-sided dependence on global markets, increased vulnerability to financial crises and climate threats. Additionally, small countries are often subject to political pressure from global powers or used as pawns in geopolitical power struggles.

In the era of globalization, the response of small states requires an innovative strategic vision. They need effective participation in international institutions, deeper regional cooperation, and optimization of digital resources. Furthermore, flexible foreign policy is essential, allowing them to capitalize on emerging opportunities and minimize systemic risks.

As a result, this paper raises the central question: are small states becoming agile and competitive players in the global network, or are they being further marginalized in the contemporary global order? The conclusion is that their success depends on making the right strategic choices and having the capacity to adapt under the conditions of globalization.

Keywords: *Globalization, Small States, Economic Integration, Sovereignty, Strategic Challenges, Digital Connectivity, Technological Progress, Regional Cooperation, Adaptation, Competitiveness, Political Pressure.*

ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემები და მათი როლი ECO-ის ქვეყნების ეკონომიკურ თანამშრომლობაში

ნონა კუხიანიძე

*კომპიუტერული ტექნოლოგიების დეპარტამენტის მოწვეული სპეციალისტი, აკაკი
წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

თეიმურაზ ფესტვინიძე

*კომპიუტერული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, აკაკი
წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

ნოდარი ჭანტურია

*კომპიუტერული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, აკაკი
წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

აბსტრაქტი

ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (ECO) წარმოადგენს რეგიონალურ გაერთიანებას, რომელიც მიზნად ისახავს წევრ ქვეყნებს შორის ეკონომიკური, ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის განვითარებას. ორგანიზაცია აერთიანებს აზიის, შუა აღმოსავლეთისა და კავკასიის სახელმწიფოებს, რომელთა გეოგრაფიული მდებარეობა მნიშვნელოვან სატრანზიტო პოტენციალს ქმნის. ამ კონტექსტში ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემების განვითარება ერთ-ერთ მთავარ საყრდენად გვევლინება, რაც იძლევა შესაძლებლობას ეკონომიკური ურთიერთკავშირების გაღრმავებისთვის.

სტატია იკვლევს სატრანზიტო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის კრიტიკულ როლს საერთაშორისო ვაჭრობაში, ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას ეკონომიკური ზრდისა და რეგიონული ინტეგრაციისთვის. სატრანსპორტო სისტემის გავლენა ვაჭრობასა და ეკონომიკურ ურთიერთობებზე მრავალასპექტიანია, რაც აუმჯობესებს ბაზრის ხელმისაწვდომობას, ლოგისტიკურ ეფექტიანობასა და რეგიონულ თანამშრომლობას, შედეგად ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნასა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

მიუხედავად სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მნიშვნელობის აღიარებისა, გარკვეული გამოწვევები მაინც არსებობს, განსაკუთრებით განვითარებად რეგიონებში. სტატია იკვლევს ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (ECO) წევრი სახელმწიფოების წინაშე მდგარ დაბრკოლებებს, ყურადღებას ამახვილებს საქართველოზე, როგორც სატრანზიტო ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან მოთამაშეზე. საქართველო, მართალია არ არის ECO-ს წევრი ქვეყანა, მაგრამ წარმოადგენს მნიშვნელოვან სატრანზიტო ჰაბს ორგანიზაციის წევრი ქვეყნებისთვის.

კვლევა სწავლობს ECO-ს წევრ ქვეყნებს შორის გაძლიერებული თანამშრომლობის პოტენციურ გზებს, რაც მოიცავს ინფრასტრუქტურაში ინვესტიციებს, რეგულაციების ჰარმონიზაციას, რეგიონულ სატრანსპორტო დერეფნებს, მრავალმოდულურ ტრანსპორტს და საჯარო-კერძო პარტნიორებებს.

შესაბამისად, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში ინვესტიცია იქცევა ფუნდამენტურ კომპონენტად ECO-ს წევრ ქვეყნებს შორის ეკონომიკური განვითარებისა და ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ გამოწვევები, მაგალითად შეზღუდული დაფინანსება, კვლავ არსებობს, მაინც საკმაოდ ბევრი შესაძლებლობაა თანამშრომლობისთვის, რათა გადაილახოს ეს დაბრკოლებები და გაუმჯობესდეს რეგიონის კავშირები. სტატია ხაზს უსვამს სატრანზიტო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პრიორიტეტიზაციის გადაუდებელ საჭიროებას ECO-ს რეგიონში ეკონომიკური ზრდისა და ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით.

საკვანძო სიტყვები: *ECO, ტრანსპორტი*

საზღვაო მცირესიმძლავრიანი ძრავების ეფექტური მაჩვენებლების გაუმჯობესება გაზობრივი საწვავის გამოყენებით

კობა ლორთქიფანიძე

დოქტორანტი

რომანოზ თოფურია

ასოცირებული პროფესორი

თეიმურაზ კოჩაძე

პროფესორი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შიგაწვის ძრავების წარმოების და გამოყენების თანამედროვე მასშტაბებმა მკვეთრად გაზარდა მათი ზემოქმედება გარემომცველ გარემოზე-დედამიწაზე, კერძოდ ცოცხალი ორგანიზმების საარსებო პირობებზე.

შიგაწვის ძრავების გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებების რაოდენობა ისეთია, რომ მათ მნიშვნელოვნად შეუძლიათ შეცვალოს ჰაერის შემადგენლობაში შემავალი ქიმიური ნივთიერებების კონცენტრაცია, ასევე ზემოქმედებას განიცდის წყალი და ნიადაგი, ისინი საშიში ხდებიან უპირველეს ყოვლისა, ადამიანის და სხვა ბიოლოგიურ არსებათა სიცოცხლისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დღეისათვის აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს დიზელის ძრავისათვის წვის პროცესის სრულყოფის ისეთი მეთოდის დამუშავება, რომლის რეალიზების დროსაც ჰაერის სიჭარბის კოეფიციენტი α_i და ტემპერატურის T_i ლოკალური მნიშვნელობები არ იქნება იმ დიაპაზონებში, რომლებშიც აზოტის ჟანგულები და ჭვარტლი წარმოიქმნება. მრავალრიცხოვანი კვლევების შედეგების თანახმად, ასეთი შედეგი მიიღწევა ახალი, ალტერნატიული საწვავების ან საწვავებზე სპეციალიზირებული დანამატების გამოყენების შემთხვევაში, წვის პროცესისათვის ჰომოგენური სამუშაო ნარევის შექმნის პირობებში. ამჯერად როგორც შეკუმშული ისე თხევადი „ბუნებრივ გაზის“ ან სხვა სახის დანამატების დამატებით ძირითად საწვავზე.

ალტერნატიული საწვავების გამოყენება, მართალია, ამცირებს მავნე კომპონენტების გამოყოფას, მაგრამ სრულად არ გამორიცხავს მათ არსებობას (განსაკუთრებით აზოტის ჟანგულები). ამას ადასტურებს პროფესორების: T. Lieuwen, V. Yang, R. Yetter, A. Boehman (აშშ), O. Le Corre (საფრანგეთი), S. Sazhin (ინგლისი), რ. ქავთარაძე (საქართველო) და სხვათა გამოკვლევები.

აღნიშნული მიმართულებების ანალიზი აჩვენებს, რომ აზოტის ჟანგულებისა და ქვარტლის კონცენტრაციების შემცირების მეთოდებს შორის ე. წ. `მიზნების კონფლიქტია~, რაც გამოიხატება იმაში, რომ ერთის (მაგალითად [NOx]-ის) შემცირება იწვევს მეორის (ქვარტლის) კონცენტრაციის გაზრდას და პირიქით. ამის გამო შიგაწვის ძრავების მკვლევარებიც და მწარმოებლებიც იძულებულნი არიან, აირჩიონ კომპრომისული გზა, რომელიც ითვალისწინებს ერთ-ერთი მათგანის შემცირებას მეორის გაზრდის ხარჯზე. პრობლემის გადაჭრას ართულებს ის ფაქტიც, რომ ძრავის ციკლის მაქსიმალური ტემპერატურის შემცირებას, ანუ [NOx]-ის მინიმიზაციას მიყვავართ მქც-ის შემცირებისაკენ (ანუ საწვავის ხარჯის გაზრდისაკენ).

ექსპერიმენტული კვლევების შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ საწვავის გაფრქვევისას, წინასწარი გაჯერება გაზით ამცირებს თხევადი ფაზის კონცენტრაციას ჭავლის ცენტრალურ ნაწილში, აზავებს მას ოქსიდიზატორთან და ზრდის წვეთოვანი სუსპენზიის განივ გადაცემას. ეს ფაქტორი ხელს უწყობს ნარევის ფორმირებისა და წვის პროცესის გაუმჯობესებას. თუმცა, საწვავში გაზის არსებობა უარყოფითად მოქმედებს საწვავის გაფრქვევაზე და ამახინჯებს საწვავის მიწოდების კანონზომიერებას. გარდა ამისა, საწვავში გაზის დანამატის შეყვანა მოითხოვს საწვავის აღჭურვილობისა და მთლიანად დიზელის ძრავის საფუძვლიან მოდერნიზაციას. მაგალითად, ატომიზატორის საწვავზე გაზის დანამატის მისაწოდებლად საჭიროა კომპრესორი, აქედან გამომდინარე, საყოველთაოდ მიღებულია, რომ ამ მეთოდების პრაქტიკული განხორციელება ეკონომიკურად არ არის მიზანშეწონილი. ამიტომ უმჯობესია ცალკე მოხდეს გაზობრივი საწვავის შეტანა ძრავის ცილიბდრში და განხორციელდეს გარე ნარევეწარმოქმნის პროცესი.

საერთაშორისო მკაცრი გარემოსდაცვითი სტანდარტების მიხედვით, LPG აირის გამოყენება შეიძლება იყოს საუკეთესო ვარიანტი მრავალი გემისთვის. საზღვაო გემის ძრავების საწვავის მაღალმა ფასებმა და ეკოლოგიური პარამეტრების გაუარესებამ ადგილი უნდა დაუთმოს ახალი ტექნოლოგიების განვითარებას ეკონომიურ და ეკოლოგიურად სუფთა საწვავზე, როგორცაა ბუნებრივი თხევადი აირი. ბუნებრივი თხევადი აირი არის პოტენციური შემცველი გარემოსდაცვითი პარამეტრების, უსაფრთხოების, საიმედოობისა და ეკონომიურობის თვალსაზრისით. ნავთობურ თხევად საწვავებთან შედარებით, ბუნებრივი თხევადი აირი გახდა მნიშვნელოვანი საწვავი, რომელსაც უმნიშვნელოვანესი გავლენა აქვს გლობალურ ენერჯიაზე. ბუნებრივი თხევადი აირის რიგი თვისებების გამო, იგი ითვლება ერთადერთ ალტერნატიულ საწვავად, რომელსაც აქვს მომავალი. კვლევებმა აჩვენა, თხევადი ბუნებრივი აირის (LPG) საწვავად გამოყენების შემთხვევაში იძლევა მნიშვნელოვნად ნახშირორჟანგის (CO₂) შემცირებას და აზოტის ჟანგულების NOx-ის გამოყოფას. LPG-ზე მომუშავე ძრავებს შეუძლიათ გოგირდის ოქსიდის თითქმის

ნულოვანი ემისიების გამოყოფა, რაც აქტუალურია 2015 წლის ECA ან ECA რეგულაციების ძალაში შესვლის შემდგომ. LPG-ში ნახშირბადის დაბალი შემცველობის გამო, მავნე ნახშირორჟანგის რაოდენობის გამონაბოლქვში შემცირება შესაძლებელია თითქმის 25-30 პროცენტით.

დიზელის ძრავების კონვერტაცია ხდება როგორც გაზოდიზელის ციკლით, ისე გაზობრივ საწვავზე მომუშავე ნაპერწკლული ანთებით. კონვერტირებული გაზოდიზელის მუშაობა ტექნიკურად ადვილია, ამის გარდა ინარჩუნებს შესაძლებლობას საჭიროებისამებრ იმუშაოს სტანდარტული დიზელის პროცესით, ესე იგი, მხოლოდ დიზელის საწვავზე. გაზოდიზელის ძრავებშიც გამოყენებულია დატვირთვის ხარისხობრივი რეგულირება. იმავდროულად მიზანშეწონილია განხორციელდეს შერეული რეგულირება, რომელიც უზრუნველყოფს თავიდან იქნას აცილებული დიდად გამდიდრებული ნარევის წარმოქმნა, რომელიც დაკავშირებულია C_nH_m -ის მნიშვნელოვან გაზრდასთან გამონაბოლქვებში და შესაბამისად საწვავის ეკონომიურობის გაუარესებასთან.

ასევე მნიშვნელოვანია, ამფეთქებელი საწვავის, როგორც დოზირების, ისე შეფრქვევის წინსწრების კუთხის გავლენა გაზოდიზელის მუშაობაზე.

ამფეთქებელი საწვავის დოზირების გავლენის შეფასებისათვის შემოვიტანოთ დინამიურობის ფაქტორის ცნება, რომელიც გვიჩვენებს თითოეული რეჟიმისათვის სამუშაო ნარევი რა რაოდენობის ამფეთქებელი საწვავია და ის გამოვსახოთ

$$K = G_{di} / G_{gi}$$

სადაც, G_{di} - ამფეთქებელი საწვავის რაოდენობაა, G_{gi} - გაზობრივი საწვავის რაოდენობა.

ასევე მნიშვნელოვანია ჰაერის სიჭარბის ექვივალენტური კოეფიციენტის განსაზღვრა,

$$\alpha_{\text{ექვ}} = \frac{L}{m_g l_g + m_d l_d + m_i l_i}$$

სადაც m_g - გაზობრივი საწვავის რაოდენობა;

l_g - გაზობრივი საწვავის სრული წვისათვის საჭირო ჰაერის რაოდენობა;

m_d - თხევადი საწვავის რაოდენობა;

l_d - თხევადი საწვავის სრული წვისათვის საჭირო ჰაერის რაოდენობა;

m_i - ეთანოლის რაოდენობა;

l_i - ეთანოლის საწვავის სრული წვისათვის საჭირო ჰაერის რაოდენობა;

L-ცილინდრში მოხვედრილი ჰაერის რაოდენობა.


ფართო ლიტერატურული მიმოხილვიდან გამომდინარეობს, რომ უახლეს მომავალში იგეგმება გემის დიზელების გადაყვანა შეუქმნულ თხევად აირზე (LPG).

ამ შემთხვევაში თუ განხორციელდება თხევადი აირის და ამფეთქებელი დიზელის საწვავისგან შემდგარი სამუშაო ნარევის მომზადება წარიმართება გაზოდიზელის ციკლი გარე ნარევეწარმოქმნით, სადაც მნიშვნელოვანია ამფეთქებელი საწვავის შერჩევა, რომელსაც ექნებოდა დაბალი თვითაალების ტემპერატურა, რაც ამცირებს თვითაალების შეფერხების პერიოდს, აუმჯობესებს შიგა ნარევეწარმოქმნის პროცესს და ძრავში განხორციელებული ციკლი უახლოვდება ოტოს ციკლს, რაც ზრდის დიზელის ეკოლოგიურ და ეფექტურ მაჩვენებლებს, როგორც სტანდარტულ საწვავზე ისე შეკუმშულ ბუნებრივ გაზის საწვავზე მომუშავე ძრავთან შედარებით, სადაც ამფეთქებელ საწვავად გამოიყენება დიზელის საწვავი. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან პარამეტრს წარმოადგენს სითბოგამოყოფის სიჩქარე (სითბოგამოყოფის ინტენსივობა), რომლის გაზრდა ამცირებს წვის ხანგრძლივობას, რაც ნიშნავს სითბოს დანაკარგების შემცირებას და შესაბამისად იზრდება ძრავის ეკონომიურობა და მცირდება გამონაბოლქვის ბოლვიანობა.

ამ მიზნით ჩატარდა თეორიული კვლევა, სადაც გაანგარიშებულია სითბოგამოყოფის სიჩქარის მნიშვნელობები ნახევრად ემპირიული ფორმულებით.

სითბოგამოყოფის სიჩქარის გაანგარიშება ჩატარდა ნეიმანის და გონჩარის ნახევრად ემპირიული ფორმულების საფუძველზე, სადაც აღნიშნული პარამეტრების გაანგარიშება მოხდა ორი ვარიანტისთვის:


1. სტანდარტული დიზელის საწვავის გამოყენებისას. ნახ.1.
2. ბუნებრივი თხევადი საწვავი + ამფეთქებელი დიზ. საწვავი. ნახ. 2.



ნახ.1. წვის პროცესის პარამეტრების დამოკიდებულება დროზე

სითბოგამოყოფის სიჩქარის გაანგარიშება ხდება სტანდარტული დიზელის საწვავის შემთხვევაში, როდესაც წვის პროცესის ხანგრძლივობა $\tau_{\text{წვ}}=0,0042$, ხოლო წვის მაქსიმ. სიჩქარის შესაბამისი მომენტი $\tau_{\text{მაქ}}=0,000250$

როგორც ნახ.1.-ის ანალიზიდან ჩანს, წვის პარამეტრები დიზელის საწვავის შემთხვევაში ნეიმანის ფორმულით: კერძოდ წვის სიჩქარე იცვლება 476,19 -დან 0,00- მდე, ხოლო საწვავის სრული ამოწვა 0,00-დან 1,00-მდე დროის 0,00-დან 0,0042 წმ-ის განმავლობაში, ხოლო გონჩარის ფორმულით წვის სიჩქარე დასაწყისში 0,00 და წვის სიჩქარე დასასრულისათვის შეადგენს 0,003, საწვავის ამოწვა 0,00-დან 0,999991-მდე, წვის დროის 0,0042 წმ.



ნახ. 2. წვის პარამეტრების დამოკიდებულება დროზე

სითბოგამოყოფის სიჩქარის გაანგარიშება. თხევად გაზობრივ საწვავს + ამფეთქებელი დიზელის საწვავი((10-12)%. ნახ.2.

წვის პროცესის ხანგრძლივობა $\tau_{\text{წვ}}=0,00095$

წვის მაქსიმ. სიჩქარის შესაბამისი მომენტი $\tau_{\text{მაქ}}=0,000250$

ასევე ნახ.2.-დან ჩანს, წვის პარამეტრების ცვლილება გაზობრივი საწვავის შემთხვევაში, წვის სიჩქარე ნეიმანის ფორმულით იცვლება 2105,26-დან 0,00-მდე, ხოლო საწვავის ამოწვა 0,00-დან 1,00-მდე დროის 0,00095 წმ განმავლობაში, ხოლო იგივე პარამეტრების ცვლილება გონჩარის ფორმულით გაანგარიშების შემთხვევა-

ში წვის სიჩქარე იცვლება 0,00-დან 340,04-მდე. საწვავის ამოწვა კი იცვლება 0,00-დან 0,893-მდე.

ზემოთ მოყვანილი მნიშვნელობების შედარების ანალიზის თანახმად გაზობრივ თხევად საწვავზე დიზელის ძრავის მუშაობისას წვის პარამეტრების მაქსიმალური მნიშვნელობა მნიშვნელობა მიიღება(ნეიმანის და გონჩარის) წვის 0,00095 დროის შულებში, ხოლო დიზელის საწვავის შემთხვევაში 0,0042 წმ -ს განმავლობაში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ გაზობრივი თხევადი საწვავის შემთხვევაში სითბოგამოყოფა უფრო ინტენსიურია - დაახლოებით 30%-მდე მეტი, ვიდრე დიზელის საწვავის შემთხვევაში, რაც ნიშნავს, წვის პროცესის ხანგრძლივობა მცირდება 0,0042 წმ-დან 0,00095 წმ-მდე გაზის საწვავისათვის.

მაშასადამე იზრდება ეკონომიურობა და მცირდება ბოლვიანობა, რადგანაც არ მოიხმარება საწვავის ის რაოდენობა, რომელიც უნდა დამწვარიყო გაფართოების პროცესში.

ბიბლიოგრაფია

1. Pfoser S., Aschauer G., Simmer L., Schauer O.
Facilitating the implementation of LNG as an alternative fuel technology in landlocked Europe. A study from Austria. Research in transportation Business and management. 2016. Vol.18, p.77-84
2. P.3. Кавтарадзе. Теплофизические процессы в дизелях, конвертированных на природный газ и водород-М.: Изд-во МГТУ им Н.Э. Баумана, 2011.-238с.: ил. ISBN 978-5-7038-3482-4
3. В. Л. Жданов, Е. А. Григорьева, А. Н. Карасев; Экологические проблемы автомобильного транспорта, Кемерово : Кузбассвуиздат, 2014, p 202
4. R. Topuria, M. Lezhava, Z. Shubladze, J. Sharadze, A. Katsadze. The prospects for the use of liquefied gas in maritime in transport. VIII INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE. HTGH TECHNOLOGIES BULGARIA. YEAR –VIII, ISSUE- 1(11), 2023. P 97-99.

საერთაშორისო ტურიზმის სატრანსპორტო მომსახურების პრობლემები საქართველოში

ანზორ დვადუ

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი

ლელა დვადუ

*ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასისტენტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

აბსტრაქტი

საქართველოს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით და არსებული ბუნებრივი, ისტორიული და კულტურული რესურსებით გააჩნია პრაქტიკულად შეუზღუდავი შესაძლებლობები საერთაშორისო ტურიზმის განვითარებისთვის. ტურიზმის განვითარების საკითხების კვლევის დროს აუცილებლად მიგვაჩნია მისი ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან მიმართებაში, გამომდინარე იქიდან, რომ ტურიზმის და ტრანსპორტის განვითარება ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული პროცესია.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის განვითარების და სხვადასხვა სახის სამგზავრო ტრანსპორტით ტურისტების გადაყვანის ორგანიზაციის პრობლემების კომპლექსური ანალიზი და მის საფუძველზე შესაბამისი მეცნიერულ - მეთოდური და პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავება ქვეყანაში საერთაშორისო ტურიზმის ორგანიზაციის ეფექტურობის ამაღლების მიზნით.

შემუშავებული მეცნიერულ - მეთოდური და პრაქტიკული რეკომენდაციების პრაქტიკული დირექტულება მდგომარეობს საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის შესაბამისი სისტემური ღონისძიებების გატარების დასაბუთებულობაში, რომლებიც მნიშვნელოვნად შეუწყობენ ხელს ქვეყანაში საერთაშორისო ტურიზმის ეფექტურ განვითარებას.

დღეისათვის, ტრანსპორტის ცალკეული სახეები, ახორციელებენ რა სამგზავრო გადაზიდვებს, მოქმედებენ სხვებისაგან განცალკევებულად და მხოლოდ თავისი ინტერესების შესაბამისად, ცდილობენ მიიღონ მაქსიმალური მოგება და ნაკლებად ზრუნავენ მონათესავე ტრანსპორტის სახეების ინტერესებზე. შედეგად, ადგილი აქვს სატრანსპორტო საშუალებების არასაკმარისად ეფექტურ გამოყენებას, მგზავრების სატრანსპორტო მომსახურების ხარისხის დაქვეითებას და სამგზავრო გადაზიდვებში მათი მოთხოვნილებების არასაკმარის დაკმაყოფილებას.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, საქართველოს კურორტების უმეტესობა საგრძნობი მოშორებით მდებარეობს ქვეყნის მსხვილი სატრანსპორტო კვანძებისგან, ისეთებისგან, როგორებიცაა ქალაქები თბილისი, ქუთაისი და ბათუმი. გამომდინარე აქედან, მგზავრები, რომლებიც მიემართებიან საკურორტო ზონებში, განიცდიან გარკვეულ დისკომფორტს ტრანსპორტის ერთი სახიდან მეორეზე გადასხდომის დროს.

გამომდინარე სამგზავრო გადაზიდვების ორგანიზაციის ტექნოლოგიების თავისებურებებიდან ტრანსპორტის სხვადასხვა სახეებზე, ასევე მგზავრების მრავალფეროვანი მოთხოვნილებებიდან, მათი გადაყვანის სახეების მიხედვით სხვადასხვა ტრანსპორტით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მგზავრების გადაყვანა განხორციელდეს ინტერმოდალური ტექნოლოგიების გამოყენებით შორ მანძილებზე საავიაციო, სარკინიგზო, საზღვაო და საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენებით.

საერთაშორისო ტურიზმის ინტერმოდალური სატრანსპორტო მომსახურება გულისხმობს რამდენიმე სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალების (მაგალითად, სარკინიგზო, საავტომობილო, საჰაერო და საზღვაო) კომბინაციას ერთიანი სატრანსპორტო ქსელის ფარგლებში. ეს პრაქტიკა საშუალებას აძლევს ტურისტებს სწრაფად და ეფექტურად გადაადგილდნენ სხვადასხვა ტრანსპორტის საშუალებებით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო ტურიზმისთვის. საქართველოში ინტერმოდალური სატრანსპორტო მომსახურება კვლავ წინსვლის პროცესშია, თუმცა არსებობს რიგი პრობლემები, რომლებიც ამ მიმართულებას აფერხებს.

საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის შემდგომი განვითარების ერთერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ეფექტურობის ამაღლება, რომელიც განხილული უნდა იქნას კომპლექსურად, ყველა სახის ტრანსპორტის ფუნქციონირების რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებით. ტრანზიტული ტურისტების სატრანსპორტო მომსახურების ხარისხის ამაღლება უზრუნველყოფილი უნდა იქნას სამგზავრო გადაზიდვების პროცესის ორგანიზაციის მაღალეფექტური, ინოვაციური ფორმების შემუშავების გზით სხვადასხვა სახის სატრანსპორტო კომპანიების ურთიერთმოქმედებების გაუმჯობესების და კოორდინაციის საფუძველზე,

საქართველოში არ არსებობს ერთიანი სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს ტურისტებს (მაგალითად, ტრანზიტულ ტურისტებს) გააკეთონ ერთიანი დაჯავშნა ყველა ტრანსპორტის საშუალებებისთვის – საჰაერო, რკინიგზა და ავტობუსი. როგორც შედეგი, ტურისტებს ხშირად უწევთ სხვადასხვა პლატფორმებზე სხვადასხვა ტრანსპორტის ბილეთების ძიება, რაც არაერთი პრობლემის გამომწვევი ხდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ტრანსპორტის სხვადასხვა ტიპის კომბინირება აუცილებელია.

დასკვნა. საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება საერთაშორისო ტურიზმის შემოდინებაზე პირდაპირ გავლენას ახდენს. მნიშვნელობა აქვს როგორც სახელმწიფო პოლიტიკას, ისე კერძო სექტორის ინვესტიციებსა და თანამშრომლობას საერთაშორისო ავიაკომპანიებთან და ტურისტულ ოპერატორებთან.

საქართველოში ტრანზიტული ტურისტების ინტერმოდალური სატრანსპორტო მომსახურების სისტემის გაუმჯობესება საჭიროებს ერთიანი და ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემის შექმნას, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას და კონკურენციის წახალისებას. აღნიშნული ნაბიჯები დაეხმარება საქართველოს მასშტაბური ტურისტული დანიშნულების ადგილად ჩამოყალიბებას და მის გეოგრაფიულ პოზიციას ეფექტიანად გამოიყენებს საერთაშორისო ტურიზმის განვითარების მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ტრანსპორტი, საერთაშორისო ტურიზმი, ინტერმოდალური გადაზიდვები.

Referenses

1. Devadze, A. (2012). Tourism in Georgia: existed situation, problems, perspectives. Publ. House Kabadoni.
2. Georgian National Tourism Administration. (2020). Account of 2019. Tbilisi.
3. Georgian National Tourism Administration. (2020). Operative Data of 2019. Tbilisi.
4. Ministry of internal affairs of Georgia. (2018). Operative Data of 2017. Tbilisi.
5. Meladze, M. (2008). The specifics of craft of tourist product in Georgia. Publ. House Kabadoni.
6. Efthymiou, M., Papatheodorou, A. (2015). Intermodal passenger transportation and destination competitiveness in Greece. *Anatolia*. 26:3, 459–471 <https://doi.org/10.1080/13032917.2015.1012171>
7. Lohmann, G., Pearce D.G. (2010). Conceptualizing and operationalizing nodal tourism functions. *Journal of Transport Geography*, 18, 266–275.
8. Yang Y., Li D., Li X. (2019). Public transport connectivity and intercity tourist flows. *Journal of travel research*, 58(1). 25–41.
9. Chang, P., Shieh, H. (2016). Seamless service strategies for passenger transportation in Taiwan. *International Journal of Business and social science*, 7, 136–148.
10. Darmawan, V.E.B., Chen, Y.W. (2020). Implementation of connection scan algorithm in tourism intermodal transportation journey planner: a case study. *Jurnal system dan manajemen industry*, 4, 129–136.

ლოჯისტიკური რისკები და მისი შემცირების სადაზღვევო მექანიზმების მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარებაში

ნანა ბენიძე

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ჯამბულ ბიწაძე

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი*

როგორც ცნობილია, გლობალიზაციისა და საერთაშორისო ვაჭრობის ზრდასთან ერთად, სადაზღვევო ლოჯისტიკა თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად იქცა. თუმცა, ამ პროცესს მრავალი რისკი ახლავს თან, ფიზიკური ზიანიდან დაწყებული იურდიული და ფინანსური პრობლემებით დამთავრებული. სწორედ აქ ხდება დაზღვევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, როგორც რისკების მართვის მექანიზმი.

ჩატარდა კვლევა და მოცემულია კვლევის შედეგები, რომლის ანალიზი წარმოდგენას იძლევა არსებულ პრობლემებზე და პრობლემების გადაჭრის შესაძლო გზებზე, რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ეკონომიკის გაძლიერებას. ვფიქრობთ არსებულ პრობლემებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, რომელიც აუცილებლად იჩენს თავს.

აღნიშნულია ის პრობლემები, რაც ხელს უშლის სადაზღვევო ბაზრის განვითარებას ქვეყნის მამტაბით. კერძოდ:

- არსებობს ინფრასტრუქტურული პრობლემები და აუცილებელია ამ პრობლემების გადაჭრა; მაგალითად: მოძველებული პორტები, არაეფექტური სატრანსპორტო ქსელები, რკინიგზისა და გზების ცუდი მდგომარეობა ხელს უშლის საქონლის დროულ და უსაფრთხო ტრანსპორტირებას. ეს კი ზრდის ტრანსპორტირების ხარჯებს და ამცირებს ქვეყნის, როგორც სავაჭრო პარტნიორის, მიმზიდველობას.
- არის მაღალი შიდა ტარიფები. მაღალი შიდა სატრანსპორტო ტარიფები და არათანაბარი რეგულირება ქმნის დამატებით ფინანსურ ბარიერებს, რაც განსაკუთრებით საზიანოა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. ეს იწვევს ბაზრის დისბალანსს და კონკურენტუნარიანობის შემცირებას.
- არსებობს საბაჟო პროცედურების სირთულე. ბიუროკრატიული დაბრკოლებები, არაეფექტური საბაჟო სისტემები და არათანმიმდევრული რეგულაციები ხელს უშლის საქონლის სწრაფ გადაადგილებას საზღვრებს

მიღმა. ეს იწვევს დროისა და ხარჯების ზრდას, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს პროდუქტის ფასზე.

- პოლიტიკური არასტაბილურობა. რეგიონული კონფლიქტები, ხშირი პოლიტიკის ცვლილებები და სამართლებრივი გაურკვევლობა მიწოდების ჯაჭვებში გაუთვალისწინებელ რისკებს ქმნის. ეს ართულებს გრძელვადიანი დაგეგმვის პროცესს და ზრდის დაზღვევის ხარჯებს.

აქვე მოცემულია რესპოდენტთა რეკომენდაციები სხვადასხვა მიმართულებით. აღსანიშნავია:

საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მეტი ჩართულობა, რათა მოწესრიგდეს როგორც ინფრასტრუქტურა ასევე ტარიფები გახდეს უფრო მოქნილი. ამისათვის საჭიროა მოხდეს ინვესტირება სატრანსპორტო ქსელებში, სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს შიდა ტარიფების ერთიანი პოლიტიკა, მოახდინოს, საბაჟო და სხვა საზღვრების კონტროლის პროცედურების ცენტრალიზაცია. შექმნას, ბიზნესისათვის ხელსაყრელი სამართლებრივი გარემო და ბოლოს ვფიქტობთ, რომ შეიმუშაოს კრიზისების მართვის ოპტიმალური მექანიზმი.

სტატიაში მოცემულია ავტორთა მოსაზრებები და რჩევები, რომელიც დანახულია მეცნიერთა თვალთახედვით და მისი პრაქტიკაში განხორციელება დაეხმარება დარგს საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო, ლოჯისტიკა, ინფრასტრუქტურა, საბაჟო გადასახადები.

TRANSPORT POTENTIAL OF GEORGIA

Lela Kochlamazashvili

Professor of Georgian Technical University

Rusudan Kutateladze

Professor of Georgian Technical University

Nana Katsitadze

Associate Professor of Ivane Javakishvili Tbilisi State University

Teimuraz Kandashvili

Professor of Georgian Technical University

The development of the global transport system depends on globalization and international integration, as well as on other sectors of the economy. Sound logistics performance is associated with trade expansion, export diversification, the ability to attract foreign direct investment, and economic growth.

The functioning of the country's economy is fundamentally linked to the development of one of its important sectors, transportation routes. Due to its location, Georgia performs the function of a transit country.

The issue of using Georgia's territory as a transport corridor was one of the first issues to be put on the agenda immediately after independence. Both Georgian and foreign researchers became interested in the scientific study of this issue.

Rational use of the country's transport corridor ensures both state and economic security. Transportation of transit cargo enables a significant increase in state budget revenues.

Development of internal transport infrastructure, promotion of security, effective use of the transport corridor passing through Georgia, the full implementation of transit projects will lead to an increase in the volume of transport cargo and the improvement of this direction, which, in turn, will accelerate Georgia's integration into global economic structures and contribute to the sustainable development of the region.

After Georgia acquired the status of a corridor connecting Europe and Asia, the development of transport infrastructure became a priority for the state.

The Middle Corridor is part of the broader Belt and Road Initiative proposed by China. It involves developing transport infrastructure, including railways, highways and ports, to connect China with Europe via Central Asia, the South Caucasus and the Middle East. Beijing viewed all new trade routes across Eurasia as highly profitable.

From both geopolitical and geoeconomic perspectives, the main advantage of the "middle corridor" is that the route does not cross Russia. Both Western countries and China consider it a strategic solution.

A developed railway system is essential for both passengers and the long-distance movement of goods.

Well-developed port infrastructure allows for efficient transportation.

Tbilisi International Airport has undergone expansion and renovation projects to accommodate passenger traffic and improve equipment. As for investments in airport infrastructure, they include the construction of a new terminal, the expansion of the runway and passenger services.

In Georgia, accelerated development of the network of highways, as well as regional and local roads, is envisaged in the coming years. Improving road construction, repair and maintenance, increasing traffic safety and improving the ecological situation. A significant portion of the country's existing road network was created at a time when vehicle speeds were low and their dimensions and loads were relatively small. Currently, important measures are being taken in our country to improve traffic conditions and enhance safety on highways, Significant funds are being allocated from the budget, new highways are being built, and old roads are being reconstructed, The technical characteristics of roads are significantly improving, becoming increasingly in line with the development of the modern economy. A sharp increase in the volume and quality of road construction is inevitable, as they are closely related.

The current economic situation in the country requires special attention from road transport workers when addressing issues related to the organization and management of road transport, the solution of which requires increasing the accuracy of planning, analysis, and economic evaluation of both large transport systems and individual vehicles, because only on the basis of accurate calculations and analysis is it possible to develop rational resource-saving schemes for cargo transportation and only the right economic decision is a prerequisite for the successful development of a motor transport enterprise and its stable profit.

KeyWords: *Middle Corridor, Transport Infrastructure, Transport Corridor*

Bibliography

1. National Statistical Service of Georgia, 2023, www.geostat.ge
2. International Union of Railways, 2023, <https://uic.org>
3. I. Sharashenidze, "Growth Trends of Transport and Transit Transportation in Georgia." J. "Transport and Mechanical Engineering". Tbilisi/ 2022
4. I. Danelia, "Prospects for the Development of Transit Capabilities of the Geoeconomic Hub in Georgia". Tbilisi: Iv. Javakhishvili TSU. 2019
5. G. Doborjginidze, "Perspectives for the Development of the Middle Corridor" Transport and Mechanical Engineering. 2020
6. L. Kochlamazashvili, T. Kandashvili. "The role of international transportation in the development of the Georgian economy". Batumi Maritime Academy. 2016. II International Conference "Maritime Transport, Engineering Technologies, Logistics, Tourism". pp. 354-358.

ინოვაციური ეკოსისტემა დაბალბიუჯეტიან ავიახაზებსა და აეროპორტებს შორის: ციფრული ინტეგრაცია, გამოცდილება და მარკეტინგული სტრატეგიები

ირმა დიხამინჯია

*ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ელისო გველესიანი

*ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

თამთა ბერიძე

*ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროში მიმდინარე სწრაფად ცვლებადმა გარემომ და გამოწვევებმა მკვეთრად შეცვალა დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიების სტრუქტურა, გამოიწვია მათი ევოლუცია და საგრძობლად გაზარდა მოთხოვნა მათზე. კერძოდ, მომხმარებელზე ორიენტირებული - პერსონალიზებული, ხელმისაწვდომი და ეფექტური მომსახურების მიმართულებით. მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს გამოიკვლიოს თუ რა გავლენა ექნება ციფრული ტექნოლოგიებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებით მომხმარებელთა კმაყოფილებასა და კონკურენტულ უპირატესობას დაბალბიუჯეტიან ავიაკომპანიებში. ქეის ანალიზის საფუძველზე განიხილება დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიისა და აეროპორტის სტრატეგიული თანამშრომლობა მოცემული მიზნით, კერძოდ, Air Asia-ს მაგალითი, რომელიც თანამშრომლობს მალაიზიაში არსებულ დაბალბიუჯეტიან ავიაკომპანიებზე მორგებულ ტერმინალზე, აეროპორტში KLIA 2. ასევე, სტატიაში გაანალიზებულია მიმდინარე სიახლეების დანერგვა აეროპორტებში და გამოყენება როგორცაა ბიომეტრიული რეგისტრაცია, თვითმომსახურების სერვისები და მობილური აპლიკაციები, რაც ერთის მხრივ გაზრდის დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიის ეფექტიანობას, მეორეს მხრივ კი სრულიად აკმაყოფილებს ბიზნეს მოდელის იდეას.

კვლევა მიზნად ისახავს მსოფლიოში არსებული გამოცდილების გაზიარების საფუძველზე, საქართველოში არსებული ქუთასის საერთაშორისო აეროპორტის ბაზაზე დაინერგოს უახლესი, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მომსახურების განსხვავებული, ინოვაციური, ემოციური მარკეტინგის გამოყენებით შექმნილი სერვისები და გაანალიზდეს თუ რა გავლენას მოახდენს იგი აეროპორტში მოქმედ

უმსხვილეს დაბალბიუჯეტო ავიაკომპანია ვიზუალის ფუნქციონირებაზე. ამ მეთოდების გამოყენება ერთის მხრივ დაეხმარება ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტს ცნობადობის ზრდაში, რეგიონალური ჰაბის სტატუსის მოპოვებასა და განვითარებაში, მეორეს მხრივ კი დაბალბიუჯეტო ავიაკომპანიას მისცემს შესაძლებლობას თავისი ბიზნეს მოდელის შესაბამისად, გააგრძელოს ოპერირება გაზრდილი ეფექტურობით, მცირე დანახარჯებითა და მაქსიმალური მოგებით.

საკვანძო სიტყვები: LCCs, Digitalization, Customer service, Kutaisi International Airport, Innovation, Aviation Strategy, Georgia

განათლების გაუმჯობესება კოგნიტური დიფერენციაციის გზით

დავით ბოცვაძე

*მონვეული სპეციალისტი
ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი*

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია IQ შეფასებების გამოყენების პოტენციალს უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების განსხვავებულ ჯგუფებად კატეგორიზაციისთვის, რაც მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის სიჩქარის, ეფექტურობისა და შეუფერხებლობის გაზრდას.

არსებული კვლევებიდან გამომდინარე, თვალნათლივ ჩანს თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს კოგნიტური შესაძლებლობების ინდივიდუალურ განსხვავებებს აკადემიურ მიღწევებსა და მომავალ კარიერულ განვითარებაზე.

მაგალითად, საზღვაო ინდუსტრიაში, ზოგიერთი უკვე 30 წლის ასაკში აღწევს ისეთ მაღალ თანამდებობებს, როგორცაა მთავარი ინჟინერი ან კაპიტანი, მათ მიერ ახალი ინფორმაციის ათვისების და შესწავლის მაღალი უნარის გამო, მაშინ როცა სხვები, რომლებსაც მსგავსი უნარები არ გააჩნიათ, მრავალი წლის განმავლობაში ისევ თავიანთი კარიერის დასაწყისში იმყოფებიან.

ეს შეუსაბამობა გვკარნახობს ასეთი ჯგუფებისადმი განსხვავებული საგანმანათლებლო მიდგომების დანერგვის აუცილებლობას.

IQ-ზე დაფუძნებული დიფერენციაციის შედეგად შესაძლებლობა გვეძლევა თითოეული კოგნიტური ჯგუფისთვის ისეთი პროფილის სასწავლო პროცესის განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლების პროცესის, შედეგებისა და კარიერული მიმართულებების ოპტიმიზაციას, უფრო ეფექტურს, ინკლუზიურს და ნაკლებად ტრავმულს გახდის საგანმანათლებლო გარემოს.

შესავალი

დღევანდელ საგანმანათლებლო გარემოში, სწავლის შესაძლებლობების ინდივიდუალური განსხვავებების აღიარება გადამწყვეტია სტუდენტების განვითარების ოპტიმიზაციისთვის.

ტრადიციული სწავლების მეთოდები ხშირად ვერ ახერხებენ სხვადასხვა კოგნიტური უნარების გათვალისწინებას, რაც იწვევს სტუდენტებში იმედ-გაცრუებას, მიღწევების დაბალ დონეს ან მათი სასწავლო პროცესში ჩართულობის დაქვეითებას.

ფსიქოლოგიური კვლევების ბოლოდროინდელი მიღწევები მიუთითებს, რომ კოგნიტურ შესაძლებლობებზე, განსაკუთრებით კი IQ-ზე დაფუძნებულ სწავლებას, შეუძლია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს სწავლების შედეგები.

ამ სტატიაში გაკეთებულია მცდელობა, ავწონდავწონოთ საგანმანათლებლო გარემოში IQ-ზე დაფუძნებული დიფერენციაციის სტრატეგიების დანერგვის სარგებელი და რისკები.

IQ-ზე დაფუძნებული დიფერენციაციის პოტენციალი

მოსწავლეთა IQ დონის შეფასებით, პედაგოგებს შეუძლიათ შექმნან კოგნიტური ჯგუფებისათვის ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისი მორგებული სასწავლო გარემო.

მაღალი IQ-ის მქონე მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცემათ შეისწავლონ მასალა შედარებით უფრო ღრმად რაც ხელს უწყობს მათ მოტივაციას და დაოსტატებას, ხოლო დაბალი IQ-ის მქონე მოსწავლეებს შეეძლებათ მიიღონ დამატებითი მხარდაჭერა პედაგოგებისაგან მასლის გაგებაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

ასეთი დიფერენციაცია არა მხოლოდ გააუმჯობესებს აკადემიურ მოსწრებას, არამედ გააძლიერებს თვითშეფასებას, მოტივაციას და გრძელვადიან საგანმანათლებლო სტრატეგიას.

კოგნიტური დაჯგუფების უპირატესობები

- დაჩქარებული სწავლა: მოსწავლეთა ჯგუფები პროგრესირებენ მათი კოგნიტური შესაძლებლობების შესაბამისი ტემპით, რაც ამცირებს მოწყვნილობას და იმედგაცრუებას.
- პერსონალიზებული მხარდაჭერა: მორგებული სწავლება პასუხობს კონკრეტულ სასწავლო საჭიროებებს, ხელს უწყობს ოსტატობას და თავდაჯერებულობას.
- რესურსების ეფექტური გამოყენება: ფოკუსირებული სწავლების სტრატეგიები გვაძლევს საკლასო დროისა და ძალისხმევის ოპტიმიზაციის საშუალებას.
- კარიერული განვითარება: შესაძლებლობების ადრეული იდენტიფიცირება სტუდენტებს შესაფერისი კარიერული გზებისკენ უბიძგებს, როდესაც დაინახავენ რომ საზღვაო ინდუსტრიაში მომუშავე ისეთივე ახალგაზრდები როგორებიც თვითონ არიან, სწავლების ამ ახალი შესაძლებლობების წყალობით ახერხებენ სწრაფ კარიერულ ზრდას.

მეცნიერული საფუძველი: სწავლისა და კონცენტრაციის პიკები

კოგნიტური ფსიქოლოგიის კვლევები აჩვენებს, რომ ყურადღება და კონცენტრაცია, როგორც წესი, თავის პიკს აღწევს სასწავლო სესიის პირველი 20-30 წუთის განმავლობაში. მაგალითად, დენიელ უილინგჰემი (ვირჯინიის უნივერსიტეტი 2002 წელი) მიუთითებს, რომ სტუდენტები, როგორც წესი, ყველაზე ყურადღებიანი და ათვისების უნარის მქონე არიან ამ საწყისი ფანჯრის დროს, რომლის შემდეგ ყურადღების დონე იკლებს, რაც ამცირებს მიღებული ინფორმაციის შენარჩუნებას და ჩართულობას.

ეს განაპირობებს იმას რომ, რომ თუ სწავლის უნარები მნიშვნელოვნად განსხვავდება სტუდენტებს შორის, შესაძლოა ყველამ ერთდროულად ვერ მიაღწიოს ან არ გამოიყენოს ეს პიკური სწავლის პერიოდი, განსაკუთრებით ეს ეხება ხანგრძლივ სესიებს. მაღალი IQ-ს მქონე სტუდენტებმა შეიძლება დაკარგონ ინტერესი, თუ მათ მოუწევთ ლოდინი, სანამ სხვები დაეწევიან, ხოლო დაბალი IQ-ს მქონე სტუდენტებმა შეიძლება სრულად ვერ აითვისონ ინფორმაცია ამ ფანჯრის განმავლობაში. ამიტომ, გონებრივი დრო და ტემპი გადამწყვეტია, დიფერენცირებული სწავლება კი ხელს უწყობს ამის მოგვარებას, სტუდენტებისთვის მათზე მორგებული საგანმანათლებლო გარემოს მიწოდებით, რათა მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი სწავლის პოტენციალი.

- ზემოთხსენებული ვირჯინიის უნივერსიტეტის წარმომადგენელი დენიელ უილინგემი (2002) ხაზს უსვამს, რომ სტუდენტები, როგორც წესი, ყველაზე ფხიზლად არიან სასწავლო აქტივობების საწყის პერიოდში, შემდეგ კი ყურადღება იკლებს.

- საგანმანათლებლო ფსიქოლოგიაში გამოქვეყნებული კვლევა ხაზს უსვამს, რომ კოგნიტური დატვირთვა ყველაზე მაღალია სასწავლო სესიების დასაწყისში.

კოგნიტურ პროფილებზე დაფუძნებული სწავლება საშუალებას იძლევა ოპტიმიზაცია გავუკეთოთ გაკვეთილების დროსა და ტემპს, რაც თითოეულ სტუდენტს დაეხმარება ისარგებლოს სწავლების პიკებით.

სტიგმატიზაციისა და ემოციური ზემოქმედების რისკები

როდესაც სხვადასხვა კოგნიტური შესაძლებლობის სტუდენტი ერთ გარემოში სწავლობს დიფერენციაციის გარეშე, დაბალი IQ-ს მქონე სტუდენტებმა შეიძლება განიცადონ იმედგაცრუების, არასაკმარისობის ან სირცხვილის შეგრძნება, როდესაც ხედავენ, რომ მათი მაღალი IQ-ს მქონე თანატოლები უფრო სწრაფად და მარტივად ითვისებენ კონცეფციებს და ახალ მასალას. ამ ნეგატიურმა ემოციებმა შეიძლება შეამციროს სტუდენტის თვითშეფასება და მოტივაცია. ამას ემატება ის ფაქტიც რომ, მაღალი IQ-ს მქონე სტუდენტებს ხშირად უწევთ ლოდინი ან უმოქმე-

დობა, რადგან მათ თანატოლებს უჭირთ მასალის ათვისება, რაც იწვევს მათ მოწყენილობას ან საერთოდ ჩართულობის დაკარგვას.

მიუხედავად იმისა, რომ IQ შეფასებას შეუძლია სტუდენტების კოგნიტური შესაძლებლობების შესახებ ღირებული ინფორმაციის მოწოდება, კონფიდენციალურობასთან, სტიგმატიზაციასთან და სამართლიანობასთან დაკავშირებული ეთიკური საკითხების შესწავლა და მართვა დიდი სიფრთხილით უნდა ხდებოდეს.

გამჭვირვალების პოლიტიკა, ინფორმირებული თანხმობა და თანასწორობაზე ორიენტირებული პრაქტიკა აუცილებელია გაუთვალისწინებელი ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად.

მტკიცებულებები მიუთითებს რომ, IQ-ზე დაფუძნებული დიფერენციაცია შეიძლება ფსიქოლოგიურად ნაკლებად ტრავმული იყოს ვიდრე ის ნეგატიურ გრძნობები რომლებსაც ტრადიციულ, ერთგვაროვან კლასებში სტუდენტები ხშირად განიცდიან, როდესაც აკვირდებიან, რომ მათი მაღალი IQ-ს მქონე თანატოლები მასალას უფრო სწრაფად ითვისებენ.

როდესაც სტუდენტები აცნობიერებენ, რომ მათი დაჯგუფება მათ კოგნიტურ პროფილებზეა დაფუძნებული და როდესაც მიდგომა ხაზს უსვამს ინდივიდუალური ძლიერი მხარეებისა და ზრდის პოტენციალის მიხედვით მორგებულ მხარდაჭერას, სწავლების პროცესი შეიძლება გახდეს უფრო მოტივაციური და ეფექტური.

გარდა ამისა, თუ დიფერენციას ჩამოვყალიბებთ ისე - როგორც მხარდაჭერის ინსტრუმენტს და არა იარაღს - ამას შეუძლია შეამსუბუქოს უარყოფითი ემოციური ზემოქმედება და ხელი შეუწყოს უფრო ინკლუზიურ და ზრდაზე ორიენტირებულ საკლასო კულტურას.

ესეთი მიდგომა დაეხმარება სტუდენტებს, რომ მათი სასწავლო გზა პერსონალიზებულ და განვითარების გზად აღიქვან, რაც ამცირებს არასრულფასოვნების გრძნობას და გააძლიერებს თვითშეფასებას.

მისაღები გამოცდების, როგორც დიფერენციაციის მეთოდის შეზღუდულობა

საშუალო სკოლაში და კოლეჯში მისაღები გამოცდებიც დიფერენციაციის ჩუმ ფორმას წარმოადგენს. თუმცა, ისინი შეზღუდული ეფექტურობით გამოირჩევიან, იმიტომ რომ გამოცდებზე, ძირითადად, ფასდება სტუდენტის მიმდინარე ცოდნა და უნარები დროის კონკრეტულ მომენტში, ის რაც ასახავს მის ამჟამინდელ სასწავლო მდგომარეობას და არა მის ნამდვილ კოგნიტურ პოტენციალს ან მომავალ განვითარებას.

გარდა ამისა, გამოცდის შედეგებზე შეიძლება გავლენა იქონიოს დროებითმა ფაქტორებმა, როგორცაა საგამოცდო დელვა, რომელიც ალბათ ყველა ჩვენთაგანს

გამოგვიცდია, ჯანმრთელობა ან გამოცდის წინა დღეებში ინტენსიური სწავლა არ იძლევა სტუდენტის რეალური შესაძლებლობების შეფასების საშუალებას.

შესაბამისად, სტუდენტების მხოლოდ მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე დიფერენცირებამ შეიძლება გააძლიეროს მოკლევადიანი სტრატეგიკაცია (სორტირება), მაგრამ ვერ ითვალისწინებს სტუდენტების მზარდ შესაძლებლობებსა და განვითარების პოტენციალს.

IQ-ზე დაფუძნებული დიფერენციაციის უპირატესობები

მეორეს მხრივ, მრავალრიცხოვანმა ხანგრძლივმა კვლევებმა აჩვენა, რომ IQ ქულები, როგორც წესი, ინდივიდის მთელი ცხოვრების განმავლობაში კოგნიტური შესაძლებლობების შედარებით უცვლელი მაჩვენებელია, რაც მათ მომავალი აკადემიური მიღწევების, პრობლემების გადაჭრის უნარებისა და პროფესიული წარმატების ერთ-ერთ საუკეთესო და საიმედო პროგნოზირების ინსტრუმენტად აქცევს, რადგან ის ასახავს სწავლისთვის აუცილებელ ფუნდამენტურ კოგნიტურ შესაძლებლობებს.

დიფერენცირებული ჯგუფების შექმნის საფუძველად IQ-ის გამოყენება პედაგოგებს საშუალებას აძლევს, სწავლება თითოეული ასეთი ჯგუფის კოგნიტურ პროფილს მოარგონ, რომელიც დროთა განმავლობაში ნაკლებად მგრძობიარეა ცვლილებების მიმართ, რითაც ქმნის უფრო საიმედო საფუძველს ინდივიდუალური ზრდისა და მიღწევების ხელშეწყობისთვის.

განხორციელების სტრატეგიები

IQ-ზე დაფუძნებული დაჯგუფების წარმატებული ინტეგრაცია მოითხოვს ფრთხილად დაგეგმვას:

- მოქნილი დაჯგუფება: ჯგუფების პერიოდულად ადაპტირება მიმდინარე შეფასებების საფუძველზე.
- პოზიტიური ჩარჩო: ხაზგასმა მხარდაჭერასა და ზრდაზე, იარლიყების ან სტიგმატიზაციის ნაცვლად.
- ინკლუზიური კულტურა: სტუდენტთა შორის პატივისცემისა და გაგების ხელშეწყობა.
- მასწავლებლების მომზადება: პედაგოგების აღჭურვა სტრატეგიებით, რათა მგრძობიარედ მართონ მრავალფეროვანი ჯგუფები.
- მშობლებისა და საზოგადოების ჩართულობა: სარგებლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და პრობლემების პროაქტიულად მოგვარება.

დასკვნა

IQ-ზე დაფუძნებული დიფერენციაციის ინტეგრირებას აქვს პოტენციალი, შეცვალოს საგანმანათლებლო პრაქტიკა ინდივიდუალური სასწავლო საჭიროებებზე მორგებით, რაც საბოლოო ჯამში უფრო ეფექტურ, ინკლუზიურ და დამაკმაყოფილებელ საგანმანათლებლო პროცესამდე მიგვიყვანს.

გააზრებული განხორციელების შემთხვევაში, მას შეუძლია შეამსუბუქოს ტრადიციული, ერთგვაროვანი სწავლების მიდგომებთან დაკავშირებული მრავალი ნაკლი და დაეხმაროს სტუდენტებს სრული პოტენციალის მიღწევაში.

ბიბლიოგრაფია

1. Deary, I. J., Penke, L., & Johnson, W. (2010). The neuroscience of intelligence. *Nature Reviews Neuroscience*, 11(3), 201-211. <https://doi.org/10.1038/nrn2794>
2. Jensen, A. R. (1990). *The g Factor: The Science of Mental Ability*. Praeger.
3. Kuncel, N. R., Conley, C. S., & Kahn, S. (2004). Does IQ predict academic achievement? *Psychological Bulletin*, 130(2), 231-253. <https://doi.org/10.1037/0033-2909.130.2.231>
4. Neisser, U., et al. (1996). *Intelligence: Knowns and Unknowns*. Washington, D.C.: American Psychological Association.
5. Tomlinson, C. A. (2014). *The Differentiated Classroom: Responding to the Needs of All Learners*. ASCD.
6. Luria, A. R. (1966). *Higher Cortical Functions in Man*. Basic Books.
7. Mead, G. H., & MacKenzie, S. (2018). Ethical considerations in educational stratification. *Educational Psychology Review*, 30(1), 35-49.

კოგნიტური დეპრივაციისა და სამუშაო სტრესის გავლენა მეზღვაურთა მენტალურ ჯანმრთელობაზე

გურანდა მამილიძე

ასისტენტ-პროფესორი, ბათუმის შოთა
რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თონა გოგიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი

გოგი ცივაძე

შორეული ნაოსნობის მეზღვაური, კაპიტნის მეორე თანამემწე

აბსტრაქტი

მეზღვაური - არ არის მხოლოდ პროფესია, ეს არის ცხოვრების განსაკუთრებული წესი, რომელიც მოითხოვს გამძლეობას, მონდომებას და მუდმივად ცვალებად პირობებთან ადაპტაციის უნარს. ტექნიკური ცოდნისა და უნარების გარდა, ზღვაზე წარმატებული კარიერა ფსიქოლოგიისადმი განსაკუთრებულ მიდგომას განსაზღვრავს, რადგან გემზე ცხოვრება ბევრ უნიკალურ გამოწვევას წარმოადგენს.

ერთ-ერთი მთავარი ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს მეზღვაურებზე, არის ოჯახისა და მეგობრებისგან შორს ყოფნა. ნაცნობი კომუნიკაციისა და მხარდაჭერის ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს მარტოობის და სტრესის განცდა. ბორტზე ცხოვრება ნიშნავს კოლეგებთან მუდმივ ურთიერთობას და გუნდურად მუშაობის უნარი წარმატების საკვანძო ფაქტორი ხდება. თუმცა, ერთსა და იმავე ადამიანებთან მჭიდრო თანაცხოვრებამ შეზღუდულ სივრცეში შეიძლება გამოიწვიოს დაძაბულობა და კონფლიქტი. კოგნიტური დეპრივაცია გაგებულია, როგორც ინფორმაციის დეფიციტი, ასევე მისი ქაოსი, ცვალებადობა და არეულობა, რაც ხელს უშლის გარემომცველი სამყაროს ადეკვატური მოდელების აგებას და შესაბამისად, მასში პროდუქტიულად მოქმედების უნარს და ასევე იწვევს გარკვეულ ფსიქოლოგიურ მოვლენებს. პროფესიულ საქმიანობაში ინფორმაციის ნაკლებობა შეცდომებს იწვევს და ხელს უშლის პროდუქტიული გადაწყვეტილებების მიღებას. ყოველდღიურ ცხოვრებაში ინფორმაციის ნაკლებობა არა მხოლოდ მოწყენილობას იწვევს, არამედ უფრო სერიოზულ შედეგებამდეც მივყავართ, კერძოდ, მიმდინარე მოვლენებთან ან ჩვენს გარშემო მყოფ ადამიანებთან დაკავშირებით მცდარი დასკვნების გაკეთებამდე. პოზიტიური სამუშაო გარემოს შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია სიმშვიდის შენარჩუნება და კომპრომისული გადაწყვეტილებების პოვნა.

საზღვაო გარემო სავსეა არაპროგნოზირებადი სიტუაციებით: ამინდის უეცარი ცვლილებებიდან ტექნიკურ პრობლემებამდე. ასეთ პირობებში სტრესის მართვის უნარი მეზღვაურის ფსიქოლოგიური გამძლეობის განუყოფელი ნაწილია. ზღვაზე მუშაობა მოითხოვს არა მხოლოდ პროფესიულ უნარებს, არამედ ფსიქოლოგიურ მზადყოფნას რთული პირობებისთვის. ამ გამოწვევების გაგება და მიღება არის ზღვაოსნობაში წარმატებული ყოფნისა და ემოციური წონასწორობის შენარჩუნების გასაღები.

საკვანძო სიტყვები: მეზღვაური, მენტალური, დეპრივაცია, სტრესი, სამუშაო, ჯანმრთელობა, კოგნიტური

Bibliography

1. Zimbardo F., Gerig R., Psychology and Life, "Tbilisi University Publishing House" 2009, p. 398-457;
2. Applied Psychology, Tbilisi 2011, p. 17;
3. Crowd Management, Passenger Safety and Safety Training for Personnel Providing Direct Services to Passengers in Passenger Spaces. Model Course No. 1.28; IMO, London, 2000. – p. 92.
4. Sigmund Freud, Selected Works, 2018.
5. Steven P. Robbins, Tomot A. Jaji, "Fundamentals of Organizational Behavior", 2009;
6. Kechkhuashvili., "Labor and Engineering Psychology", "Tbilisi University Publishing House", 1982, p. 246.
7. Malkina-Pykh I.G. Psychological assistance in crisis situations. - M.: Eksmo, 2010.p. 928 (Малкина-Пых И.Г. Психологическая помощь в кризисных ситуациях. М.: Эксмо, 2010. – 928 с);

ხარისხის ინფრასტრუქტურის დანერგვასთან დაკავშირებული გამოწვევები და შესაძლებლობები განვითარებად ქვეყნებში

ნინო ფარესაშვილი

ასოცირებული პროფესორი

ნინო აბესაძე

ასოცირებული პროფესორი

ქეთევან ჩიტალაძე

ასისტენტ-პროფესორი

ეკა ავსაჯანიშვილი

დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სტაბილური გარემოსა და მასშტაბური წარმოების ფონზე, განვითარებული ქვეყნებისთვის, ხარისხის ინფრასტრუქტურის სისტემის დანერგვა უფრო მარტივია. ხარისხის ინფრასტრუქტურა მოითხოვს გარკვეული სახის დანახარჯებს როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო სექტორის მხრიდან, მაშინ, როდესაც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები, ამ მხრივ, მრავალი გამოწვევის წინაშე არიან. არსებული გამოწვევებიდან აღსანიშნავია ბიზნეს სექტორისა და წარმოების განვითარების დაბალი დონე, სოციალური პასუხისმგებლობა, ფინანსური გამოწვევები, ვინაიდან ამასთან, განვითარებად ქვეყნებში ხარისხის კონტროლი და მენეჯმენტი, მის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული მიდგომები და მოთხოვნები შედარებით ახალია, განვითარებისა და შესაძლებლობების სხვადასხვა საფეხურიდან გამომდინარე, განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და მოთხოვნები გარკვეულწილად შესაძლოა შეუსაბამო იყოს. რა თქმა უნდა, მათი გამოცდილების გაზიარება მაინც აუცილებელია, თუმცა, პრაქტიკისა და ნორმების პირდაპირი იმპლემენტაცია, შესაძლოა არაეფექტური იყოს.

სტატიის მიზანია, საქართველოს მაგალითზე, სხვადასხვა პერსპექტივიდან ჩვენს მიერ მომხდარიყო ხარისხის ინფრასტრუქტურის დანერგვასა და განვითარებასთან დაკავშირებული სირთულეები და შესაძლებლობები. სტატიაში გაანალიზებულია საერთაშორისო და ადგილობრივი ლიტერატურა და კვლევები, რომელზე დაყრდნობითაც წარმოჩენილია: პირველ რიგში, სისტემის განვითარების უპირატესობები და შესაძლებლობები და მეორეს მხრივ, გამოწვევები და სირთულეები,

რომელსაც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები აწყდებიან დანერგვის სხვადასხვა ეტაპებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით ლიტერატურა საკმაოდ მწირია, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში. ხარისხის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული კვლევები დიდწილად სხვადასხვა პროექტებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს ეკუთვნის და ნაკლებად არის სამეცნიერო ნაშრომებისა და კვლევების საგანი, რაც, სავარაუდოდ, იმით არის განპირობებული, რომ სფერო ახალია.

მიმოხილულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, შესაძლოა ითქვას, რომ ხარისხის ინფრასტრუქტურის დანერგვა და ქართულ რეალობასთან ადაპტაცია სხვადასხვა სახის სირთულეებთან და გამოწვევებთან არის დაკავშირებული. ხარისხის მართვა და მენეჯმენტი წარმოების პროცესში შესაბამისი სტანდარტებისა და მოთხოვნების დანერგვას გულისხმობს, რაც რა თქმა უნდა, დამატებით რესურსებსა და ინვესტიციებს მოითხოვს.

საქართველოში ადგილობრივი პროდუქტის წარმოება მცირეა და შესაბამისად, ექსპორტის მაჩვენებელიც დაბალია, მაშინ, როდესაც საერთაშორისო ვაჭრობა და საერთაშორისო პარტნიორები შესაძლოა პროცესის განვითარების ერთ-ერთ კატალიზატორად მივიჩნიოთ. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ბაზრის უდიდეს ნაწილს მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ, რომლებსაც არ აქვთ კომპლექსური სისტემებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებული საკმარისი რესურსები და უნარები. ფინანსებთან ერთად, აუცილებელია, შრომის ბაზარზე შესაბამისი კვალიფიკაციისა და ცოდნის არსებობა, თუმცა, კვლევების თანახმად, საქარ-თველოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევას სწორედ სხვადასხვა სფეროში კვალიფიციური კადრების დეფიციტი წარმოადგენს, უმუშევრობის და განსაკუთრებით ახალგაზრდებში უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლების ფონზე. ამ და სხვა გამოწვევებთან ერთად, როგორც აღვნიშნეთ, ნაშრომში მიმოხილულია ბიზნესის, ეკონომიკის, გარემოსდაცვისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის განვითარებასთან დაკავშირებული დადებითი მხარეებიც.

საკვანძო სიტყვები: ხარისხის ინფრასტრუქტურა, კვალიფიკაცია, სტანდარტიზაცია, განვითარებადი ქვეყნები, მცირე და საშუალო საწარმოები

Bibliography

1. Aizawa, M. (2019). Sustainable development through quality infrastructure: Emerging focus on quality over quantity. *Journal of Mega Infrastructure & Sustainable Development*, 1(2), 171-187.
2. Blind, K. (2024). The role of the quality infrastructure within socio-technical transformations: A European perspective. *Technological Forecasting and Social Change*, 199, 123019. <https://doi.org/10.1016/j.techfore.2023.123019>
3. European Union Delegation to Georgia. (2025). *EU Business Climate Report Georgia 2024: Economic growth faces political, workforce, and structural barriers*.
4. Gallego, J. M., & Gutiérrez, L. H. (2017). Quality management system and firm performance in an emerging economy: The case of Colombian manufacturing industries. *IDB Working Paper Series*, No. IDB-WP-803. Inter-American Development Bank. <https://doi.org/10.18235/0000686>
5. Gonçalves, J., & Peuckert, J. (2011). Measuring the impacts of quality infrastructure: Impact theory, empirics and study design. *Physikalisch-Technische Bundesanstalt (PTB)*. https://www.researchgate.net/publication/236216163_Measuring_the_impacts_of_quality_infrastructure
6. Harmes-Liedtke, U. (2010). The relevance of quality infrastructure to promote innovation systems in developing countries. *Physikalisch-Technische Bundesanstalt (PTB)*. https://www.ptb.de/cms/fileadmin/internet/fachabteilungen/abteilung_9/9.3_internationale_zusammenarbeit/docs/working_paper_series/ptb_wps_no_4.pdf
7. Harmes-Liedtke, U., & Oteiza Di Matteo, J. J. (2011). Measurement of quality infrastructure (Discussion Paper No. 2011-03). *Physikalisch-Technische Bundesanstalt*. https://www.ptb.de/cms/fileadmin/internet/fachabteilungen/abteilung_9/9.3_internationale_zusammenarbeit/docs/working_paper_series/ptb_wps_no_3.pdf
8. Harmes-Liedtke, U., Muñoz, M. M., & Waltos, E. (2024). *Global Quality Infrastructure Index Report 2023: Insights and trends on economies using metrology, standards, accreditation, and conformity assessment services (Report No. 5)*. *Physikalisch-Technische Bundesanstalt*. https://www.researchgate.net/profile/Ulrich-Harmes-Liedtke/publication/380727111_GLOBAL_QUALITY_INFRASTRUCTURE_INDEX_REPORT_2023/links/664b8576479366623aff38bb/GLOBAL-QUALITY-INFRASTRUCTURE-INDEX-REPORT-2023.pdf

9. Kharadze, N., Paichadze, N., Paresashvili, N., & Pirtskhalaishvili, D. (2022). General trends of business career management. *European Journal of Economics and Business Studies*, 8(1), 114-143.
10. Kureshi, N. I., Mann, R., Khan, M. R., & Qureshi, M. F. (2009). Quality management practices of SME in developing countries: a survey of manufacturing SME in Pakistan. *Journal of Quality and Technology Management*, 5(2), 63-89.
11. Madu, C.N. (1998). Quality management in developing economies. In: *Handbook of Total Quality Management*. Springer, Boston, MA. https://doi.org/10.1007/978-1-4615-5281-9_36
12. Mehrabioun Mohammadi, M., Jalali, A. and Hasani, A. (2022), "Success and failure factors in implementing quality management systems in small- and medium-sized enterprises: a mixed-method study", *International Journal of Quality & Reliability Management*, Vol. 39 No. 2, pp. 468-494. <https://doi.org/10.1108/IJQRM-06-2020-0210>
13. Metrological and Quality Infrastructure Experts. (2021). Existing capabilities and highlights of quality infrastructure of Georgia. *E-Medida*, 23. <https://www.e-medida.es/numero-23/existing-capabilities-and-highlights-of-quality-infrastructure-of-georgia/>
14. Ministry of Economic Development of Georgia. (2010). Strategy in the field of technical barriers to trade (TBT). https://dcfta.gov.ge/assets/uploads/agreement/TBT_Strategy%20final%20draft.pdf
15. Moljevic, S. (2016). Influence of quality infrastructure on regional development. *International Journal for Quality Research*, 10(2), 433-452
16. Physikalisch-Technische Bundesanstalt (PTB). (2022). Rapid quality infrastructure market potential assessment for Georgia: Executive summary. <https://geostm.ge/8/wp-content/uploads/2023/04/EaP-CALIDENA-Rapid-QI-Potential-Assessment-Summary-Georgia-Eng-Final.pdf>eastern-partnership.ptb.de+3geostm.ge+3geostm.ge+3
17. Ruso, J., Filipović, J., & Pejović, G. (2017). The role of higher education in national quality infrastructure policy-making. *Management: Journal of Sustainable Business and Management Solutions in Emerging Economies*, 22(1), 15-24.
18. Santos, G., Barros, S., Mendes, F., & Lopes, N. (2012). The main benefits associated with health and safety management systems certification in Portuguese small and medium enterprises post quality management system certification. *Safety Science*, 51(1), 29-36. <https://doi.org/10.1016/j.ssci.2012.06.014>

19. Seturidze, R., Okruashvili, N., Paresashvili, N., & Tikishvili, M. (2025). Youth Unemployment in Georgia and Contemporary Global Challenges. *TECHNOLOGY AND SOCIETY: Boon or Bane?*, 258-265
20. UNIDO. (2024). Quality Infrastructure for Sustainable Development (QI4SD) Index: Summary of 2024 outcomes—Key trends supporting the Sustainable Development Goals with quality infrastructure. United Nations Industrial Development Organization. https://hub.unido.org/qi4sd/pdfs/online_QI4SD_SUMMARY_REPORT.pdf
21. United Nations Industrial Development Organization (UNIDO). (2020). Global Quality and Standards Programme (GQSP) Georgia: Project document. https://downloads.unido.org/ot/17/66/17666211/190283_GQSP_Georgia%20ProDoc_June2020_FINAL.pdf
22. World Bank. (2013). Upgrading the national quality infrastructure in Georgia (Report No. 75662-GE). World Bank Group. <https://documents.worldbank.org/en/publication/documents-reports/documentdetail/355951468225579246/georgia-upgrading-the-national-quality-infrastructure-in-georgia>
23. Zeininger, L., Irimie, S., & Mihai, M. (2017). SME's implementing a quality management system: Risks and opportunities. *Economics and Applied Informatics*, 23(3), 14-19.
24. Zoo, H., de Vries, H. J., & Lee, H. (2017). Interplay of innovation and standardization: Exploring the relevance in developing countries. *Technological forecasting and social change*, 118, 334-348.

გალის რაიონში მცხოვრები ქართველების ეკონომიკური მდგომარეობის სტატისტიკური ანალიზი

მაია გიორგობიანი

ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დავით ღუგლაძე

ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ზამირა შონია

მოწვეული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

კვლევის მიზანს წარმოადგენს გალის რაიონში მცხოვრები ქართველების დემოგრაფიული მდგომარეობა, კერძოდ, ეკონომიკური მდგომარეობის, ბიზნესის განვითარების პოტენციალისა და რეინტეგრაციის შესაძლებლობების შეფასება ოკუპირებული აფხაზეთის კონტექსტში. კვლევის ფარგლებში შეფასდა ეკონომიკური აქტივობის დონე, შემოსავლის წყაროები, მცირე ბიზნესის განვითარების მდგომარეობა, კონფლიქტის გავლენა ეკონომიკურ მდგომარეობაზე, და რეინტეგრაციის პერსპექტივები.

გალის რაიონი, როგორც ოკუპირებული ტერიტორია, მრავალი სოციალური და ეკონომიკური გამოწვევის წინაშე დგას. ოკუპაციის შედეგად, მოსახლეობის უმრავლესობა თვითდასაქმებულია და აგრარული სექტორის დომინირება ეკონომიკურ სტაბილურობას აფერხებს. აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს გალის რაიონში მცხოვრები ქართველების ეკონომიკური მდგომარეობის, ეკონომიკური მდგომარეობაზე კონფლიქტების გავლენის, ბიზნესის განვითარების პოტენციალისა და რეინტეგრაციის შესაძლებლობების შეფასებას. კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. კვლევა ეფუძნება 500 რესპონდენტის ანკეტურ გამოკითხვას, რომელიც ჩატარდა 2025 წლის მარტ-აპრილში. გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემები შეტანილი და დამუშავებული იქნა SPSS სტატისტიკურ პროგრამაში. ზოგადი ანალიზის მისაღებად გამოყენებული იქნა სიხშირული ანალიზის ცხრილები და გრაფიკული ანალიზი. ერთი პრობლემის მეორეზე გავლენის შესაფასებლად გამოყენებული იქნა კროსტაბულაციური ცხრილები და ხი-კვადრატ ტესტები. კვლევაში მონაწილეთაგან 56% არის ქალი, ხოლო

44% - კაცი. რაც ასახავს რეგიონში არსებული დემოგრაფიული ცვლილებების ტენდენციას.

მონაცემების ანალიზმა ცხადყო, რომ გალის რაიონში ახალგაზრდების ნაკლებობა განსაკუთრებით მწვავე პრობლემას წარმოადგენს. გამოკითხულთა მხოლოდ 25% შეადგენს ახალგაზრდებს (18-35 წელი), 45% შეადგენს საშუალო ასაკის პირებს (35-55 წელი), 30% - ხანდაზმულებს (55 წელს ზემოთ). ეს მდგომარეობა, რომ რესპონდენტთა უმეტესობა საშუალო და ხანდაზმული ასაკის პირებით არის წარმოდგენილი, ართულებს რეგიონში ეკონომიკური აქტივობის გაძლიერებას.

პროფესიული გადაშაადების მხრივ აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთაგან არავის არ მიუღია მონაწილეობა პროფესიულ გადაშაადების პროგრამაში, რაც აჩვენებს პროფესიული უნარების დეფიციტს და ეკონომიკური აქტივობების დივერსიფიკაციის ნაკლებობას. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში არ მოქმედებს პროფესიული გადაშაადების პროგრამები, 45%-ს აქვს ინტერესი, აითვისოს ახალი უნარები. თუმცა, მათი თქმით, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და განათლების ხელმისაწვდომობა თითქმის არ არსებობს.

დასაქმების სტატუსის მიხედვით 54% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობაში - 20%, მომსახურების სფეროში - 16% 10% აღნიშნავს რომ არაა დასაქმებული. რაც მიუთითებს, რომ გალის რაიონში სოფლის მეურნეობა კვლავაც მთავარ ეკონომიკურ სექტორს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროები მცირედით ვითარდება. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ გალის რაიონის ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული აგრარულ სექტორზე, თუმცა არსებობს ახალი ეკონომიკური აქტივობების განვითარების პოტენციალი.

ბიზნესის ქონასთან დაკავშირებით, 32% აცხადებს, რომ მცირე ბიზნესი აქვს, თუმცა რესურსების ნაკლებობა ართულებს მისი გაფართოების პროცესს. გამოკითხულთა 68%-ს სურს ახალი ბიზნესის დაწყება, თუმცა ფინანსური მხარდაჭერის გარეშე ეს რთულია. ეს კი მიუთითებს რეგიონში ეკონომიკური ინიციატივების პოტენციალზე, თუმცა ფინანსური რესურსების ნაკლებობა მნიშვნელოვან დაბრკოლებად რჩება.

რეგიონში კონფლიქტის გავლენა კვლავ აქტუალური და მნიშვნელოვანი ფაქტორია, 40% აღნიშნავს, რომ კონფლიქტმა უარყოფითი გავლენა მოახდინა მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მხრივაც დადგინდა, რომ 40%-ს აქვს მძიმე მდგომარეობა, საშუალო - 50% კარგი - 10%: რაც მიანიშნებს რეგიონში შემოსავლების სტაბილურობის პრობლემაზე.

რეინტეგრაციის ხელშეწყობის მიმართულებით რესპონდენტთა 37% დასაქმების საკითხს ასახელებს პრიორიტეტად, 25% – ინფრასტრუქტურის აღდგენას, ხოლო 20% – ინვესტიციების მოზიდვას.

რეგიონში კონფლიქტის გავლენა ჯერაც შესამჩნევია: 40% აღნიშნავს, რომ კონფლიქტმა უარყოფითი გავლენა მოახდინა მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ გალის რაიონის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინერგება პროფესიული გადამზადების პროგრამები, განხორციელდება მცირე ბიზნესის მხარდაჭერი ღონისძიებები და შეიქმნება სტაბილური ეკონომიკური გარემო.

საკვანძო სიტყვები: გალის რაიონი, აფხაზეთი, ოკუპირებული ტერიტორია, ეკონომიკური მდგომარეობა, რეინტეგრაცია

ბიბლიოგრაფია

1. აბაშიძე, ვ. (2020). საქართველოს რეგიონების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტი.
2. ბერიძე, ა. (2018). კონფლიქტის ზონებში ეკონომიკური რეინტეგრაცია. სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური მიმოხილვა, 12(3), 45-60.
3. ჯაფარიძე, დ. (2019). პროფესიული გადამზადების როლი ოკუპირებულ ტერიტორიებზე დასაქმების გაზრდაში. ეკონომიკური კვლევები, 5(2), 88-102.
4. National Statistics Office of Georgia. (2023). Annual Report on Employment and Unemployment. Retrieved from <https://www.geostat.ge/en/modules/categories/112/employment-and-unemployment>
5. World Bank. (2021). Georgia Economic Update: Supporting Recovery and Growth. Washington, DC: World Bank Publications.
6. <https://www.geostat.ge/>

ARTIFICIAL INTELLIGENCE IN ACCOUNTING

Manana Mchedlishvili

*Associate Professor,
Caucasus International University, Georgia*

Abstract

Although Georgia, like many other countries, is not yet fully integrated with AI technologies. Its implementation in the future is inevitable. Accountants, who previously counted by hand and searched for data in archives, are now struggling to manage the abundance of data and make effective decisions. Artificial intelligence is changing accounting in real time. AI technologies simplify document processing, reporting, budgeting, tax management, and financial forecasting. According to research, more than 80% of companies are actively considering artificial intelligence in accounting. By 2026, 50% of a company's financial statements will be created automatically with the help of AI systems. And by 2030, more than 40% of accounting work will be automated. AI systems will classify documents more interactively and be able to place them in the correct category. Algorithms will process large volumes of historical data and analyze them. The systems will look for some natural panorama of financial trends. For example, an increase or decrease in income and expenses. AI technologies can also predict future events. AI systems can use precise methods to identify financial anomalies in companies in a timely manner. It intelligently identifies "gaps" and notifies the appropriate individuals so that they can make the necessary corrections in a timely manner. It not only automatically classifies transactions, but also automatically updates financial statements. It will also forecast the expenses incurred by the company, based on which it will create a more complete budget. AI systems also play an important role in the tax process. AI collects information about current taxes, checks paid and unpaid taxes. It will be able to automatically detect errors so that the company can avoid penalties resulting from non-payment of taxes. AI technologies will become critical in blockchain and cryptocurrencies. A blockchain-based system allows for full control over transactions, which significantly increases transparency. Decentralized storage of financial information simplifies audits and ensures that any errors or fraudulent actions are easily detected. Monitoring and automated processing of payments made in cryptocurrencies through AI can be much faster and more secure.

Wissol Group, one of the leading companies in Georgia, uses artificial intelligence to optimize financial and accounting processes. AI algorithms built into the company's ERP system. Automatically processes and categorizes transactions. Wissol also uses analytical

models to predict prices, which helps in effective management. Financial statements are automatically generated, which improves the quality of a company's financial management.

The integration of artificial intelligence into accounting is not just a technological advancement - it requires approaches based on new ethical and legal standards. Data confidentiality and security - accounting systems contain critically important financial information, which includes the personal data of both the company and its partners and customers. Processing this data by AI creates serious risks. To mitigate these risks, companies should use secure and certified AI systems that comply with international data protection regulations such as GDPR or ISO/IEC 27001. Liability issue - when an AI algorithm used in accounting makes a mistake (for example, incorrectly calculating a tax or misclassifying a transaction). The ethical limits of human replacement - Amid the widespread introduction of AI, a question is often asked: Will “machines” replace human accountants? There are the following ethical challenges in this process:

- Fear of the disappearance of the profession and the violation of human dignity
- Reduction of jobs in small and medium-sized companies
- Unclear protection of labor rights in the process of automation

AI should be used to support humans, not to completely replace them.

Thus, AI can become a cheap and effective alternative for small and medium-sized businesses, which will help small companies automate accounting processes. Because companies may not be able to afford to purchase expensive software systems. AI can conduct cash flow analysis and contribute to financial stability and risk management efficiency. The future belongs to accountants who don't just see numbers, but see opportunities.

Keywords: *artificial intelligence, accounting, AI technology, financial statements, cryptocurrency*

ფინანსური ტექნოლოგიების განვითარების პოტენციალი საქართველოში

სათუნა შალამბერიძე

ასოცირებული პროფესორი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ფინანსური ტექნოლოგიები თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე დინამური და გარდამქმნელი სფეროა, რომელიც ცვლის ტრადიციული ფინანსური მომსახურების მოდელებს და ქმნის ახალ შესაძლებლობებს, როგორც მომხმარებლებისთვის, ისე ბიზნესისთვის. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია მკაფიოდ ჩამოყალიბდეს საქართველოში ფინტექის განვითარების რეალური შესაძლებლობები, რომელიც გულისხმობს, როგორც ტექნოლოგიური პროგრესის, ისე ეროვნული ბანკისა და კერძო სექტორის აქტიურ ჩართულობას. ეს ნაშრომი იკვლევს ფინტექის გამოყენების თანამედროვე მიდგომებს საქართველოში.

თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ, ფუნდამენტურად შეცვალა ფინანსური სერვისების მიწოდების ფორმა და შინაარსი საქართველოში. ბოლო წლების განმავლობაში, ციფრული ტრანსფორმაცია გახდა ფინანსური სექტორის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა, რაც გამოიხატა როგორც მომხმარებელზე მორგებული სერვისების შექმნაში, ისე ფინანსური ხელმისაწვდომობის ზრდაში.

კვლევის მიზანი. ფინტექი აერთიანებს ტექნოლოგიურ ინოვაციებს ფინანსურ სერვისებთან. ეს მოიცავს მობაილ ბანკინგს, ციფრულ საფულეებს, ონლაინ სესხებს, გადახდების ავტომატიზაციას, ბლოკჩეინ ტექნოლოგიებს და სხვა. ფინტექი მომხმარებლებს სთავაზობს სწრაფ, მარტივ და ხშირად უფრო იაფ სერვისებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მომხმარებლებისთვის, ვისაც ტრადიციულ ბანკებთან წვდომა შეზღუდული აქვს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ამ პროცესში არის ღია ბანკინგის (Open Banking) დანერგვა, რომელიც მომხმარებლებს აძლევს შესაძლებლობას, უსაფრთხოდ გაუზიარონ თავიანთი ფინანსური მონაცემები მესამე მხარეს - მაგალითად, ფინტექ კომპანიებს - რაც ქმნის პერსონალიზებული და ინოვაციური სერვისების მიწოდების ახალ შესაძლებლობებს. საქართველოში ღია ბანკინგის ეკოსისტემის განვითარება უკვე რეალობაა: კერძო და საჯარო სექტორები თანამშრომლობენ, რათა მომხმარებელს შესთავაზონ გამარტივებული გადახდები,

დისტანციური იდენტიფიკაცია და ალტერნატიული მონაცემებზე დაფუძნებული საკრედიტო შეფასება.

კვლევის მიდგომა. ამ მიზნების მისაღწევად, კვლევა იყენებს მტკიცე შერეული მეთოდების მიდგომას, რომელიც აერთიანებს, როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივ მეთოდოლოგიას.

კვლევის შედეგები. თემის სიდრმისეულმა შესწავლამ გამოავლინა რომ, საქართველოს ფინანსურ სექტორში, ხელოვნური ინტელექტის (AI) და მონაცემთა ანალიტიკის ინტეგრაციამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა რისკების მართვა, თაღლითობის გამოვლენა და მომხმარებელთა ქცევის ანალიზი. AI სისტემები უკვე გამოიყენება როგორც კომერციულ ბანკებში, ისე ფინტექ სტარტაპებში, რაც ზრდის ოპერაციულ ეფექტიანობას და ამცირებს ხარჯებს. მაგალითად, ალგორითმებზე დაფუძნებული საკრედიტო შეფასების მოდელები მომხმარებლის ფინანსურ ქცევას აფასებენ არა მხოლოდ ტრადიციული კრედიტული ისტორიის, არამედ სხვა ციფრული მონაცემების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად უწყობს ხელს ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვას და ქმნის მარეგულირებელ ჩარჩოს, რომელიც ეხმარება ინკლუზიური და მდგრადი ფინანსური ეკოსისტემის განვითარებას. ეს სტრატეგია მიზნად ისახავს, როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვას, ისე ინოვაციების წახალისებას.

მიუხედავად პროგრესისა, ფინტექის განვითარებას საქართველოში ჯერ კიდევ აქვს გამოწვევები - მათ შორისაა მომხმარებელთა ცნობიერების დაბალი დონე, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საჭიროება და რეგულაციების დახვეწა. თუმცა, საქართველოს აქვს პოტენციალი, რომ რეგიონში ფინტექ ინოვაციების ჰაბად ჩამოყალიბდეს. ამისთვის აუცილებელია განათლების სისტემაში ფინტექის ინტეგრაცია, ინვესტიციების მოზიდვა და სტარტაპების მხარდაჭერა.

დასკვნა. თანამედროვე ტექნოლოგიების როლი ფინანსურ სერვისებში არ შემოიფარგლება მხოლოდ სერვისების გაციფრულებით - ის ქმნის ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ამცირებს ბიუროკრატიულ ბარიერებს და აძლიერებს მომხმარებელთა ნდობას ფინანსური ინსტიტუტების მიმართ. საქართველოში მიმდინარე, ფინანსურ ტექნოლოგიების განვითარების პროცესებმა ცხადყო, რომ ტექნოლოგიური პროგრესი არა მხოლოდ გარდაქმნის ფინანსურ სექტორს, არამედ აყალიბებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ახალ სტანდარტებს. საქართველოში უკვე შეინიშნება ფინტექ სტარტაპების და მობაილ ბანკინგის ფართო გამოყენება, რაც მიუთითებს ბაზრის მზაობაზე.

საკვანძო სიტყვები: ფინტექი; დია ბანკინგი; ციფრული ტრანსფორმაცია.

ბიბლიოგრაფია:

1. სებ, (2025). საქართველოს ფინტექის განვითარების სტრატეგია
<https://shorturl.at/b9YfV>
2. Agarwal, A. (2024). the Impact of Financial Technology (Fintech) on Traditional Banking.
International Journal of Research in Humanities and Social Sciences.
3. Broby, D. (2021). Financial technology and the future of banking. Financial Innovation, 7(47)
4. Brett King. (2018.) Bank 4.0: Banking Everywhere, Never at a Bank
5. McKinsey & Company. (2020). Next-gen technology transformation in financial services.
6. McKinsey & Company. Negi, V. S. (2023). Fintech Disruption in Traditional Banking: Implications for Banks and Consumers. JETIR (Journal of Emerging Technologies and Innovative Research)
7. Tsothe Zhghenti & V. C. (2023). Digital ecosystem digest - fintech market in Georgia - structure and main trends. BTU Entrepreneurial and Research Centers.

შუა ღერეფანი და საქართველოს მონაწილეობა გლობალურ სატრანზიტო ეკონომიკაში

თენგიზ გაბინაშვილი

დოქტორანტი

მაია ბენია

პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

რუსუდან ქინქლაძე

ასოცირებული პროფესორი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

„შუა ღერეფანის“ მიზანია საიმედო და ეფექტური კავშირი დაამყაროს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ამ მიმართულებით მიმდინარე დისკუსიებმა პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღების ფაზაში გადაინაცვლა. სასურველი შედეგის მისაღწევად, აუცილებელია შუა ღერეფანში ჩართული ქვეყნების — ჩინეთის, ყაზახეთის, ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნების, აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის — კოორდინირებული თანამშრომლობა, რომელიც საერთო, ევროპასთან დაკავშირებულ სატრანსპორტო სივრცეს შექმნის.

გეოპოლიტიკური რყევების მიუხედავად, საქართველოს, მისი სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, ეძლევა ახალი შესაძლებლობები. ქვეყნისთვის იზრდება როგორც პასუხისმგებლობა, ასევე მისი როლი რეგიონულ სატრანზიტო ქსელში, სადაც ის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მნიშვნელოვან დამაკავშირებელ რგოლად გვევლინება. შუა აზიის ქვეყნები აქტიურად განიხილავენ შუა ღერეფანის სამომავლო ძირითად მარშრუტად გამოყენებას და მასში დიდი ინვესტიციების განხორციელებას, რაც საქართველოს კიდევ უფრო დიდ სტიმულს აძლევს საკუთარი ინფრასტრუქტურის გასავითარებლად.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის დასრულებას, რკინიგზის მოდერნიზაციას, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის სრულ ამოქმედებასა და აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომარგისტრალის მშენებლობის დაჩქარებას. ეს პროექტები მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყნის სატრანსპორტო გამტარუნარიანობას.

საქართველოს წინაშე დგას ასევე კონკრეტული ლოკალური გამოწვევები, მათ შორის ბათუმის ნავსადგურის ინფრასტრუქტურის განახლება. სარკინიგზო და საპორტო მიმართულებების მოდერნიზაცია, ასევე სპეციალიზებული ტერმინალების შექმნა ნაყარი, ქიმიური ტვირთების, გადამუშავებული ლითონისა და ქვანახშირის

გადასამუშავებლად, (ძირითადად ყაზახეთიდან მომავალი ტვირთები), რაც გააუმჯობესებს ქვეყნის სატრანსპორტო მიმზიდველობას.

ბოლო წლებში ქვეყანაში ტრანსპორტის სექტორთან ერთად განვითარდა ლოგისტიკის სექტორიც, შესაბამისად კი გაიზარდა სატრანზიტო და ლოგისტიკური პოტენციალი, რაც გლობალურ ბაზრებთან უკეთეს საერთაშორისო კავშირს უზრუნველყოფს.

მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, იმისათვის, რომ საქართველო იქცეს რეგიონულ სატრანზიტო და ლოგისტიკურ ჰაბად, არაერთი გამოწვევის წინაშე დგას იგი. დიდი ძალისხმევაა საჭირო წინააღმდეგობრივი ფაქტორების აღმოსაფხვრელად, რომელთა შორისაცაა კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, სამუშაო ძალის ორგანიზება, მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტის ეფექტურობა, ლოგისტიკური ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის გაახლება და რაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, მომსახურების დაბალი კულტურა.

საქართველოს სატრანსპორტო დარგების ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ტრანსპორტის სფეროს სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს უზრუნველყოფა და მისი გაუმჯობესება, სატრანსპორტო უსაფრთხოების დონის ამაღლება, ქვეყნის ინტეგრაცია საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში და ქსელებში, „დერეფანში“ მონაწილე ქვეყნებთან თანამშრომლობა, ინვესტიციების განხორციელება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში, ქვეყანაზე გამავალი სატრანსპორტო მარშრუტების მიმზიდველობა და კონკურენტუნარიანობის ზრდა და მდგრადი ეფექტიანი სატრანსპორტო კავშირების უზრუნველყოფა, რისთვისაც მნიშვნელოვანია ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დაჩქარებული განვითარება. ასევე მნიშვნელოვანია აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოში ლოგისტიკური ცენტრების შექმნა, რომლის განვითარებაც უნდა წარიმართოს საქართველოსა და რეგიონის მოთხოვნების შესაბამისად. ლოგისტიკური ცენტრების მშენებლობა ხელს შეუწყობს როგორც ლოგისტიკური სერვისების განვითარებას, ასევე დამატებითი ღირებულების მომსახურების განვითარებას, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება მიწოდების ჯაჭვის უკეთესი მართვისათვის.

ქვეყნის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს „ვიფრული ჰაბის“ პოზიციის დამკვიდრება, რომელიც მოითხოვს ინტერნეტის მაღალი ხარისხის ინფრასტრუქტურას და ფართოზოლოვანი ინტერნეტის მასშტაბურობას, რაც მოითხოვს ფართოზოლოვანი ქსელებისა და მომსახურების საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწას.

მართალია ტრანსპორტის თითოეულ დარგს ახასიათებს უსაფრთხოების განსხვავებული თავისებურება, თუმცა საერთო აქვთ ძირითადი პრინციპები და მიდგომები. ქვეყნის მთავარ მიზანს წარმოადგენს სატრანსპორტო ოპერაციების უსაფრთხოდ შესრულება, რათა დაცული იყოს სატრანსპორტო შემთხვევებისგან

და მათგან გამოწვეული დაზიანებებისგან, იქნება ეს ადამიანების ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებები თუ დაღუპვა. უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევები ძირითადად ეხება საავტომობილო ტრანსპორტს და პრიორიტეტიც ენიჭება ამ დარგს.

საქართველოს, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი როლი ერგო როგორც რეგიონულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ აზიასა და ევროპას შორის სხვა სატრანზიტო მარშრუტებიც არსებობს, საქართველოს აქვს წამყვანი პოზიცია შუა დერეფნის განვითარების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: შუა დერეფანი, სატრანსპორტო მაგისტრალი, სტრატეგიული მდებარეობა, აბრეშუმის გზა, ტვირთების გატარება.

SMART MARITIME LOGISTICS: DIGITAL TRANSFORMATION FOR SUSTAINABLE TRANSPORT NETWORKS

Giorgi Abashidze

Asistent, Batumi Navigation University

Abstract

The maritime industry, which quietly powers over 80-90% of global trade, is now facing a critical turning point. On one hand, there's growing pressure to improve efficiency, especially with fuel prices fluctuating and supply chains growing more complex. On the other, the industry is under increasing scrutiny to reduce its environmental impact. This paper looks at how the sector is responding through a shift toward what's being called Smart Maritime Logistics—essentially a new way of doing things, driven by digital technologies. Instead of sticking to the old systems, many shipping companies are adopting tools that make their operations more connected, transparent, and responsive. Technologies like the Internet of Things (IoT) are playing a big role by delivering real-time data from ships and cargo. Meanwhile, Artificial Intelligence (AI) helps make sense of that data, supporting smarter decisions—from routing to maintenance. Big Data analytics helps spot patterns and optimize operations on a larger scale, while Blockchain is starting to offer more secure and efficient ways to manage documentation and transactions. Together, these tools are helping companies track vessels in real time, predict maintenance needs before problems occur, and streamline port calls to reduce delays. Not only does this improve efficiency and cut fuel costs, but it also reduces the environmental burden by lowering emissions through better route planning and less engine idling. These technologies are also helping companies become more resilient—able to adapt quickly when disruptions happen, whether due to weather, geopolitical issues, or global events. In a world where trade stability is more important than ever, that adaptability is key. In short, embracing digital tools isn't just a smart business move anymore—it's becoming essential. If the maritime industry wants to stay viable, meet environmental goals, and keep global trade moving smoothly, smart logistics and digital transformation need to be at the heart of its strategy.

Keywords: *Smart Maritime Logistics, Digital Transformation, Supply Chain Efficiency, Environmental Sustainability.*

Bibliography

1. Poulsen, R. T., Ponte, S., & Soronn-Friese, H. (2018). "Environmental upgrading in global value chains: The potential and limitations of ports in the greening of maritime transport."
2. Lai, K.-H., Lun, Y. H. V., Wong, C. W. Y., & Cheng, T. C. E. (2011), "Green shipping practices in the shipping industry: Conceptualization, adoption, and implications."
3. Notteboom, T., & Rodrigue, J.-P. (2021), "Port Economics, Management and Policy." Routledge.
4. Heilig, L., Lalla-Ruiz, E., & Voß, S. (2017), "Digital transformation in maritime ports: Analysis and a game theoretic framework."
5. Acciaro, M., Ghiara, H., & Cusano, M. I. (2014), "Energy management in seaports: A new role for port authorities."

შავი ზღვა - მდგრადი სატრანსპორტო კვანძი და მწვანე ენერგეტიკული ღერეფანი

ქეთევან ვუზირიშვილი-ნოზაძე

ასოცირებული პროფესორი, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტი

მადონა ლორია

ასოცირებული პროფესორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საქართველო, როგორც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმომწერი და ენერგეტიკული გაერთიანების წევრი ქვეყანა, ევროკავშირის კანონმდებლობის ეტაპობრივი გადმოტანით და ამოქმედებით ახორციელებს რეფორმებს ენერგეტიკის სექტორში, რამაც უნდა უზრუნველყოს კონკურენტული, გამჭვირვალე და ეფექტიანი ენერგეტიკული ბაზრების ჩამოყალიბება, საიმედო საინვესტიციო გარემოს შექმნა და საერთაშორისო კავშირების გამყარება. ამ გზით ქვეყანა ცდილობს ჩამოაყალიბოს მდგრადი, მალალტექნოლოგიური ენერგეტიკული სექტორი, აღმოფხვრას ჩამორჩენა მოთხოვნის ზრდასა და შიგა მიწოდებას შორის და ხარისხიანი, ხელმისაწვდომი ენერჯის სტაბილური მიწოდებით, შექმნას ეკონომიკური განვითარების და საყოფაცხოვრებო კომფორტის პირობები მთელ ქვეყანაში (დროებით ოკუპირებული ტერიტორიების ჩათვლით).

ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელია პარტნიორული ურთიერთობები მეზობელ თუ ევროკავშირის და ენერგეტიკული გაერთიანების წევრ სახელმწიფოებთან. არანაკლებ მნიშვნელოვანია ინვესტიციების, საერთაშორისო ინსტიტუტების, სექტორის მონაწილეების თუ მოქალაქეების ნდობა და თანამონაწილეობა ენერგეტიკული პოლიტიკით დასახული მიზნების მიღწევაში. სწორედ ამიტომ სტატიაში ჩვენ წარმოვადგენთ შავ ზღვას, როგორც ქვეყნის ეკონომიკური გაჯანსაღების მნიშვნელოვან ატრიბუტს. შავი ზღვა მითების და ლეგენდების სამყაროდან უნდა გადაიქცეს მდგრად სატრანსპორტო კვანძად და მწვანე ენერგეტიკულ ღერეფნად. ამის დასტურია „შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის“ პროექტი, რომლის ინიციატორი და იდეის ავტორი საქართველოა. სწორედ ჩვენმა ქვეყანამ წარადგინა ეს პროექტი აღმოსავლეთ პარტნიორობის ეკონომიკური და საინვესტიციო პროექტების ჩამონათვალში და საქართველოშივე დაიწყო ტექნიკურ - ეკონომიკური კვლევები, ისევე როგორც ამ სამუშაოების დაფინანსება. შემდგომ ამას შემოუერთდა პარტნიორი ქვეყნები და უკვე შემდეგ ეტაპზე გაფორმდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო

შეთანხმება, რომელშიც ოთხი ქვეყანა იქნება ჩართული: საქართველო, აზერბაიჯანი, რუმინეთი და უნგრეთი.

„შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის“ პროექტი არის უმსხვილესი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც ერთმანეთთან პირდაპირ დააკავშირებს საქართველოსა და რუმინეთის, ხოლო ფართო კონტექსტში - სამხრეთ კავკასიის და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ელექტროენერგეტიკულ სისტემებს. წყალქვეშა კაბელის სიგრძე იქნება 1155 კმ-ზე მეტი (1115კმ წყალქვეშ, ხოლო 40 კმ ხმელეთზე), ძაბვა - 525 კვ, ხოლო სიმძლავრე - 1300 მგვტ. პროექტი ასევე მოიცავს ოპტიკურ-ბოჭკოვანი სატელეკომუნიკაციო კაბელის მშენებლობას, რომელიც წყალქვეშა ძალოვანი კაბელისთვის შერჩეულ დერეფანში დამონტაჟდება. წყალქვეშა კაბელის მშენებლობის დასრულების სავარაუდო თარიღია 2030 წელი. პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურმა კვლევამ, რომელიც იტალიურმა საკონსულტაციო კომპანია CESI-მ განახორციელა, დაადგინა, რომ აღნიშნული პროექტი ტექნიკურად და ეკონომიკურად განხორციელებადია.

ჩვენი კვლევის მიზანია ამ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისას წინასწარ დავადგინოთ თუ რა ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს საქართველო, შევძლებთ კი ექსპორტზე გავიტანოთ ჩვენი ქვეყნის განახლებადი რესურსების ენერჯია თუ დავრჩებით მხოლოდ სატრანზიტო დერეფნად, რომელიც ასევე ძალიან მიმზიდველია, თუმცა ნაკლებად შემოსავლიანი.

შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი საქართველო-ევროკავშირის ენერგეტიკულ თანამშრომლობაში ისტორიული ნაბიჯია. მისი წარმატება დამოკიდებული იქნება საინვესტიციო გარემოზე, ეკოლოგიურ კვლევებზე და ტექნიკურ გადაწყვეტებზე. თუ პროექტი განხორციელდება, საქართველო მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ევროპის ენერგეტიკულ სტრუქტურაში და განახლებადი ენერჯიის გლობალურ ტრანსფორმაციაში. 2030 წლამდე ჩვენს ქვეყანას აქვს შესაძლებლობა 1331 მგვტ სიმძლავრის ქარის და 520 მგვტ მზის ელექტროსადგურების ჩართვა მოახდინოს ელექტროენერგეტიკულ ქსელში, რაც შეეხება ჰიდრორესურსებს, ჩვენმა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ის გამოისყიდის ხუდონ ჰესის პროექტს 13,5 მილიონ დოლარად და თვითონ განახორციელებს ნამოხვანის პროექტსაც. მაშინ ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი ჩვენი ეკონომიკური სიძლიერის უმნიშვნელოვანესი გარანტი გახდება და საქართველო გადაიქცევა სატრანზიტო ქვეყნიდან ექსპორტიორ ქვეყნად და ენერგეტიკულ ჰაბად აზიასა და ევროპას შორის.

საკვანძო სიტყვები: შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი, ელექტროენერჯიით ვაჭრობა, სატრანზიტო დერეფანი, ენერგეტიკული უსაფრთხოება

თანამედროვე უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების სწავლისათვის მოტივირება

ელიდა ხვედელიძე

ასოცირებული პროფესორი

ეკატერინე გვარიშვილი

ასოცირებული პროფესორი

ეკატერინე ჩიქოვანი

ასოცირებული პროფესორი

ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია სტუდენტების მოტივაციის მნიშვნელობა და მისი გავლენა მათ აკადემიურ წარმატებაზე. გამოყოფილია სხვადასხვა ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენენ მოტივაციის ფორმირებაზე. კვლევა გვთავაზობს სტუდენტების მოტივაციისადმი სხვადასხვა მიდგომას, მათ შორის შინაგანი მოტივაციის სტიმულირებას, თვითშეფასების განვითარებას, სტუდენტების აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში და ხელსაყრელი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. ნაშრომში განხილულია პრაქტიკული რეკომენდაციები და მეთოდები, რომელთა გამოყენებაც მასწავლებლებს შეუძლიათ სტუდენტების მოტივაციის ასამაღლებლად. გარდა ამისა, ნაშრომში ხაზგასმულია უნივერსიტეტში საგანმანათლებლო საქმიანობის როლი და მისი კავშირი სტუდენტების მოტივაციასთან. სტატიაში ხაზგასმულია მხარდამჭერი და განვითარებადი გარემოს შექმნის მნიშვნელობა, სადაც სტუდენტები მიიღებენ არა მხოლოდ ცოდნას, არამედ ინტერპერსონალურ უნარებს, თვითრეალიზაციის შესაძლებლობას და განავითარებენ კრიტიკულ აზროვნებას.

ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ კვლევა თანამედროვე უნივერსიტეტის კონტექსტში სტუდენტების მოტივაციის შესახებ ახალ ცოდნას იძლევა. გარდა ამისა, კვლევა აჩვენებს სტუდენტების მოტივაციასა და მათ სწავლას შორის ურთიერთობას, ასევე საგანმანათლებლო აქტივობების როლს მოტივაციის გაძლიერებაში. ეს საშუალებას იძლევა უკეთ გავიგოთ, თუ როგორ მოქმედებს მოტივაცია სწავლის შედეგებზე და როგორ შევქმნათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების მოტივირებას. ნაშრომი გვთავაზობს კონკრეტულ რეკომენდაციებსა და მეთოდებს მასწავლებლებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის სტუდენტების მოტივაციის გასაძლიერებლად. ეს რეკომენდაციები ეფუძნება თეორიულ ჩარჩოს და შეიძლება გამოყენ-

ბულ იქნას პრაქტიკაში განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და უკეთესი შედეგების მისაღწევად.

საკვანძო სიტყვები: სტუდენტების მოტივაცია, სწავლა, საგანმანათლებლო აქტივობები, უნივერსიტეტი, შინაგანი მოტივაცია, აქტიური ჩართულობა.

ქვეყნის მატერიალური და არამატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენების ასპექტები

თამაზი გამსახურდია

ასოცირებული პროფესორი

თეიმურაზ ფესტვინიძე

ასოცირებული პროფესორი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც ხელისუფლების ზრუნვის უწყვეტ პროცესად არის მიჩნეული. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია მატერიალური და არამატერიალური რესურსების შესწავლისა და მათი ეფექტური გამოყენების ზოგიერთ საკითხებზე, რაც საშუალებას მისცემს ქვეყანას ადამიანისუფლებების რესურსების დასაქმებებად, იმიგრაციული პროცესების შესამცირებლად, დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ასამაღლებლად.

ასევე ყურადღებაა გამახვილებული საბანკო დაწესებულებებში სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთების შესაძლო მინიმუმამდე დაყვანაზე. არსებული განაკვეთები გადაულახავ ბარიერს წარმოადგენს არა მარტო დამწყები ბიზნესისათვის, ასევე ბიზნესის გაფართოების მსურველებისათვის და იპოთეკატორებისათვისაც. ეს პროცესები დამოკიდებულია მთავრობის სწორ პოლიტიკაზე არეგულიროს საბანკო და ფისკალური პროცესები ქვეყანაში.

ასევე აღნიშნულია ადამიანისუფლებების გადინება საზღვარგარეთ, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის დემოგრაფიაზე და ბიზნესის განვითარებაზე.

აგრეთვე ნაშრომში ხაზგასმითაა აღნიშნული ქვეყანაში განათლების სისტემაში არსებული ხარვეზები. საუბარია საჯარო სკოლებში სწავლების არასაკმარის დონეზე, განსაკუთრებით 11-12 კლასების შეუსაბამება მათი დამატების პირველად მიზნებთან. აუცილებელია სახელმწიფოს შესაბამისმა ორგანოებმა დაამტკიცონ ყველა სპეციალობის სტანდარტები და სპეციალობებზე ქვეყანაში საჭირო გამოშვების სამომავლო გეგმები, იმისათვის რომ თავიდან ავიცილოთ ქარბი კადრების მომზადება.

გარკვეული აქცენტებია გაკეთებული ადგილობრივი აგრო პროდუქციის შენახვასა და მათ როგორც ნახევარ ფაბრიკატებად გამოყენებაზე საკონსერვო და გადამამუშავებელ მრეწველობაში.

საკვანძო სიტყვები: *აგრო ბიზნესი, კრედიტები, ექსპორტ-იმპორტი, დემოგრაფია, საბანკო სექტორი.*

„ოვერტურიზმის“ კონცეფცია და მისი გამოწვევების პოტენციური გადაწყვეტილებები

ნანა კაციტაძე

ასოცირებული პროფესორი

ნატალია ხარაძე

ასოცირებული პროფესორი,

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლელა კოჭლამაზაშვილი

პროფესორი

თეიმურაზ ყანდაშვილი

პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

წარმოდგენილია ტურიზმის კვლევებში ახალი სადისკუსიო სფერო საქართველოს ტურისტული მიმართულებებისთვის. იგი ეხება ოვერტურიზმის პრობლემას, რომელიც სულ უფრო აქტუალური ხდება მსოფლიოს მზარდ ტურისტულ მიმართულებებში. სტატია იკვლევს „ჭარბი ტურიზმის“ კონცეფციის არსს და აქცენტირებულია ამ ფენომენის თეორიულ საფუძვლების და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე, მიზნად ისახავს მსოფლიოში არსებულ პრაქტიკულ გამოცდილებების საფუძველზე საქართველოს ტურისტული მიმართულებებზე ოვერტურიზმის გამოწვევების დაძლევის გზების ძიებას.

ტერმინები, როგორცაა „გადაჭარბებული ტურიზმი“ (Overtourism) და „ტურიზმ-მოფობია“ სულ რამდენიმე წლის წინ გაჩნდა. აღნიშნულმა პრობლემამ მიიპყრო ყურადღება, მხოლოდ მას შემდეგ რაც გადაჭარბებულმა ტურიზმმა ევროპის მთავარ ტურისტულ მიმართულებებში დააზიანა მასპინძელი საზოგადოების საცხოვრებელი გარემო და გამოიწვია ქუჩის პროტესტები. აღნიშნული ვითარება აიხსნება იმით, რომ თანამედროვე ტურიზმი მისი დინამიკური ზრდისა და მაღალი ეკონომიკური ეფექტურობის გამო მიმზიდველი დარგია და სოციალური ზემოქმედების უარყოფითი ასპექტები ყურადღების მიღმა რჩებოდა.

„ოვერტურიზმი“ წარმოადგენს ძალიან რთულ და გაუმჭვირვალე ფენომენს, რომელიც შეიძლება ზედმეტად გამარტივდეს დაინტერესებული მხარეების მიერ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის არ გამოააშკარავებს თავს მყისიერად. მას ფაქტობრივად 2017 წლამდე (ევროპაში გამოსვლების თარიღი) არ ექცეოდა ყურადღება მიუხედავად იმისა, რომ 1960-იანი წლებიდან არსებობდა ისეთი მოდელები, როგორცაა

Doxey's Irridex მოდელი [3], ბატლერის სასიცოცხლო ციკლი [1] და პიზამის აღწერა „დესტინაციებში“ თემების სოციალური დანახარჯების შესახებ, რომლებიც ეხება „გადაჭარბებულ ტურიზმთან“ დაკავშირებულ საკითხებს ტურიზმისა და ურბანული ცვლილებების ურთიერთქმედების ფონზე [9].

„ოვერტურიზმი“ UNWTO-ს განმარტებით არის: „ტურიზმის გავლენა დანიშნულების ადგილზე ან მის ნაწილებზე, რომელიც უარყოფითად მოქმედებს მოქალაქეების ცხოვრების ხარისხზე და/ან ვიზიტორთა გამოცდილების ხარისხზე“ [10]. საყურადღებოა რომ ეს განმარტება ბუნდოვანია, მოკლებულია სიცხადეს და მისი პრაქტიკული გამოყენება გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული [6]. შესაბამისად, მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ არსებული შეხედულებების განხილვისა და განვითარების საფუძველზე [2].

„ოვერტურიზმის“ ფენომენის წარმოშობა დაკავშირებულია სოციალური პარადიგმის ცვლილებასთან: ადამიანების კეთილდღეობა არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ ეკონომიკური ზრდით და რომ მისი ალტერნატივა არის ადამიანების ცხოვრების ხარისხი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს ტურიზმის სოციალური ზემოქმედების შემცირების სტრატეგიების იდენტიფიცირებას და ადგილობრივ თემებში ტურიზმის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების და მისი გამოვლინებების პრობლემის მოგვარებას. ამასთან იგი აფუჭებს ტურისტების შთაბეჭდილებას დესტინაციაზე.

კვლევისთვის შეირჩა ბათუმი, როგორც სწრაფად განვითარებადი საკურორტო ქალაქი, სადაც შეიმჩნევა ოვერტურიზმის თვალსაჩინო ასპექტები.

ტურისტების გავლენა ფიზიკურ გარემოზე შეიძლება შეფასდეს რაოდენობრივი მაჩვენებლებით, ისევე, როგორც ეკოლოგიურ ზემოქმედება ფასდება ტურიტორიის გამტარუნარიანობის რაოდენობრივი მაჩვენებლით. სოციალური ზემოქმედების შეფასება გაცილებით რთულია და იგი დამოკიდებულია არა მხოლოდ ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, არამედ ადგილობრივი საზოგადოების ტოლერანტობის დონეზეც, რომელიც განსხვავდება ყველა ტურისტულ მიმართულებაზე. საქართველოს მაგალითზე დაფუძნებული კვლევა ადასტურებს ბოლო სამეცნიერო ნაშრომებში გამოთქმულ მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ ადგილობრივი საზოგადოების დამოკიდებულებაზე ტურიზმისა და ტურისტების მიმართ გავლენას ახდენს არა მხოლოდ ვიზიტორების რაოდენობა, არამედ მათი ქცევა, დრო/პერიოდი, კონცენტრაცია, მდებარეობა, ადგილობრივი ეტიკეტი და ა.შ [4; 7].

ტურისტულ მიმართულებებში მცხოვრები რეზიდენტების ტურიზმისადმი დამოკიდებულებას (განწყობას) განსაზღვრავს ისეთი კომპონენტები როგორცაა: ცხოვრების დონე, ტურიზმის გავლენის აღქმა, კონფლიქტების აღბათობა. ამრი-

გად, გადაჭარბებულ ტურიზმთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის საერთო/ზოგადი სტრატეგიული მოდელის შემუშავება პრაქტიკულად შეუძლებელია და იგი დამოკიდებულია იმ დროისთვის ადგილზე არსებულ გარემოებებზე. საქართველო, როგორც ტურისტული მიმართულება, ტურიზმის არათანაბარი განვითარებით ხასიათდება, ხოლო მის კურორტები – სეზონურობით. ტურიზმის განვითარების პოლიტიკა არ უნდა ექვემდებარებოდეს აკრძალვებს ან ზეწოლას დამსვენებლებზე (ევროპის ქვეყნებში გავრცელებული პრაქტიკა), რათა აიძულონ უარი განაცხადონ სტუმრობაზე. ტურიზმი აუცილებელია როგორც აჭარისთვის, ასევე მთლიანად ქვეყნისთვის და ამიტომ უნდა მოიძებნოს ალტერნატიული გზები, რომლებიც დაემორჩილება ტურისტული ნაკადების რაციონალური განაწილების პრინციპს სივრცესა და დროში.

ოვერტურიზმიდან თავის დაღწევის პოტენციურ შესაძლებლობად განვიხილავთ სეზონურობიდან ყველა სეზონის დასვენების მიმართულების განვითარებას. ამ თვალსაზრისით აქტუალურადაა მიჩნეული რაც შეიძლება მეტი სხვადასხვა სახის ტურიზმის განვითარება. ცურვისა და პლაჟის დასვენებასთან ერთად აჭარისა და საქართველოს სხვა სანაპირო რაიონებში, მნიშვნელოვანია ტურიზმის ახალი მიმართულებების განვითარების ხელშეწყობა, როგორცაა ეკოლოგიური, სოფლის, ეთნიკური და ღონისძიების ტურიზმი, რომელიც გარკვეულწილად სანაპიროს განტვირთვას გამოიწვევს [5], ასევე ხელს შეუწყობს ტურისტების სივრცით გადანაწილებას სხვა დესტინაციებისკენ. ასევე ნაკადების გადამისამართება შესაძლებელია პოტენციურად ახალი ტერიტორიებისკენ, საქართველოს სხვა, ნაკლებად პოპულარული სანაპირო ზონების განვითარების ხელშეწყობის და კლასტერული ქსელის ჩამოყალიბების საფუძველზე [6].

ოვერტურიზმით გამოწვეული პრობლემების მოგვარებაში უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს როლი. როდესაც მასობრივი ტურიზმის ზრდა გარდაუვალია, აუცილებელია სახელმწიფოს ჰქონდეს ტურიზმის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს სექტორის განვითარებას დაინტერესებული თემების მონაწილეობით, შესაბამისი რეგულაციების შემოღებით, ინფრასტრუქტურული პროექტებში ინვესტიციების ჩადებითა და მოზიდვით[7].

საკვანძო სიტყვები: *ოვერტურიზმი, გამტარუნარიანობა, ტურისტული ზემოქმედება. ყველა სეზონის ტურიზმი.*

Reference

1. Butler, R. (1980) The Concept of a Tourist Area Cycle of Evolution: Implications for Management of Resources. *Can. Geogr. Géographe Can.* 24, 5–12;
2. Scheyvens, R. (2009). Pro-Poor Tourism: Is There Value Beyond the Rhetoric? *Tour. Recreat. Res.* 2009, 34, 191–196;
3. Doxey, G. A causation theory of visitor–resident irritants, methodology and research inferences. The impact of tourism. In *Proceedings of the Sixth Annual Conference Proceedings of the Travel Research Association, San Diego, CA, USA, 8–11 September 1975*;
4. Katsitadze, N., (2018) State Policy in Tourism – Business (MICE) Tourism in Georgia, “Economics and Business,” vol. XI, #4, pp.127-145;
5. Katsitadze, N., Aladashvili, M., Kochlamazashvili, L., Tushishvili, N. (2025). The role of small and medium-sized hotel development in the sustainable development of mountainous regions (on the example of the Adjara region). *Journal of Sustainable Tourism and Entrepreneurship (JoSTE)*. ISSN: 2714-6480, Vol 6, No 2., 193-200; <https://doi.org/10.35912/joste.v6i2.2780>
6. Katsitadze, N., Baliashbili, E., & Tushishvili, N. (2022). The way to save the mountainous regions of Georgia is the clustering of tourism!!! *Economics & Business (1987-5789)*, 2023, Issue 4, p173., ISSN 1987-5789;
7. Katsitadze N., Natsvlshvili I., (2020). The Role of State Regulation and Policy in Tourism Development: The Case of Georgia. *Eurasian Economic Perspectives* (pp. 419-434). Springer, Cham;
8. Markusen, A. Fuzzy Concepts, Scanty Evidence, Policy Distance: The Case for Rigour and Policy Relevance in Critical Regional Studies. *Reg. Stud.* 2003, 37, 701–717;
9. Pizam, A. Tourism’s Impacts: The Social Costs to the Destination Community as Perceived by Its Residents. *J. Travel Res.* 1978, 16, 8–12;
10. UNWTO (Ed.) *Overtourism? Understanding and Managing Urban Tourism Growth beyond Perceptions*; UNWTO: Madrid, Spain, 2018.;

კრეატიული დესტრუქცია და დესტრუქციული ინოვაცია მცირე და საშუალო ბიზნეს სეგმენტში

გიორგი ქათამაძე

*ასისტენტ-პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი*

აბსტრაქტი

კრეატიული დესტრუქცია და დესტრუქციული ინოვაცია ის ეკონომიკური კონცეფციებია, რომლებიც ეკონომიკურ გარემოს მუდმივად ცვლიან და ინტენსიური გამოწვევებით მცირე და საშუალო ბიზნესს (SMB) როგორც სირთულეების ასევე განვითარების შესაძლებლობის წინაშე აყენებენ. კრეატიული დესტრუქცია, როგორც იოზეფ შუმპეტერმა (**Schumpeter, 1942**) აღწერა, ნიშნავს ინოვაციური აქტივობით გამოწვეულ სტრუქტურულ რღვევას, რომელიც ახლის შექმნას, ეკონომიკის განახლებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას უწყობს ხელს. ის ანადგურებს ძველს და ქმნის ახალს, რომელიც უფრო მოთხოვნადია. ხოლო დესტრუქციული ინოვაცია — კლეიტონ კრისტენსენის (**Christensen, 1997**) მიხედვით არის ისეთი ტიპის ინოვაცია, რომელიც თავდაპირველად მიმართულია ბაზრის დაბალი სეგმენტისკენ ან უგულვებელყოფილი მომხმარებლებისკენ და დროთა განმავლობაში საბოლოოდ ანაცვლებს მის გამოჩენამდე არსებულ ბაზრის ლიდერებს. ამ თეორიების მიხედვით, დროთა განმავლობაში კრეატიული დესტრუქცია და დესტრუქციული ინოვაცია ფუნდამენტურად ცვლის SME ბაზრის სტრუქტურას და ანადგურებს ბაზრის დომინანტ აქტორებს. თანამედროვე გამოწვევების კვალდაკვალ, ეს კონცეფციები არ წარმოადგენს საფრთხეს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, არამედ პირიქით, ის შეიძლება გახდეს სტრატეგიული განვითარების, ინოვაციური ტრანსფორმაციისა და მდგრადი განვითარების საფუძველი.

ბოლო წლების ეკონომიკური გამოწვევების პირობებში, კრეატიული დესტრუქციისა და დესტრუქციული ინოვაციის თეორიების გადაკვეთის წერტილში, მცირე და საშუალო საწარმოები გვევლინებიან სტრუქტურული ცვლილებების ძირითად აქტორებად. ეს ასევე განპირობებულია SME-ს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მოქნილობით, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მათ როლს ეკონომიკური და სოციალური მდგრადობის უზრუნველსაყოფად. მცირე და საშუალო ბიზნესს გააჩნია განსაკუთრებული მოქნილობა, რაც საშუალებას აძლევს მას სწრაფად აითვისოს ახალი ტრენდები, თუმცა მას ასევე ახასიათებს რესურსების შეზღუდულობა, რაც მნიშვნელოვნად ართულებს ინოვაციის პროცესში მარტივ და სწრაფ ჩართვას, რაც ფინანსურ კონტრიბუციებს მოითხოვს.

ნაშრომში განხილულია როგორც საქართველოში მოქმედი, ასევე ზოგადად, მსოფლიოს მასშტაბით მოქმედი მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების მაგალითები, წარმოდგენილია ანალიზი, თუ როგორ შეუწყო ხელი კოვიდ-19 პანდემიის პერიოდმა და პოსტ-პანდემიურმა კრიზისებმა (ომი, კონფლიქტები და ფინანსური სირთულეები) ბიზნეს პროცესების ციფრულ ტრანსფორმაციას და ასევე მიგრაციულმა პროცესებმა ბიზნესის მართვის მოდელების ცვლილებას. აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს SMB-ებზე კრეატიული დესტრუქციისა და დესტრუქციული ინოვაციის გავლენის შეფასებას, მათ შორის როგორც ნეგატიური შედეგების, ისე პოზიტიური განვითარების შესაძლებლობების გამოვლენას.

მსოფლიო ბიზნესის ისტორიაში არაერთი მაგალითია კრეატიული დესტრუქციითა და დესტრუქციული ინოვაციით სხვადასხვა კომპანიების ტრანსფორმაციის, ბიზნეს მიმართულების ცვლილებისა და ხშირად ბიზნეს სუბიექტების გაქრობისაც კი. ჩვენი კვლევის საგანი კი თანამედროვე გამოწვევების პირობებში ამ კონცეფციების რელევანტურობისა და მისი მნიშვნელობის კვლევაა.

კვლევა განხორციელდა ინტერდისციპლინარული, შერეული მეთოდოლოგიით, რომელიც აერთიანებს სოციალური მეცნიერებების კომპლექსურ მიდგომებს და საბოლოო შედეგები მათი სინთეზირების საფუძველზე ჩამოყალიბდა.

ნაშრომში წარმოდგენილია რეკომენდაციები SME-ებისთვის ინოვაციურ პროცესებთან ეფექტური ადაპტაციის, ანტიკრიზისული ღონისძიებების დაგეგმვისა და ზოგადად ბიზნესის მდგრადი განვითარების მიმართულებით, რომელიც მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მართვის პროცესში კრეატიულ დესტრუქციისა და დესტრუქციული ინოვაციის სათანადო კონცეპტუალურ გააზრებასა და პრაქტიკულ იმპლენტაციაზე.

ბიბლიოგრაფია

1. Christensen, C. M. (1997). *The innovator's dilemma: When new technologies cause great firms to fail*. Harvard Business School Press.
2. Christensen, C. M., Raynor, M. E., & McDonald, R. (2015). What is disruptive innovation? *Harvard Business Review*, 93(12), 44–53.
3. Gans, J. (2016). *The disruption dilemma*. MIT Press.
4. Geibel, R. C. (2025). *Digital Management and Artificial Intelligence: Proceedings of the Fourth International Scientific-Practical Conference (ISPC 2024), Hybrid, October 10–11, 2024*. Springer Nature.
5. Schumpeter, J. A. (1942). *Capitalism, socialism and democracy*. Harper & Brothers.

6. Teece, D. J. (2010). Business models, business strategy and innovation. *Long Range Planning*, 43(2–3), 172–194.
<https://doi.org/10.1016/j.lrp.2009.07.003>
7. Wenzel, M., Stanske, S., & Lieberman, M. B. (2021). Strategic responses to crisis. *Strategic Management Journal*, 42(2), 313–328.
<https://doi.org/10.1002/smj.3143>
8. Katamadze, G. (2022). Business Entity's Preventive-Anti-Crisis Strategy Model and Possibilities of Its Implementation in Georgia. *Economics Ecology Socium*, 6(2), 38-45.
9. Katamadze, G. (2023). Small and Medium-Sized Enterprises In Georgia: Classification And The Legal Basis For Their Regulation. . *Innovative Economics and Management*, e-ISSN 2449-2604, 10(2), 98-115.
10. Katamadze, G. (2024). The impact of financial policy on the sustainable development of business entities in post-pandemic Georgia. *European Journal of Sustainable Development*, 13(3), 344-344.
11. Katamadze, G., Tsiklashvili, N., & Varshanidze, N. (2025). Small and Medium-sized enterprises (SMEs) in Georgia: Institutional Challenges and Prospects for EU Market Integration. *European Journal of Sustainable Development*, 14(2), 173-173.
12. Katamadze, G., Petrova, M., & Tsiklashvili, N. (2024). FORMATION OF THE POST-PANDEMIC BUSINESS ENVIRONMENT IN GEORGIA: CHALLENGES AND PREDICTIONS. *Business Management*, 2, 59-75.
13. Katamadze, G. (2024). The Crisis of Small and Medium Business Subjects and Its Prevention in the Post-pandemic Period in Georgia.
14. Kharashvili, E., Gechbaia, B., Tsiklashvili, N., & Katamadze, G. (2024). Digital transformation of the agricultural sector and its impact on productivity in Georgia. In *BIO Web of Conferences* (Vol. 114, p. 01002). EDP Sciences.

კომპანიის ფინანსური მდგრადობა არასტაბილურ გარემოში

გივი ბაქრაძე

ასოცირებული პროფესორი,
ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

თანამედროვე ბიზნეს გარემოში, რომელიც ხასიათდება გლობალური ეკონომიკური არასტაბილურობით, გეოპოლიტიკური დაძაბულობით, პანდემიური გამოწვევებითა და კლიმატური ცვლილებებით, კომპანიების ფინანსური მდგრადობა კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს ორგანიზაციების გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობისათვის. ფინანსური მდგრადობა განისაზღვრება, როგორც ორგანიზაციის უნარი, შეინარჩუნოს თავისი ფინანსური ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა გაუთვალისწინებელი გარე ფაქტორების ზემოქმედების პირობებშიც კი. მიუხედავად იმისა, რომ არსებული ლიტერატურა მდიდარია ფინანსური მდგრადობის თეორიული ასპექტებით, ნაკლებადაა კვლევები, რომლებიც შეისწავლიან მდგრადობის პრაქტიკულ მექანიზმებს განსაკუთრებით არასტაბილურ ეკონომიკურ პირობებში მოქმედი ორგანიზაციებისთვის.

კვლევის მიზანი

წინამდებარე კვლევის მიზანია არასტაბილურ გარემოში კომპანიის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის ფაქტორებისა და მექანიზმების იდენტიფიცირება და ანალიზი. კვლევა მიზნად ისახავს გამოავლინოს ის სტრატეგიული მიდგომები, რისკების მართვის ტექნიკები და ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ყველაზე ეფექტურად უზრუნველყოფენ ორგანიზაციების ფინანსურ სტაბილურობას ცვალებად და არაპროგნოზირებად ბიზნეს გარემოში. გარდა ამისა, კვლევა აანალიზებს კორელაციას ფინანსური მდგრადობის სტრატეგიებსა და ფირმის გრძელვადიან კონკურენტუნარიანობას შორის, განსაკუთრებით ეკონომიკური კრიზისების დროს.

ჰიპოთეზები

კვლევა ეფუძნება შემდეგ ძირითად ჰიპოთეზებს:

1. H1: კომპანიები, რომლებსაც აქვთ დივერსიფიცირებული ფინანსური რესურსები და შემოსავლის წყაროები, ავლენენ უფრო მაღალ მდგრადობას ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში.
2. H2: პროაქტიული რისკების მართვის სისტემები და ადრეული გაფრთხილების მექანიზმები მნიშვნელოვნად ზრდიან კომპანიის ფინანსურ მდგრადობას.

3. H3: ორგანიზაციული მოქნილობა და ცვლილებებზე სწრაფი ადაპტაციის უნარი პოზიტიურ კორელაციაშია ფინანსურ მდგრადობასთან არასტაბილურ გარემოში.
4. H4: სტრატეგიული ფინანსური დაგეგმვა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სცენარის ანალიზს, უზრუნველყოფს უკეთეს ფინანსურ შედეგებს კრიზისის დროს.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია შერეული მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც აერთიანებს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მეთოდებს. რაოდენობრივი ანალიზისთვის შეგროვდა მონაცემები 150 საშუალო და მსხვილი ზომის კომპანიიდან, რომლებიც ოპერირებენ 5 სხვადასხვა ინდუსტრიაში (საფინანსო, წარმოება, საცალო ვაჭრობა, ენერჯეტიკა და ტექნოლოგიები) და 12 სხვადასხვა ქვეყანაში. მონაცემები მოიცავს ფინანსურ მაჩვენებლებს 10 წლის განმავლობაში (2015-2025), რაც საშუალებას იძლევა გაანალიზდეს კომპანიების საქმიანობა როგორც სტაბილურ, ისე კრიზისულ პერიოდებში.

თვისებრივი კომპონენტი მოიცავს 45 ნახევრად სტრუქტურირებულ ინტერვიუს ფინანსურ დირექტორებთან, რისკების მართვის სპეციალისტებთან და მაღალი რგოლის მენეჯერებთან. ინტერვიუები ფოკუსირებული იყო სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე, რისკების მართვის პრაქტიკებსა და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მექანიზმებზე.

მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულია რეგრესიული ანალიზი, სტრუქტურული თანასწორობის მოდელირება (SEM) და დინამიური პანელური მონაცემების ანალიზი. გარდა ამისა, თვისებრივი მონაცემები დამუშავდა თემატური ანალიზის მეთოდით, რათა გამოვლენილიყო საერთო ტენდენციები და საუკეთესო პრაქტიკები.

დასკვნები

კვლევამ გამოავლინა რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგი. პირველ რიგში, დადასტურდა, რომ ფინანსური რესურსების დივერსიფიკაცია მნიშვნელოვნად ზრდის კომპანიის მდგრადობას, განსაკუთრებით სექტორულ კრიზისებთან მიმართებაში (H1 დადასტურდა). მეორე, კომპანიები, რომლებსაც ჰქონდათ ფორმალიზებული რისკების მართვის სისტემები, საშუალოდ 28%-ით უკეთესად გაუმკლავდნენ არასტაბილურ პერიოდებს (H2 დადასტურდა). მესამე, ორგანიზაციული მოქნილობა აღმოჩნდა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის პროგნოზირებისას (H3 დადასტურდა). ამასთან, სცენარების ანალიზზე დაფუძნებული ფინანსური დაგეგმვა, მართალია, დადებით ეფექტს აჩვენებდა,

მაგრამ მისი გავლენა სტატისტიკურად ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე წინასწარ იყო ნავარაუდები (H4 ნაწილობრივ დადასტურდა).

კვლევის შედეგები მნიშვნელოვან იმპლიკაციებს შეიცავს როგორც პრაქტიკოსებისთვის, ისე აკადემიური წრეებისთვის. კომპანიებისთვის რეკომენდებულია ფინანსური მდგრადობის კომპლექსური სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მოიცავს რესურსების დივერსიფიკაციას, რისკების მართვის ინტეგრირებულ სისტემებს და ორგანიზაციული მოქნილობის განვითარებას. აკადემიური პერსპექტივიდან, კვლევა ხაზს უსვამს ინტერდისციპლინური მიდგომების მნიშვნელობას ფინანსური მდგრადობის შესწავლისას და აჩვენებს, რომ ტრადიციული ფინანსური თეორიები უნდა გაფართოვდეს ორგანიზაციული ქცევისა და სტრატეგიული მენეჯმენტის ელემენტებით.

მენეჯმენტის და მარკეტინგის ტრანსფორმაცია ციფრულ ეპოქაში

ირინა ბენია

თჰუ პროფესორი,

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

ციფრული ტრანსფორმაცია და მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია ორგანიზაციებს ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს - ბაზრის არასტაბილურობა, ტექნოლოგიური ინოვაციები, მომხმარებლის ქცევის მყისიერი ცვლილება და გლობალური კონკურენცია მენეჯმენტისა და მარკეტინგის სფეროში ახალ მოთხოვნებს აყალიბებს. ასეთ გარემოში გადარჩენას და განვითარებას განაპირობებს არა მხოლოდ ტექნიკური ცოდნა, არამედ კომპლექსური, კრიტიკული უნარები, ლიდერობა სადაც ხელმძღვანელები არა მხოლოდ გადაწყვეტილებებს იღებენ, არამედ კომპლექსურ გარემოში სწავლას, ცვლილების მართვას და თანამშრომელთა ჩართულობას უზრუნველყოფენ.

ტექნოლოგიებისა და მონაცემთა ბაზების სწრაფმა განვითარებამ რადიკალურად შეცვალა მენეჯმენტის პრინციპები. მენეჯერები აღარ ეყრდნობიან მხოლოდ ინტუიციას ან წარსულ გამოცდილებას; მონაცემები, რომლებიც რეალურ დროში გროვდება, ინახება და ანალიზდება ბიზნეს-ინტელექტის (BI), big data-ისა და ხელოვნური ინტელექტის (AI) სისტემების მეშვეობით. Data-driven decision making (D3M) მთავარი უპირატესობა ისაა, რომ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს იღებენ ობიექტურ და რაოდენობრივ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს რისკს და ზრდის გადაწყვეტილებების ეფექტიანობას. გარდაუვალია მენეჯმენტის, ტექნოლოგიისა და ადამიანური კაპიტალის სინთეზი, მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება (D3M) კი წარმატების წინაპირობაა. (ბიზნეს-ინტელექტის (BI), ხელოვნური ინტელექტის (AI) და big data-ის გამოყენება კომპანიებს საშუალებას აძლევს, მიიღონ ოპტიმალური სტრატეგიული გადაწყვეტილებები. D3M გვევლინება, როგორც თანამედროვე მენეჯმენტის ფუნდამენტი. ციფრული ეპოქის ორგანიზაციებისთვის მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება წარმოადგენს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ ინოვაციას, არამედ მენეჯმენტის კულტურის ტრანსფორმაციას. D3M გულისხმობს ორგანიზაციის შესაძლებლობას, სტრატეგიული და ოპერაციული გადაწყვეტილებები მიიღოს ობიექტურ, რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, ეჭვების, ინტუიციისა და ემოციების ნაცვლად. Accenture-ის (2022) კვლევის მიხედვით, D3M-ის სრულად დანერგულ კომპანიებს 2-ჯერ უფრო მაღალი შემოსავალი აქვთ ინოვაციებიდან იმ

კომპანიებთან შედარებით, რომლებიც ინტუიციურ მენეჯმენტს ეყრდნობიან. მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების ეკოსისტემა ასე გამოიყურება- Big Data, AI და Business Intelligence (BI). Big Data - უზარმაზარი მოცულობის, მრავალფეროვანი და მაღალი სიჩქარით შექმნილი მონაცემები, რაც მოითხოვს სპეციალიზებულ ანალიტიკურ სისტემებს; AI/ML - ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლება უზრუნველყოფს პროგნოზირებადობას, კორელაციების აღმოჩენას და ოპტიმალურ ქცევას; BI - ბიზნეს-ინტელექტი წარმოადგენს მონაცემთა ვიზუალიზაციის, ანალიტიკისა და ანგარიშგების პროცესს, რომელიც ქმნის სტრატეგიულ შეხედულებებს. Gartner-ის მიხედვით, BI და Advanced Analytics ბაზარი ყოველწლიურად იზრდება საშუალოდ 15%-ით, ხოლო AI-ის ინტეგრაცია მენეჯმენტში უკვე ქმნის ღირებულებას 1.2 ტრილიონ დოლარს (2023).

მონაცემთა წყაროები: შიდა VS გარე. შიდა გაყიდვები - ERP, CRM, მომხმარებელთა ქცევა, ფინანსები, HR მონაცემები; გარე - საბაზრო ტენდენციები, სოციალური მედიის ანალიტიკა, კონკურენციის პროფილები, რეგულაციური მონაცემები. Big Data და BI სისტემები კომპანიას საშუალებას აძლევს, შეისწავლოს მომხმარებლის ქცევა, ბაზრის ტენდენციები, ფინანსური მაჩვენებლები და ოპერაციული პროცესები. AI ტექნოლოგიები ავტომატურად პოულობს მონაცემებში დაკავშირებებს, პროგნოზირებს შედეგებს და გთავაზობს ოპტიმალურ ალტერნატივებს. მონაცემთა ბაზების გამოყენება უზრუნველყოფს ინფორმაციის სწრაფად მოძიებას, ეფექტურ კომუნიკაციასა და პროცესების გამჭვირვალობას ორგანიზაციაში. შედეგად, კომპანია ხდება უფრო მოქნილი, ინოვაციური და კონკურენტუნარიანი, რადგან მისი გადაწყვეტილებები ეფუძნება მტკიცე ანალიტიკას და არა მხოლოდ ინტუიციას. სწორედ ამ მიზეზით, მონაცემებზე დაფუძნებული მენეჯმენტი ციფრულ ეპოქაში წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორია.

Amazon იყენებს კომპლექსურ ალგორითმებს და real-time big data-ს, რათა მოახდინოს: მომხმარებლის ქცევის პროგნოზირება; პროდუქტის პერსონალიზაცია; მიწოდების ჯაჭვის ოპტიმიზაცია. ეს მიდგომა საშუალებას აძლევს Amazon-ს მართოს მილიონობით შეკვეთა ყოველ დღეს, მინიმალური ხარვეზით.

Netflix ანალიზს უკეთებს მომხმარებლის ქცევას და პერსონალიზაციას, მონაცემების მუდმივი შეგროვება და ღრმა ანალიზი საშუალებას აძლევს პლატფორმას, მომხმარებელს შესთავაზოს მაქსიმალურად მორგებული რეკომენდაციები. Netflix-ის რეკომენდაციის ალგორითმები პლატფორმის მთლიან ტრაფიკის 75%-ზე მეტს წარმოქმნის (Gomez-Uribe & Hunt, 2016). Netflix იყენებს AI/ML ტექნოლოგიებს არა მხოლოდ რეკომენდაციის სისტემისთვის, არამედ ახალი კონტენტის შექმნის, პროდუქციის დაგეგმვის და მომხმარებელთა მოთხოვნების პროგნოზირებისათვის. მაგალითად, როდესაც Netflix დაიწყო საკუთარი ორიგინალური სერიალების წარმოე-

ბა (House of Cards, Stranger Things), გადაწყვეტილება მიღებული იყო არა ინტუიცი-ზე, არამედ უზარმაზარი მონაცემების ანალიზზე - რას უყურებდნენ მომხმარებლები, რომელი ჟანრები იყო პოპულარული, რომელ მსახიობებსა და რეჟისორებზე იყო დიდი ინტერესი და ა.შ. მონაცემთა ანალიზი გამოიყენება ქსელის ოპტიმიზაციაში -მაგალითად, რომელ რეგიონებში უნდა მოხდეს კონტენტის ქეშირება CDN-ის (Content Delivery Network) საშუალებით, რომ მომხმარებელს ვიდეო სწრაფად და შეფერხების გარეშე მიუვიდეს.

მონაცემთა ძალა, როგორც კონკურენტული უპირატესობა - Netflix-ის მაგალითი ცხადყოფს, რომ D3M ხელს უწყობს მომხმარებლის ლოიალობის ზრდას; churn rate-ის (მომხმარებლის დაკარგვის მაჩვენებლის) შემცირებას; ახალი შემოსავლის წყაროების განვითარებას (მაგალითად, რეკლამა, გლობალური ექსპანსია); ინოვაციური პროდუქტისა და მომსახურების შექმნას.

ინოვაციური ბიზნესმოდელების დანერგვა, პლატფორმულ ეკონომიკაზე გადასვლა და ეკოსისტემური სტრატეგიები განაპირობებს კონკურენტუნარიანობის ზრდას.

Amazon-ის, Apple-ის, Google-ისა და Alibaba-ს წარმატება ეფუძნება ეკოსისტემური ბიზნესმოდელის შექმნას, სადაც პლატფორმა ქმნის ღირებულებას მომხმარებლებისთვის, პარტნიორებისთვის და დეველოპერებისთვის ერთდროულად. ვოლფგანგ რაიდერი წერს, რომ „Amazon-ის წარმატება ინერციით კი არ მიმდინარეობს, არამედ მუდმივი ექსპერიმენტებით და ოპერაციული სიმსუბუქით ხასიათდება — იგი აერთიანებს ალგორითმულ ოპტიმიზაციას და მომხმარებლის გამოცდილების სრულფასოვან მართვას.“ ინოვაციის დაჩქარება ღია ინოვაციის (Open Innovation) გზით მიიღწევა. ჰენინგ როდელი ხაზს უსვამს, რომ კომპანიის გრძელვადიანი წარმატება მხოლოდ შიდა ინოვაციით არ მიიღწევა. საჭიროა ღია ინოვაციის მოდელის დანერგვა, რომელიც მოიცავს კოოპერაციას სტარტაპებთან, მომხმარებლებთან და მეცნიერებათა სფეროსთან.

მარკეტინგი აღარ არის მხოლოდ შეტყობინება მომხმარებლისთვის, ის უფრო ხდება დიალოგი. მომხმარებელი მონაწილეობს პროდუქტის განვითარებასა და ბრენდის იდენტობის ფორმირებაში. მომხმარებლები ელიან ბრენდებისგან არა მხოლოდ ღირებულ პროდუქციას, არამედ მორალურ პოზიციას, სოციალური პასუხისმგებლობა, ეკოლოგიური მწვანე ინიციატივები, DEI (diversity, equity, inclusion). Patagonia-სა და IKEA-ს მაგალითები ტოვებს ძლიერ გავლენას.

21-ე საუკუნის მენეჯმენტისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი უნარების ქონა:

- კრიტიკული და სისტემური აზროვნება
- კრეატიულობა და ინოვაციური ხედვა

- ემოციური ინტელექტი და თანამშრომლობის უნარი
- ტექნოლოგიური კომპეტენცია და ციფრული ლიტერატურა

ორგანიზაციები, რომლებიც სისტემურად ინვესტირებენ ციფრულ უნარებში და უწყვეტი სწავლების კულტურაში, ინოვაციების ინდექსში 30%-ით უსწრებენ კონკურენტებს. მთავარ გამოწვევად რჩება ინფორმაციის სიჭარბე, სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებები და მომხმარებლის მოლოდინების მუდმივი ტრანსფორმაცია. ბიზნესის სფეროში მოითხოვს სწორედ ამ ოთხი კრიტიკული უნარის სინთეზს. მხოლოდ ასეთი უნარების მქონე ორგანიზაციები შეძლებენ ეფექტიან ადაპტაციას, ინოვაციებზე ორიენტირებას და გლობალურ კონკურენტუნარიანობას. ორგანიზაციების მხრიდან კომპლექსური და სისტემურ მიდგომა, სადაც ტრადიციული მოდელები იცვლება ინოვაციური, მომხმარებელზე ორიენტირებული და მონაცემებზე დაფუძნებული სტრატეგიებით არის კონკურენტუნარიანობის ამაღლების საწინდარი, ლიდერობის ისეთი კულტურა, სადაც ცვლილება აღიქმება როგორც შესაძლებლობა, გუნდები კი როგორც თვითმართვადი, მოქნილი სისტემები. წარმატებული კომპანიები ქმნიან პლატფორმულ ეკოსისტემებს, რომლებიც აერთიანებს მომხმარებელს, პარტნიორებსა და დეველოპერებს საერთო ღირებულებების გარშემო. ღია ინოვაციის მხარდაჭერა, სტარტაპებთან და სამეცნიერო წრეებთან თანამშრომლობა უზრუნველყოფს ბიზნესის გრძელვადიან ზრდას, გლობალურ კონკურენციაში გამორჩეული პოზიციების დაკავებასა და მდგრად განვითარებას.

REFERENCES

1. Heifetz, R. A., Grashow, A., & Linsky, M. (2009). *The Practice of Adaptive Leadership*. Harvard Business Press.
2. Rider, W. (2021). *Digital Business Models and Corporate Agility*. Springer.
3. Rodel, H. (2022). *Reinventing Strategic Innovation in Platform Economies*. Wiley.
4. Denner, V. (2020). *Bosch Annual Innovation Report*. Bosch Group.
5. Harvard Business Review (2022). *What Makes a Leader in the Digital Era?*
6. Gomez-Uribe, C. A., & Hunt, N. (2016). The Netflix Recommender System: Algorithms, Business Value, and Innovation. *ACM Transactions on Management Information Systems*, 6(4), 13.
7. McCord, P. (2017). *Powerful: Building a Culture of Freedom and Responsibility*. Silicon Guild.
8. Harvard Business Review. (2022). *The New Leadership Skills in a Digital Age*.
9. Forbes. (2022). *Essential Skills for the Modern Workforce*.

THE ROLE OF ECONOMIC POLICY IN THE DEVELOPMENT OF GREEN ENERGY

Maia Benia

*PhD Associate Professor
of Business Administration of GTU*

Abstract

The transition to green energy demands a multifaceted policy approach that integrates economic theory, market-based interventions, and strategic governance. This article presents a comprehensive synthesis of eight interconnected dimensions of green energy policy design. It begins by exploring foundational theories such as the Environmental Kuznets Curve (EKC) and Jevons' Paradox to demonstrate the theoretical limits of relying solely on economic growth and technological efficiency. It then analyzes core market failures—namely environmental externalities and knowledge spillovers—that justify government intervention. The study evaluates the effectiveness of both demand-pull and technology-push policies, examining the trade-offs between technological neutrality and specificity. Using Georgia as a country-level case study, the article assesses current policy instruments, identifies institutional and financial gaps, and offers strategic recommendations for policy integration, EU alignment, and regional cooperation. By bridging theoretical insights with applied policy design, this research contributes to a deeper understanding of how nations, especially emerging economies, can accelerate green transitions while maintaining economic resilience and social equity.

KeyWords: *Green Energy Policy; Environmental Externalities; Knowledge Spillovers; Demand-Pull and Technology-Push Instruments; Technological Neutrality; Sustainable Transition; Energy Governance; Georgia; EU Integration; Climate Strategy.*

The study categorizes policy instruments into demand-pull and technology-push mechanisms and evaluates their practical application in Georgia, a country striving for European integration. The findings highlight the need for a comprehensive strategy that balances environmental goals, energy security, and economic development.

Green energy is no longer a peripheral topic in economic development; it has become central to achieving long-term sustainability, energy security, and climate resilience. The European Green Deal sets ambitious targets for climate neutrality by 2050, emphasizing the critical role of renewable energy. Georgia, as a country with EU Association Agreement

and DCFTA commitments, must align its policies with European standards. However, transitioning from fossil fuels to green energy requires an interventionist approach by the state to correct market failures.

Theoretical Framework: EKC and Jevons' Paradox

The Environmental Kuznets Curve (EKC) hypothesizes an inverted U-shaped relationship between environmental degradation and income per capita. Initially, economic growth leads to increased emissions, but beyond a certain income threshold, investments in cleaner technologies reduce environmental damage. However, this theory overlooks Jevons' Paradox, which suggests that technological advancements in energy efficiency can inadvertently increase overall fossil fuel consumption by making energy more affordable and thus more widely used.

In the transition to sustainable development and green energy, theoretical frameworks are vital for understanding the complex relationship between economic growth and environmental outcomes. Two key concepts—Environmental Kuznets Curve (EKC) and Jevons' Paradox—offer contrasting perspectives on this interaction. While EKC implies an automatic mitigation of pollution at higher income levels, Jevons' Paradox highlights a rebound effect where increased efficiency leads to higher overall energy use. This article aims to critically assess both theories in the context of modern energy policy.

The Environmental Kuznets Curve (EKC) Hypothesis

The EKC posits an inverted U-shaped relationship between per capita income and environmental degradation. In early development stages, industrialization and lack of regulation lead to rising emissions. As economies mature, increased awareness, technological innovation, and stricter environmental policies contribute to pollution reduction.

Mathematically, EKC is often expressed as:

$$E = \alpha + \beta Y + \gamma Y^2$$

Where E is environmental degradation, Y is income per capita, and $\beta > 0$, $\gamma < 0$ indicates a turning point in pollution trends.

Jevons' Paradox and the Rebound Effect

Proposed by William Stanley Jevons in 1866, the paradox asserts that improvements in the efficiency of resource use may paradoxically lead to greater overall consumption. His analysis of coal use in the 19th century demonstrated that as steam engines became more efficient, coal consumption rose instead of falling. Today, this effect is evident in cases where more efficient vehicles or appliances result in increased usage, offsetting gains in efficiency. This 'rebound effect' complicates assumptions embedded in EKC, suggesting that without intervention, economic growth and efficiency may not reduce emissions.

Synthesis: Reconciling EKC with Jevons' Paradox

While EKC provides a hopeful trajectory, Jevons' Paradox introduces a critical caveat. The key difference lies in the assumed behavior of consumers and producers: EKC relies on market maturity and innovation to reduce pollution, whereas Jevons highlights persistent demand increases. Reconciling these perspectives requires strong regulatory frameworks, carbon pricing mechanisms, investment in renewable technologies, and behavioral interventions to curb overuse.

The Environmental Kuznets Curve and Jevons' Paradox provide complementary insights into the dynamics of environmental degradation and energy use. Together, they underscore the importance of not relying solely on market forces or efficiency improvements. For green energy transitions to be successful, robust economic policies are needed to align technological progress with environmental sustainability.

Environmental externalities represent one of the most pressing challenges in energy economics. When producers or consumers of fossil fuels do not bear the full environmental costs of their actions—such as carbon emissions, air pollution, or ecological degradation—market prices fail to reflect true costs. This leads to an overconsumption of dirty energy and underinvestment in cleaner alternatives, such as solar, wind, or hydro power. Addressing this market failure is a prerequisite for the successful transition to a green economy and for achieving international climate targets such as those set by the Paris Agreement.

The Economic Theory of Environmental Externalities

An environmental externality occurs when the environmental cost or benefit of a product or activity is not captured in its market price. In the context of energy, negative externalities like carbon dioxide emissions result in social costs—health problems, environmental degradation, and climate change—that are borne by society rather than producers or consumers.

The standard economic solution is to internalize the externality, aligning private costs with social costs. This is often illustrated using the concept of marginal social cost (MSC):

$$MSC = MPC + MEC$$

Where MPC is the marginal private cost and MEC is the marginal external cost.

Impacts of Externalities on Green Energy Markets

Because fossil fuels are subsidized directly or indirectly and their environmental costs are unpriced, renewable energy sources struggle to compete on a level playing field. This distorts market incentives, making it less attractive for private investors to fund green energy projects. In addition, uncertainty about future regulations deters long-term investment in clean technologies.

Policy Instruments for Internalizing Externalities; Carbon Pricing

Carbon pricing—via carbon taxes or emissions trading systems (ETS)—is the most direct method to internalize environmental externalities. By attaching a cost to carbon emissions, these mechanisms create financial incentives for firms and consumers to shift towards cleaner energy sources.

Subsidies for Renewable Energy

Governments can correct market imbalances by subsidizing renewable energy production or consumption. Feed-in tariffs, investment tax credits, and production tax credits are common tools used in many countries to support green energy deployment.

Regulations such as emissions limits, efficiency standards, and renewable energy mandates can directly restrict polluting behaviors and guide markets toward sustainable outcomes. These command-and-control approaches can be effective when market-based tools are insufficient.

The European Union’s Emissions Trading System (EU ETS) is the world’s largest carbon market and has contributed to measurable emissions reductions. Germany’s Energiewende policy combines carbon pricing with large-scale renewable subsidies. In contrast, many developing countries face challenges in implementing similar tools due to institutional constraints and financial limitations. Georgia, for example, lacks a formal carbon tax or national emissions trading system, though it benefits from international donor support (e.g., ADB, EBRD) in green energy financing.

Environmental externalities remain a core obstacle to the transition toward clean energy systems. Internalizing these costs through carbon pricing, subsidies, and regulatory frameworks is essential for creating the correct market signals. Without these interventions, the market will continue to favor polluting energy sources at the expense of long-term sustainability. Designing context-specific, enforceable, and economically efficient policies is key to overcoming this market failure and accelerating the global green transition.

Knowledge spillovers are a fundamental market failure that limits optimal investment in green technologies. Due to the non-excludable and non-rivalrous nature of knowledge, private firms often underinvest in research and development (R&D) because they cannot fully appropriate the benefits. This article explores the economic theory of knowledge spillovers, their implications for green innovation, and policy mechanisms to correct the associated inefficiencies. We analyze the roles of direct subsidies, tax incentives, and public-private partnerships in fostering innovation and provide international examples of best practices. The findings support the case for strong governmental intervention to ensure socially optimal levels of R&D in the green technology sector.

Green technologies are critical for addressing climate change, reducing environmental pollution, and advancing sustainable development. However, the transition to a low-carbon economy requires significant innovation, particularly in clean energy, energy storage, sustainable materials, and carbon capture technologies. One of the key barriers to achieving adequate innovation in this field is the underinvestment caused by knowledge spillovers. This article examines the nature of this market failure and evaluates policy tools to address it effectively.

The Economics of Knowledge Spillovers

Knowledge is often characterized as a public good: it is non-rivalrous and partially non-excludable. Once new knowledge is produced—through R&D activities—it can diffuse to other firms or sectors without compensating the original innovator. As a result, private firms have limited incentives to invest in research beyond the level that maximizes their own profit, leading to a socially suboptimal equilibrium.

The social return to R&D is generally higher than the private return. Jones and Williams (1998) estimate that optimal R&D investment may be at least two to four times the market level. This gap is especially pronounced in green technologies due to their complex and interdisciplinary nature and longer development timelines.

Implications for Green Innovation

Green innovation is particularly vulnerable to underinvestment because of additional barriers such as high upfront costs, uncertain demand, and regulatory complexity. Moreover, the positive externalities from green R&D—including environmental and health benefits—extend far beyond firm-level profits. This makes government intervention essential to support long-term innovation in climate-friendly technologies.

Policy Tools to Address Knowledge Spillovers; Direct Subsidies

Governments can fund R&D projects directly, especially in early-stage technologies where private investment is scarce. Such programs include national green innovation funds, university grants, and mission-oriented research initiatives.

Tax credits or accelerated depreciation for R&D expenditures reduce the effective cost of innovation for private firms. Several OECD countries have successfully implemented R&D tax incentives targeted at low-carbon technologies.

Collaborative R&D efforts between governments, research institutions, and private firms facilitate risk-sharing and knowledge diffusion. Examples include clean energy hubs, innovation incubators, and joint ventures supported by government agencies such as the U.S. ARPA-E or the EU Horizon programs.

The European Union's Horizon Europe program has allocated billions in funding for green R&D and clean tech incubators. The U.S. Department of Energy's ARPA-E funds high-

risk, high-reward projects in advanced energy systems. South Korea's Green Growth Strategy includes generous tax incentives and public R&D funding for renewable energy and electric vehicles. These examples show that targeted government action can significantly stimulate innovation and deployment of green technologies.

Knowledge spillovers hinder private investment in green innovation by reducing appropriability and increasing perceived risks. To ensure the transition to a sustainable energy future, governments must deploy comprehensive policy tools, including subsidies, tax relief, and collaborative platforms. These interventions not only address market inefficiencies but also accelerate the global race toward climate resilience and green competitiveness.

Government support through direct subsidies, tax incentives, and public-private partnerships is essential to address this failure.

Demand-pull policies are essential tools for accelerating the deployment of green technologies by creating stable market demand and reducing investment risks. These policies include carbon pricing, green public procurement, and renewable portfolio standards, which provide economic signals that guide market actors toward sustainable energy choices. This article examines the theoretical foundation of demand-pull mechanisms, evaluates their effectiveness across different jurisdictions, and offers recommendations for their design and implementation in developing economies. By analyzing empirical data and international best practices, the article highlights how demand-pull instruments can serve as a cornerstone for green transition and climate policy.

As countries aim to transition to low-carbon economies, economic policy instruments play a critical role in correcting market failures and incentivizing investment in green energy. While technology-push policies support the supply side of innovation, demand-pull policies stimulate demand by signaling market opportunities. By aligning private incentives with public goals, demand-pull mechanisms help scale up green technologies and achieve climate targets. This article explores the design and impact of demand-pull instruments, with a particular focus on carbon pricing, green procurement, and renewable portfolio standards.

Theoretical Basis of Demand-Pull Policies

Demand-pull policies are grounded in the economic theory of market creation, which posits that emerging technologies often require coordinated demand signals to reach economies of scale. These instruments lower uncertainty for investors, accelerate learning-by-doing, and enable technological lock-in for clean energy solutions. They are especially effective in markets with externalities such as greenhouse gas emissions, where prices do not reflect social costs.

Types of Demand-Pull Instruments; Carbon Pricing

Carbon pricing, including carbon taxes and cap-and-trade systems, internalizes the environmental costs of fossil fuel use. By putting a price on carbon emissions, these instruments create a level playing field for renewable energy and encourage firms to reduce their carbon footprint.

Green Public Procurement; Renewable Portfolio Standards (RPS)

Governments can drive green demand by using their purchasing power to favor low-emission products and services. Green procurement policies set sustainability criteria for tenders and contracts, encouraging innovation and signaling long-term market stability to suppliers. RPS mandates that a specific share of electricity be generated from renewable sources. These standards create guaranteed markets for renewables and have been widely adopted in the United States, Europe, and emerging economies.

Sweden's carbon tax, introduced in 1991, is among the highest globally and has significantly reduced emissions without hindering economic growth. South Korea's green procurement law mandates a certain percentage of public spending be allocated to certified green products. In the U.S., RPS programs in California and New York have spurred investment in solar and wind energy, contributing to dramatic cost declines and increased market penetration.

Implementation Challenges and Design Considerations

Demand-pull policies must be carefully designed to avoid unintended consequences such as market distortion or regressive impacts on low-income households. Key considerations include policy stability, administrative capacity, integration with other climate policies, and alignment with long-term decarbonization strategies.

Demand-pull policies are a vital component of green energy transitions. By creating reliable market signals and stimulating demand, they complement technology-push efforts and help align economic growth with climate goals. Future policy frameworks should integrate diverse demand-pull mechanisms and tailor them to national contexts to ensure an equitable and effective green transformation.

Technology-push policies are critical instruments in fostering early-stage innovation and enabling the development of transformative green technologies. Unlike demand-side mechanisms, these policies directly support research, development, and commercialization efforts by addressing market uncertainties and financing gaps. This article reviews the theoretical rationale for technology-push policies, discusses various implementation strategies such as R&D grants, public-private partnerships, and innovation incubators, and evaluates international experiences. The findings underscore the importance of proactive govern-

ment intervention in accelerating green energy transitions and achieving long-term climate objectives.

Also of interest are models that rely on Golden Section-based threshold indicators—validated by several researchers as reliable measures of financial stability. This method allows for the creation of tolerance corridors, which in turn support the development of management systems that not only evaluate current financial conditions but also propose proactive response strategies. From another perspective, multimodal models developed for rail freight transport clearly demonstrate that the effective functioning of transport systems is determined by factors such as service quality, transit duration, and resource allocation efficiency. Studies emphasize the necessity of integrated models that combine optimization algorithms with service quality indicators. The integration of AI technologies into these models has already been tested in recent years using platforms such as Amazon Sage Maker and Microsoft Azure ML Studio. These tools assist the transport sector in identifying financial risk peaks and initiating early responses to systemic crises. Georgia's

transport and logistics sector represents one of the most strategic branches of the national economy. Its importance has become even more evident in light of recent geopolitical shifts in the region, which have amplified the country's role as a transit hub through Black Sea ports, railways, and land corridors.

According to the National Statistics Office of Georgia (Geostat), in 2023, the combined turnover of the transport and storage sector reached ₾9.4 billion, with ₾3.6 billion in value-added output and approximately 69,400 people employed. However, financial performance analysis reveals several vulnerabilities:

- A high proportion of short-term liabilities, complicating liquidity management;
- Volatility in profitability, especially among small and medium-sized carriers;
- An increase in obligations denominated in foreign currency, making firms particularly exposed to exchange rate risks.

Most companies lack standardized financial analytics mechanisms, which further impedes timely responses to crises. In this context, the implementation of AI-based models becomes especially critical, as they can:

Automate the assessment of financial sustainability;

- Simulate potential risks across various crisis scenarios;
- Integrate multifaceted data reflecting both internal and external factors.

The introduction of such models requires not only technological but also structural collaboration between public and private sectors. The integration of AI tools—such as Microsoft Azure Finance ML and IBM Watson Risk Assessment—into Georgia's transport sector may serve as a pivotal step toward more predictable and resilient operations.

Methodology

This study applies an integrated methodological approach that combines logic-probabilistic modeling, the Golden Section optimization principle, and simulation-based analysis to assess the financial sustainability of maritime and land transport companies under crisis conditions.

1. Logic-Probabilistic Modelling (LP Modeling)

The core of the proposed framework is built upon logic-probabilistic models, which allow for the estimation of financial risks in situations where full statistical data is unavailable or incomplete. Each financial coefficient (e.g., autonomy ratio, liquidity ratios, profitability) is assigned a reliability probability $P(R_i)$ and an unreliability probability $P(Q_i)$ derived from expert-based thresholds and historical behavior patterns. These are then used to compute a systemic risk probability $P_t(Y_i)$ which quantifies the likelihood of financial instability across multiple indicators.

2. Golden Section-Based Threshold Setting

To calibrate acceptable ranges for financial indicators, the model incorporates the Golden Section method (ratio ≈ 0.618), which is used to define normative upper and lower boundaries for each coefficient. This technique ensures the creation of "tolerance corridors" around optimal values, allowing the model to detect early deviations from financially sustainable positions. The method is particularly effective for designing adaptive control systems that respond proactively to risk build-up.

3. Multimodal Simulation and Transport Constraints

Building on the methodology proposed by Shaikina (2020), the study adopts a simulation-based modeling approach for freight transport systems that interact with general multimodal constraints. The mathematical structure considers subsystem dependencies, such as nomenclature of cargo, service time restrictions, and network accessibility, to simulate transport company behavior under different crisis scenarios. This model enables estimation of expected system states over time, which is essential for dynamic financial planning and capacity optimization.

4. AI Platform Integration

To enhance forecasting accuracy and practical application, the model is designed to be implementable on modern AI platforms such as:

- Microsoft Azure ML – for real-time financial simulations and automated risk classification.
- IBM Watson Analytics – for data-driven scenario testing and financial condition prediction.
- Amazon SageMaker – for integrating transport process data into AI workflows to support dynamic decision-making in logistics.

These platforms support the implementation of LP models and fuzzy logic algorithms, enabling real-time tracking of financial health in transport operations.

Results

To demonstrate the practical application of the proposed AI-based financial sustainability assessment framework, the model was implemented using real-world indicators from Georgia's transport sector, with a focus on freight enterprises operating in maritime and land-based logistics.

1. Data Input and Processing

The model used financial and operational data from national statistical sources (Geostat, 2023), including:

- Total turnover of the transport and storage sector: 9.4 billion lari
- Value added: 3.6 billion lari
- Employment: ~69,400 people

- Sector composition: maritime shipping, road freight, and rail cargo transport

Key financial indicators were collected or estimated, including autonomy ratio, current ratio, return on assets (ROA), and debt-to-equity ratio. These were processed through logic-probabilistic algorithms to estimate the enterprise-level risk probability $P_t(Y_i)$

2. Simulation Scenarios

Three main scenarios were developed:

- Baseline (Pre-crisis): Stable demand, standard cost structure
- Moderate Crisis: Fuel price surge and partial logistics chain disruption
- Severe Crisis: Currency depreciation + maritime access restriction + inflation shock

For each scenario, 1,000 simulations were run using the Golden Section-calibrated thresholds for each financial indicator. The system generated probability distributions of risk states and classified companies into zones:

- Green zone: Financially sustainable
- Yellow zone: At risk of liquidity or solvency deterioration

Red zone: High likelihood of financial failure

3. AI Integration Results

Using Microsoft Azure ML, the LP model was deployed for real-time simulation, yielding the following key findings:

- In the moderate crisis scenario, over 46% of simulated companies moved from the green to yellow zone.
- In the severe crisis, over 25% reached the red zone, primarily due to:
 - high exposure to foreign-currency debt;
 - declining liquidity from delayed payments;
 - volatile profitability among small road freight carriers.

The AI-assisted simulation enabled the identification of early warning signals, especially in maritime operators affected by geopolitical instability (e.g., Black Sea corridor disruptions).

4. Policy-Relevant Insights

- Transport enterprises in Georgia lack robust internal financial analytics, making them vulnerable to shocks.
- AI-driven tools can significantly improve crisis preparedness, especially in portfolio monitoring.
- A public-private integration of such platforms is essential to enable sector-wide resilience modelling.




Diagram: Distribution of Georgian Maritime and Land Freight Companies Across Financial Sustainability Zones Under Three Crisis Scenarios

- **Green Zone:** Financially stable companies
 - **Yellow Zone:** Companies at the threshold of high financial risk
 - **Red Zone:** Companies with a high probability of financial collapse
- Baseline Scenario (Normal Operations):

- 80% of companies remain in the green zone, indicating stable financial performance.
- Only 5% fall into the red zone, highlighting a generally resilient structure under normal economic conditions.
- This suggests that in peacetime or stable trade environments, the sector operates efficiently, particularly larger enterprises with diversified freight portfolios.

Moderate Crisis Scenario (e.g., fuel price spikes, partial supply disruption):

- The green zone contracts to 50%, with 35% of firms entering the yellow zone.
- The red zone expands to 15%, indicating early signs of vulnerability, especially among SMEs in road freight with tight operating margins.
- Liquidity management issues begin to emerge, and firms with poor short-term debt coverage face elevated solvency risks.

Severe Crisis Scenario (e.g., inflation + geopolitical trade route disruption):

- Only 30% of enterprises remain in the green zone.
- The red zone reaches 25%, reflecting high systemic exposure.

- Maritime and multimodal carriers dependent on foreign currency financing are disproportionately affected.
- The yellow zone peaks at 45%, showing a broad zone of financial fragility where slight shocks may push companies into failure.

The model confirms that crisis intensity directly impacts risk exposure, and that early identification through AI-powered simulation enables targeted intervention. It also reinforces the need for policy support mechanisms for smaller operators during volatility spikes. Integration of AI-based early warning systems (like Azure ML or Watson) could enable real-time tracking and adaptive planning, ensuring greater resilience of Georgia's logistics infrastructure.

Conclusions

Based on the case of Georgia's transport sector, the following key conclusions were drawn:

- The sector is strategically located but highly vulnerable to external shocks.
- Simulations revealed that under a severe crisis, up to 25% of companies fall into the high-risk zone.
- Small enterprises and those dependent on foreign currency financing are particularly vulnerable.
- Many companies lack automated financial monitoring systems, resulting in delayed risk recognition and reactive financial planning.

The implementation of an AI-based framework ensures:

- Proactive identification of emerging risks;
- Real-time simulation of stress scenarios;
- Informed decision-making at both the public and corporate levels.

The study supports the creation of public-private data-sharing platforms. The use of systems such as Azure ML or IBM Watson enables real-time monitoring and adaptive financial planning. Georgia's case demonstrates how digital transformation—through AI, mathematical modeling, and simulation—can convert reactive transport infrastructures into predictive and resilient systems. The model is adaptable to other transition economies facing similar systemic challenges.

1. Model Validity and Analytical Robustness

- The model successfully quantifies financial instability risk under different economic conditions;
- It assigns logical (rather than historical) weights to indicators;
- Uses the Golden Section to create dynamic tolerance zones;

- Employs AI-based simulations to forecast stress migration.

Empirical simulations confirmed the model's ability to differentiate companies by risk class and forecast the progression of stress under crisis escalation.

2. Sectoral Implications for Georgia

- In moderate crisis scenarios, more than 45% of SMEs shifted to the yellow zone, and 25% to the red zone in severe scenarios;
- The lack of embedded forecasting systems increases systemic exposure;
- Road and multimodal operators are especially impacted.

The model offers a decision-support tool for:

- Selecting optimal freight carriers;
- Assessing the efficiency and resilience of transport subsystems;
- Supporting strategic and operational decisions within logistics chains.

The architecture of the model allows for both micro-level (firm-level) and macro-level (policy) application:

- Real-time financial diagnostics;
- Crisis-response simulation tools;
- Early warning systems for state-supervised logistics corridors.

The findings highlight the necessity of institutional infrastructure that integrates internal analytics into systemic resilience strategies.

This study proves that the synthesis of AI, probabilistic reasoning, and mathematical modeling can fundamentally reshape financial risk management in transport. For transition economies, such a framework is not just an innovation—it is a necessity. The proposed model holds significant potential for cross-sector adaptation and offers a practical guide to embedding resilience logic in both corporate governance and public administration.

Reference

1. OECD (2020). *Transport Strategies in Times of Crisis*.
2. KPMG (2023). *Artificial Intelligence in Transport Infrastructure*.
3. IBM. (2022). *Watson Analytics for Risk*.
4. UNCTAD (2023). *Review of Maritime Transport*.
5. National Statistics Office of Georgia (Geostat). (2023). *Transport and storage sector indicators*.
6. Microsoft Azure ML Documentation. (2022).
7. World Bank. (2021). *Resilience through Digital Transformation in Logistics*.

8. National Statistics Office of Georgia (Geostat). (2023). *Transport and storage sector indicators*. Retrieved from <https://www.geostat.ge/en/modules/categories/395/transport308>
9. Munjishvili, T., & Gaganidze, G. (2019). Development of the specific gravitational model describing foreign trade between two countries with simulation method. In *Proceedings of the 6th International Conference on Strategies, Models and Technologies of Economic Systems Management (SMTESM 2019)* (pp. 590–601).
10. Munjishvili, T., Kozmanashvili, L., Kadagishvili, L., Sikharulidze, D., Shaburishvili, S., Chikviladze, M., Khavtasi, M., & Dokhturishvili, N. (2024). Analysis of financial sustainability of enterprises using simulators. *Ekonomisti*, 1(XX), 84–86.

TRANSPORT SERVICES AND TOURISM

Lali Okrotsvaridze

Associate Professor, Caucasus International University

Jemal Sologhashvili

Professor, Caucasus International University

Abstract

Looking back at the complex path of human development, it becomes evident just how significant a role the invention and advancement of transportation has played in accelerating this process. It must be acknowledged that every innovation in this field has marked a major step forward in societal progress. Without transportation, groundbreaking discoveries would not have been possible, and we might still be living in a world of illusions.

Transportation is vital across all sectors—and for some, it is essential for survival. Take tourism, for example: its development and even existence are heavily dependent on the transport industry. Among its many benefits, transportation allows for time-saving and distance-reducing capabilities.

It would be misguided to consider transportation merely as a means of movement. One must also recognize that it serves as the first source of information for a traveler. It is a key component of the tourism system, leaving a strong impression on visitors. The more attractive, scenic, and exotic the journey to a destination is, the more satisfied and impressed the tourist becomes.

From this, the purpose and importance of this topic become clear.

It would be a mistake to view transport merely as a means of movement. We must not overlook the fact that transport is often the first source of information for a traveler. It is a crucial component of the tourism system in terms of shaping impressions. The more attractive, scenic, and exotic the route to a destination, the more satisfied and impressed the tourist is likely to be. Therefore, the aim and significance of this topic are quite apparent.

The goal of this paper is to highlight the direct role of transport and transportation in the tourism industry, with particular emphasis on ensuring tourists' comfortable, efficient, and safe travel to their destinations.

Choosing the right mode of transportation is essential for allowing tourists to reach a location easily and quickly. Moreover, transport should provide a sense of comfort and care, which in turn increases passenger loyalty.

Today, one of the most pressing issues for humanity is time—how it is planned, managed, and saved. In the context of tourism, this translates to expanding and multiplying tourist destinations, which must be accompanied by comfort and safety in travel.

As for maritime transport, it is relatively underused but holds significant potential from a tourism perspective.

Observations and research suggest that there is room for expanding cruise connections and broadening Black Sea routes, including the extension of the cruise season. However, there are several issues hindering the resolution of these and other challenges. A lack of infrastructure, safety standards, and services, as well as the absence of tourism regulations in some regions, increase environmental risks.

At the same time, large cruise ships require specialized infrastructure, and poor planning or overloading of port facilities can negatively impact the core operations of the port, such as cargo handling. It is also well-known that cruise ships consume vast amounts of water and energy resources and are sometimes a source of environmental pollution.

As we can see, the transport industry and related services represent a significant issue that warrants thorough discussion. Although the sector is generally progressing, it is important to emphasize that maritime transport and its associated services still require reconsideration, refinement, and development, as they hold substantial potential. What is needed is the development of appropriate infrastructure, greater emphasis on environmental sustainability, and a focus on engaging the private sector—within the framework of existing legislation.

Keywords: *Transport Industry, Transport Services, Tourism Regulations*

აჭარის მაღალმთიანი დასახლებების მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე სოფლად ტურიზმის გავლენის სტატისტიკური კვლევა

ნატალია რობიტაშვილი

ასოცირებული პროფესორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო აბესაძე

ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

იამზე სურმანიძე

ასისტენტ პროფესორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რუსუდან ქინქლაძე

ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მსოფლიოში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების ერთ-ერთი პერსპექტიული სფეროა სოფლის ტურიზმი. იგი აერთიანებს ტურიზმის სხვადასხვა სახეობის ფართო სპექტრს, რომელიც დაფუძნებულია სოფლის ბუნებრივი, ისტორიული და სხვა მახასიათებელი რესურსების გამოყენებაზე. სოფლის ტურიზმის ინდუსტრია, როგორც წესი, იაფ დასვენებას სთავაზობს ვიზიტორებს. ტურისტებს ეძლევათ საცხოვრებელი სოფლის სახლებში, ფერმების გაცნობა (ფრინველების, ცხოველების მოვლა, ბადისა და ბოსტნეულის მცენარეების მოყვანა-კრეფა, მანდარინისა და ყურძნის კრეფა), გარე დასვენების ორგანიზების სხვადასხვა ფორმატი (ნადირობა, თევზაობა, სოკოს, კენკრის კრეფა, ცხენით ჯირითი და ა.შ.), ლაშქრობების მოწყობა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებისგან დამზადებული ადგილობრივი კერძების დაგემოვნება და ადგილობრივი ღირსშესანიშნაობების გაცნობა. სოფლის ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვანია ისეთი მაღალმთიანი რეგიონებისათვის, რომელიც ხასიათდება მიგრაციის მაღალი მაჩვენებლითა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობის შემცირებით. სოფლის ტურიზმი ხელს უწყობს ტერიტორიების განვითარებას, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, კერძო მეურნეობების განვითარების სტიმულირებას, ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალური საკვები პროდუქტების წარმოებას, ასევე, სოფლის ტერიტორიებისა და სოფლის იდენტობის განვითარებას. აჭარის მაღალმთიანი რეგიონების

განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებას სოფლის ტურიზმი წარმოადგენს, რადგან მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკის მომიჯნავე დარგების განვითარებაზე, სოფლის მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. სოფლის ტურიზმი, შეიძლება განვიხილოთ, როგორც აჭარის მაღალმთიანი დასახლებების მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს აჭარის მაღალმთიანი დასახლებებში სოფლის ტურიზმის დადებითი ეფექტის გამოვლენა, რომელიც აისახება მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სტატისტიკური გამოკვლევის ეტაპების: სტატისტიკური დაკვირვების, თავმოყრა-დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდები. ასევე, მაღალმთიანი აჭარის სამი მუნიციპალიტეტის - ქედის, შუახევისა და ხულოს მაცხოვრებლების გამოკითხვა Google Drive-ის ფორმატით ონლაინ ანკეტით და ჩადრმავებული პირდაპირი ინტერვიუება ფოკუს ჯგუფებში.

კვლევის შედეგად გამოვიტანეთ შემდეგი დასკვნები - გამოვლინდა, რომ მაღალმთიან აჭარაში სოფლის ტურიზმი განვითარების ფაზაშია. ემპირიული მტკიცებულებები აჩვენებს, რომ სოფლის მაცხოვრებლებს აქვთ დადებითი და პოზიტიური დამოკიდებულება ტურიზმისა და ტურისტების მიმართ, განსაკუთრებით აფასებენ ტურისტებთან ურთიერთობასა და ტურისტული აქტივობების ეკონომიკურ გავლენასა და სარგებელს. გამოკითხული რესპოდენტების პასუხების შედეგად ჩამოვყალიბეთ ძირითადი ფაქტორები, რაც მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში გამოიხატება: სამუშაო ადგილების შექმნა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, შინამეურნეობების შემოსავლების ზრდა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდა. სოფლის ტურიზმი სტიმულირებას უწევს სოფლის სოციალური სფეროს მხარდაჭერას, ადგილობრივ მეწარმეობას, სოფლის მეურნეობის განვითარებასა და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ზრდას.

საკვანძო სიტყვები: სოფლის ტურიზმი, სტატისტიკური ანალიზი, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი.

ბიბლიოგრაფია

1. ვაწაძე ი. (2018)., “სოფლის ტურისტული ბიზნესის განვითარება, როგორც ინკლუზიური ეკონომიკის ზრდის კონცეფციის რეალიზაციის ფაქტორი“, თსუ, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ. 464-470
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024)

3. Abesadze, N., Kinkladze, R. Giorgobiani, M. Robitashvili, N, Chitaladze, K. (2021). The main challenges of cruise tourism and statistics of expectations in Georgia. MATEC Web of Conferences (pp. 1-7). EDP Sciences.
4. Abesadze, N., Robitashvili, N, Abesadze, O, Kinkladze, R. (2022). FOREIGN TRADE STATISTICS AS THE MAIN CATALYST FOR IMPROVING MARITIME. VI International Conference on Sustainable Transport System and Maritime Logistics (pp. 90-97). Batumi Navigation Teaching University.
5. Abesadze, N., Robitashvili, N, Abesadze, O, Kinkladze, R. (2023) STATISTICAL STUDY OF PRIORITY DIRECTIONS AND EXPECTATIONS OF DOMESTIC TOURISM REHABILITATION IN GEORGIA, International Scientific Journal Innovative Economics and Management, (pp.104-113)
6. Adventure Travel Association.
Retrieved:<https://www.adventuretravelnews.com/atdi-2020-released-icelandand-czech-republic-score-top-marks-for-adventure-tourism-competitiveness-in-2020> Access: 24.03.2021.
7. Aid for Trade and Value Chains in Tourism. (2013) OECD/UNWTO/WTO pp.23-24
3. Belgen, M., Elif, A. (2014).
8. A Value Chain Analysis of Turkish Tourism Sector. International journal of business and Management studies. pp. 500-501
9. Denman R., Denman J. (2009). Tourism and Poverty Alleviation: Practical Steps for Destinations // SNV & UNWTO. pp.19
10. Department of tourism and resorts of Ajara Autonomous Republic. Retrieved: <http://gobatumi.com/en/type-of-tourism> Access: 24.03.2021.
11. Global Report on Adventure Tourism. (2014). The World Tourism Organization (UNWTO), pp.12-13
12. Robitashvili N., Bakhtadze E., Phalavandishvili N., „Identifying (2020) tourism market growth opportunities and risks in the Autonomous Republic of Adjara (Georgia)“ (pp. 35-42)Jelgava, Latvia
13. Robitashvili N., Bakhtadze E., Phalavandishvili N.(2021)Value Chain Analysis of adventure tourism: a case study of Ajara Autonomous Republic (Georgia)“ (pp.373-381)Jelgava, Latvia
14. Streimikiene, D., Bilan, Y. (2015), „Review of Rural Tourism Development Theories“, Transformations in Business & Economics, Vol. 14, No 2 (35), pp.21-34.

ინოვაციური მიდგომები ადამიანური რესურსების მართვაში საზღვაო ლოჯისტიკის სფეროში

სოფიკო მიქაბაძე

ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

თანამედროვე გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში, საზღვაო ლოჯისტიკის სექტორი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. ამ დინამიკურად ცვალებად გარემოში ადამიანური რესურსების მართვა გადამწყვეტ როლს ასრულებს ორგანიზაციული ეფექტიანობის და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში. სტატიაში განხილულია ინოვაციური მიდგომები, რომლებიც მიმართულია საზღვაო ლოჯისტიკის სფეროში HR პროცესების გაუმჯობესებისკენ.

კვლევა ფოკუსირებულია ისეთ თანამედროვე პრაქტიკებზე, როგორიცაა ციფრული HR პლატფორმების დანერგვა, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება კადრების შერჩევაში და შეფასებაში, დისტანციური სწავლების და პროფესიული განვითარების პროგრამების ინტეგრაცია, ასევე თანამშრომელთა ჩართულობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მენეჯმენტის მოქნილობასა და ადაპტაციის უნარს, რაც აუცილებელია წარმოქმნილი რისკების დროს.

სტატია ასევე განიხილავს პორტების მენეჯმენტისა და ლოჯისტიკური კომპანიების პერსპექტივებს და ასახავს თუ როგორ შეიძლება ინოვაციური HR სტრატეგიები გამოყენებული იქნას კადრების შენარჩუნებისა და მოტივაციის გასაზრდელად. კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ადამიანური კაპიტალის განვითარება და ტექნოლოგიების ინტეგრაცია HR პროცესებში წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორს.

დასარულს სტატიაში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რათა ხელი შეუწყონ ინოვაციური HR პრაქტიკის დანერგვას საზღვაო ლოჯისტიკის სფეროში, რაც უზრუნველყოფს სექტორის მდგრადობასა და გლობალურ ინტეგრაციას.

საკვანძო სიტყვები: *ინოვაციური HR სტრატეგიები, საზღვაო ლოჯისტიკა, მდგრადი განვითარება.*

თანამედროვე მსოფლიოში მდგრადი ლოჯისტიკის სამი ძირითადი სტრატეგია: მწვანე ლოჯისტიკა, რევერსული ლოჯისტიკა და ლინ ლოჯისტიკა

იმედა ჰაქსაძე

ასისტენტ-პროფესორი, ბათუმის
ნავიგაციის უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში ლოჯისტიკის სექტორი გლობალური ვაჭრობის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს წარმოადგენს, თუმცა მზარდი ეკოლოგიური პრობლემებისა და რესურსების დეფიციტის ფონზე, სექტორი დგას მდგრადი გადაწყვეტილებების შემუშავების აუცილებლობის წინაშე. ამასთანავე უნდა ითქვას რომ თანამედროვე მსოფლიოში მდგრადობის ცნება მხოლოდ ეკოლოგიურ პრობლემებზე არ არის ორიენტირებული. იგი ასევე მოიცავს ეკონომიკურ ეფექტიანობას, სოციალურ პასუხისმგებლობას და ეკოლოგიური ბალანსის დაცვას, რაც მას კომპლექსურ სტრატეგიად აყალიბებს. მოცემულ კონტექსტში, მდგრადი ლოჯისტიკის მიზანია ლოჯისტიკური პროცესების გავლენის შემცირება გარემოზე, რესურსების ოპტიმალური გამოყენება და ნარჩენების ეფექტიანი მართვა. ამ ყოველივეს გათვალისწინებით ნაშრომის მთავარი მიზანია ლოჯისტიკის სფეროში მდგრადობის უზრუნველსაყოფად გამოყენებული სამი ძირითადი სტრატეგიის: მწვანე ლოჯისტიკის, რევერსული ლოჯისტიკისა და ლინ ლოჯისტიკის დეტალური შესწავლა. მწვანე ლოჯისტიკა გულისხმობს ეკოლოგიურად სუფთა და ეფექტური ტრანსპორტის, პროდუქციის წარმოებაში კი გარემოზე მინიმალური ზიანის მიყენებით შეფუთვის, დასაწყობებისა და საცავების პროცესების მართვის პრაქტიკებს. უკუ ლოჯისტიკა კი გულისხმობს გამოყენებული ან ფუნქცია დაკარგული და წუნდებული პროდუქციის წარმოებაში ხელახალ გამოყენებისა და მისი გადამუშავების პროცესებს. ლინ ლოჯისტიკა კი კონცენტრირებულია დანაკარგების აღმოფხვრასა და ეფექტიანობის ზრდაზე მიწოდების ჯაჭვის ყველა ეტაპზე. აღნიშნული სტრატეგიების როგორც ცალკე, ასევე ინტეგრირებულად გამოყენებისას, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მდგრადი ლოჯისტიკური სისტემების ჩამოყალიბებაში. შედეგად კი შესაძლებელია როგორც გარემოზე ზეწოლის შემცირება ასევე ბიზნესსაქმიანობის კონკურენტუნარიანობისა და ხარჯების ოპტიმიზაციის ხელშეწყობა. ამგვარად, მდგრადი ლოჯისტიკა თანამედროვე ლოჯისტიკის განვითარებაში ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად განიხილება.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი ლოჯისტიკა, მწვანე ლოჯისტიკა, უკუ ლოჯისტიკა, ლინ ლოჯისტიკა

კახეთის რეგიონის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა თანამედროვე ეტაპზე

ნინო დობტურიშვილი
დოქტორანტი, თსუ

აბსტრაქტი

საქართველო ათეული წლებია იმყოფება მძიმე დემოგრაფიული საფრთხის წინაშე. მოსახლეობის რიცხვი მცირდება, მიმდინარეობს ცვლილებები სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურაში, იზრდება უარყოფითი დემოგრაფიული მახასიათებლების ქვეყნის სოციალურ მახასიათებლებზე გავლენის ხარისხი, ნაკლებ ეფექტიანია დემოგრაფიული ვითარების გამოსწორების ღონისძიებები, დემოგრაფიული პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები და ა.შ. ეს ყველაფერი აისახება ქვეყნის დემოგრაფიულ სტატისტიკაზე როგორც მთლიანად, ისე რეგიონულ ქრისტში. რა თქმა უნდა პრობლემები არის და მათი დაძლევა საზოგადოების თოთოეული წევრის ვალია ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის შესწავლა, რადგან მოსახლეობის რაოდენობაზე, შემადგენლობასა და დინამიკაზე დამოკიდებული, როგორც შრომითი რესურსების მოცულობა, ასევე, წარმოებული მატერიალურ დოვლათისა და მომსახურებაზე მოთხოვნის რაოდენობა.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა კახეთის რეგიონის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ძირითადი ტენდენციების გამოვლენა და გაანალიზება თანამედროვე ეტაპზე.

კვლევის პროცესში გამოყენებულია როგორც თვისებრივი, ისე სტატისტიკური: დაკვირვების, დაჯგუფების, შეფარდებითი და საშუალო სიდიდეების, საინდექსო და სხვა მეთოდები.

- კვლევის შედეგად გამოვლინდა, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კახეთის რეგიონში მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა ვერ აკმაყოფილებს ე.წ. პროგრესული ტიპის ასაკობრივ შემადგენლობას;
- კახეთის რეგიონის მოსახლეობის 77,5% სასოფლო დასახლებაში ცხოვრობს, ხოლო ქალაქის დასახლებაში კი - მისი 22,5%. აქედან როგორც ქალაქის, ასევე სასოფლო დასახლებების ყველაზე მეტი წილი მოსახლეობის 50-54 და 55-60 წლის ასაკობრივ ჯგუფებზე მოდის, რომელთა წილი შესაბამისად 7,5 % და 7,4%-ია;

- რეგიონი გამოირჩევა დაბერებული მოსახლეობის მაღალი წილით. აქედან გამომდინარე, რეგიონის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის „სტაციონალური“ ტიპი იცვლება უკვე „რეგრესიული“ ტიპით, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის რიცხოვნობაში გაზრდილია ხანდაზმული მოსახლეობის წილი და შეესაბამება კახეთის რეგიონის მოსახლეობის შეკვეცილ აღწარმოებას.
- კახეთის რეგიონში, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი (15-დან 60 წლამდე ასაკის მოსახლეობა) კახეთის რეგიონის მთიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენს (58,4%). ეს კი პოზიტიურ მოლოდინებს ქმნის შრომითი რესურსების გაზრდისა და პროდუქტიულობის მიმართულებით.
- 0-დან -19 წლამდე, 25-29, 35-39, 40-44 ასაკობრივ ჯგუფებში კაცების რაოდენობა აჭარბებს ქალების რიცხვს, მაგრამ მომდევნო ასაკობრივ ჯგუფებში მდგომარეობა შესამჩნევად იცვლება, ქალების რაოდენობის უპირატესი ზრდის გამო.
- კახეთის მოსახლეობის მედიანური ასაკი 41 წელია, მამაკაცებში ის გაცილებით დაბალი, 37, ხოლო ქალებისთვის 44 წელს უდრის, რაც იმას ნიშნავს, რომ რეგიონის მოსახლეობის ქალების ნახევარი უფრო ასაკიანია ვიდრე კაცები. ყველაზე მაღალი მედიანური ასაკი დაფიქსირდა სიდნაღში (46 წელი), გურჯაანში (44 წელი) და დედოფლისწყაროში (44 წელი).

საკვანძო სიტყვები: კახეთის რეგიონი, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, დემოგრაფიული დაბერება. შემცირების ტენდენცია, ანალიზი.

ბიბლიოგრაფია

1. გელაშვილი ს. (2022). საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკა. უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 59, თბილისი.
2. თოთაძე, ა. (2014). კახეთის მოსახლეობა. უნივერსალი. გვ. 26, თბილისი.
3. წულაძე გ., მალაფერიძე ნ., სულაბერიძე ა. (2009). დემოგრაფია. ილიაუნის გამომცემლობა, გვ. 119-120. თბილისი.
4. ხმალაძე მ., ჩიტალაძე ქ. (2020). დემოგრაფიული სტატისტიკა. გამომცემლობა თსუ, გვ.77-86, თბილისი.
5. Sulaberidze A. (2002). “Problems of Socio-Demographic Policy in Georgia” . *Sociological Research*, 42(1):87-96, DOI: [10.2753/SOR1061-0154420187](https://doi.org/10.2753/SOR1061-0154420187)

6. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2016). მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. ?? ბოლო ნახვა 15 სექტემბერი, 2024
7. ბარტ დე ბრუნი, ჭითანავა მ. (2017). მოსახლეობის დაბერება და ხანდაზმულები საქართველოში. თბილისი. შპს „ვესტა“ გვ.53
8. https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/2.%20Ageing_GEO_Print%20F_1.pdf ბოლო ნახვა 15 სექტემბერი, 2024.
9. სახვაძე ა. (2024). <https://kvira.ge/924933> ბოლო ნახვა 8 ოქტომბერი, 2024
10. ქინქლაძე რ., მეტრეველი შ., ჩიტალაძე ქ. (2022). „COVID-19 გავლენა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე“. <https://dspace.tsu.ge/server/api/core/bitstreams/b9944fda-87fe-49e9-a41c-a03004c89dd8/content> ბოლო ნახვა 10 ოქტომბერი,, 2024
11. Gelashvili S. (2022). Demographic and social statistics of the regions of Georgia. Tbilisi. University Publishing House. Gv. 59 (in Georgian)
12. Totadze, A. (2014). Population of Kakheti. Tbilisi. Universal. Gv. 26((in Georgian)
13. Tsuladze G., Maglaferidze N., Sulaberidze A. (2009). Demography. Tbilisi. Ilia State University. Gv. 119-120((in Georgian)
14. Khmaladze m., Chitaladze st. (2020). Demographic statistics. Tbilisi Gv.77-86((in Georgian)
15. Sulaberidze, A. (2002). "Problems of Socio-Demographic Policy in Georgia". Sociological Research, 42(1):87-96, DOI: 10.2753/SOR1061-0154420187
16. National Statistics Service. (2016). Main results of the 2014 general population census.
17. Bart de Brun., Chitanava m. (2017) Population aging and the elderly in Georgia. Tbilisi. "Vesta" LLC Gv.53
18. Unfpa In Georgia 15 Years Of Partnership For Progress https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/2.%20Ageing_GEO_Print%20F_1.pdf (accessed 8 October, 2024)
19. Sakhvadze, A., (2024). <https://kvira.ge/924933> (accessed 10 October, 2024)
20. Kinkladze St., Metreveli St., Chitaladze St. (2022) Impact of COVID-19 on the sex-age structure of the population.
21. <https://dspace.tsu.ge/server/api/core/bitstreams/b9944fda-87fe-49e9-a41c-a03004c89dd8/content> (accessed 22 September, 2024)
22. <https://www.geostat.ge/ka>(accessed 5 August, 2024)

23. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia> (accessed 1 October, 2024)
24. <https://database.geostat.ge/pyramid/index.php?>(accessed 19 (Septemberber, 2024)
25. <https://database.geostat.ge/pyramid/index.php?lang=ka> ბოლო ნახვა 19 სექტემბერი, 2024

მსოფლიო ტურიზმის მიმდინარე ტენდენციები და მომავლის პერსპექტივები

ელისო გველესიანი

*ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ნანო ცერცვაძე

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი*

აბსტრაქტი

მომსახურების საერთაშორისო ბაზარზე მსოფლიოს მასშტაბით ტურიზმის ინდუსტრია ერთ-ერთ დინამიურად განვითარებად დარგს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას რომ, იგი შემოსავლების მიღების უდიდესი წყარო და მრავალი ქვეყნის საგადასახადო ბალანსის მნიშვნელოვანი ფაქტორია. საერთაშორისო ტურიზმის განუხრელ ზრდაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ 500 მილიონ ადამიანზე მეტი ყოველწლიურად მოგზაურობს უცხოეთში ტურისტული მიზნით. შეიძლება ვთქვათ, რომ დღეისათვის ის მსხვილი ბიზნესი, დიდი ფული და გლობალური დონის პოლიტიკაა.

ნაშრომის მიზანია თანამედროვე გლობალიზაციის კონტექსტში საერთაშორისო დონეზე ტურიზმის განვითარების ძირითადი ტენდენციების შესწავლა. ცნობილია, რომ ტურიზმი მსოფლიოში არათანაბრად არის განვითარებული, რაც პლანეტის ქვეყნებისა და რეგიონების განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით აიხსნება. ნაშრომში აღნიშნულია, რომ ტურიზმის ბიზნესის განვითარება მოსახლეობის დასაქმების უმნიშვნელოვანესი პირობაა. მას ახასიათებს მულტიპლიკატორის ეფექტი. ტურიზმში შექმნილი სულ მცირე ერთი სამუშაო ადგილი ხელს უწყობს ორი ახალი სამუშაო ადგილის შექმნას ისეთ მომიჯნავე ინდუსტრიებში, როგორცაა ვაჭრობა, ტრანსპორტი, კომუნიკაციები, სოფლის მეურნეობა, განათლება, მეცნიერება და ა.შ.

ნაშრომში განხილულია მსოფლიო ტურიზმის განვითარების ძირითადი ტენდენციები:

- თანამედროვე ტურისტები არიან მეტად გამოცდილი, დახვეწილი, გემოვნებიანი და მომთხვინი. მათ იზიდავთ ატრაქციები მომსახურების მაღალი ხარისხით.
- ტურისტები გამოთქვამენ სურვილსშეისწავლონ სხვადასხვა ქვეყნის ისტორია, კულტურა, ბუნება და ველური გარემო; აღსანიშნავია რომ, უკანასკნელ პე-

რიოდში რელიგიურ რწმენაზე დაფუძნებული პილიგრიმული ტურიზმი განსაკუთრებით მოთხოვნად მიმართულებად იქცევა;

- გლობალიზაციის ამჟამინდელ ეტაპზე ტურისტები უპირატესობას ანიჭებენ მოკლევადიან, მაგრამ უფრო ხშირ დასვენებას;

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხანდაზმულ ადამიანებს შორის იზრდება ინტერესი ინკლუზიური ტურიზმის პროდუქტების მიმართ;

- გლობალიზაციის კონტექსტში, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაზე პასუხისმგებლობა ნაწილდება ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და კერძო სექტორს შორის, რათა დაბალანსდეს ეროვნული, რეგიონული, საჯარო, გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური მიზნები.

მეთოდები: კვლევა, რომელიც აერთიანებს ემპირიულ და თეორიულ ანალიზს. ემპირიული მონაცემები გვთავაზობს კონკრეტულ მტკიცებულებებს, ხოლო თეორიული ჩარჩოები უფრო ფართო კონტექსტს, რაც ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

დასკვნა: მსოფლიო ტურიზმის მიმდინარე ტენდენციების შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ დარგის განვითარების პერსპექტივები, ტურისტული ქვეყნებისა და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამალღების ხელშეწყობისთვის.

საკვანძო სიტყვები: მსოფლიო ტურიზმი, ტურიზმის თანამედროვე ტენდენციები, კერძო სექტორი.

ციფრული თაობის ემოციური გაუცხოება და სტარტაპების მენეჯმენტში წარმომადგენელი გამოწვევები

ლევან კიკილაშვილი

დოქტორანტი, ბიზნესისა და სოციალური
მენეჯერების ფაკულტეტი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ციფრული ეპოქის ახალგაზრდებში ღირებულებითი სისტემის რღვევამ გამოიწვია ემოციური გაუცხოება, რაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს სტარტაპ მენეჯმენტში თანამშრომელთა ურთიერთობებსა და საერთო მიზნების ეფექტიან განხორციელებაზე. ნაშრომი მიზნად ისახავს შეისწავლოს ციფრული თაობის ქცევითი მახასიათებლები და მათი გავლენა სტარტაპ ორგანიზაციებში წარმოქმნილ მენეჯმენტურ პრობლემებზე. კვლევაში გამოყენებულია შერეული მეთოდი: ინტერვიუების ანალიზი სტარტაპ დამფუძნებლებთან და თეორიული ჩარჩოს საფუძველზე მოდიფიკაცია. შედეგებმა ცხადყო, რომ პასუხისმგებლობის დეფიციტის ნაკლებობა ხელს უშლის ეფექტურ გუნდურ მუშაობასა და ლიდერობის ჩამოყალიბებას. დასკვნის სახით, ნაშრომი გვთავაზობს რეკომენდაციებს, როგორ შეიძლება აღდგეს ღირებულებითი ბალანსი ციფრული თაობის მენეჯმენტის ჩართულობაში და როგორ უნდა ადაპტირდეს სტარტაპ მმართველობა თაობათა შორის ღირებულებითი განსხვავებების პირობებში.

საკვანძო სიტყვები: ღირებულებითი კრიზისი; ემოციური ინტელექტი; სტარტაპ მენეჯმენტი; თაობათა განსხვავება; პასუხისმგებლობა

შესავალი

21-ე საუკუნის დასაწყისში კაცობრიობა აღმოჩნდა ციფრული ცივილიზაციის ეპიცენტრში, სადაც ტექნოლოგიური პროგრესი არა მხოლოდ ყოველდღიურობას, არამედ ღირებულებით-კულტურულ ფონსაც ქმნის. ციფრული ეპოქის თაობა — ე.წ. Z თაობა და განსაკუთრებით ალფა თაობა — იდენტიფიცირდება როგორც ყველაზე ტექნოლოგიურად გათვითცნობიერებული და ციფრულად ჩართული სოციალური ფენა, რომელთაც ურთიერთობების უმეტესი ნაწილი ვირტუალურ სივრცეში გადაჰყავთ. თუმცა, სწორედ ამ ინტენსიური ტექნოლოგიზაციის შედეგად, თანამედროვე ახალგაზრდებში თვალსაჩინოა ღირებულებითი სისტემის რღვევის ტენდენცია, რაც იწვევს ემოციური ინტელექტის დაქვეითებას, პასუხისმგებლობის აღქმის

პრობლემებს, მადლიერების კულტურის სისუსტეს და ზოგად სოციალურ გაუცხოებას. (Ahmed 2021)

მიუხედავად იმისა, რომ ციფრულ თაობას ხშირად აფასებენ როგორც „ინოვაციურ“ და „მოქნილ“ ჯგუფს, რეალურ სამუშაო სივრცეში მათთან თანამშრომლობა, განსაკუთრებით სტარტაპ სექტორში, მნიშვნელოვანი მენეჯმენტური გამოწვევების წინაშე აყენებს დამფუძნებლებსა და მენეჯერებს. სტარტაპი, როგორც ღირებულებებსა და მიზნებზე დაფუძნებული მცირე ორგანიზაციული ერთეული, კრიტიკულად საჭიროებს სანდოობას, ერთგულებას, გუნდურ პასუხისმგებლობასა და ემოციურ სინქრონიზაციას. სწორედ ამ კომპონენტების დეფიციტი ქმნის რეალურ ბარიერს სტარტაპების მდგრადი განვითარების გზაზე. (Adekola and Sergi 2016)

თანამედროვე სტარტაპების დაბალი სიცოცხლისუნარიანობა და მაღალი წარუმატებლობის მაჩვენებელი ხშირად მხოლოდ ფინანსური ან სტრატეგიული მიზეზებით არ აიხსნება. ბოლო წლებში სექტორში კვლევები მიანიშნებს იმაზე, რომ ორგანიზაციული კულტურის, ადამიანური ურთიერთობებისა და ღირებულებით ერთიანობის კრიზისი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სტარტაპების მენეჯმენტურ მოწყვლადობას. განსაკუთრებით კი იმ ორგანიზაციებში, სადაც გუნდის ძირითადი წევრები სწორედ ციფრულ თაობას მიეკუთვნებიან.

ამავე დროს, სტარტაპ მეწარმეობა, თავისი არსით, მოითხოვს სიმამაცეს, შეცდომების აღიარებას, სწრაფ ადაპტაციას და ღია კომუნიკაციას. ციფრულ თაობაში ამ თვისებების გამოვლენა ხშირად შეფერხებულია იმ სოციალური ფონის გამო, სადაც შეფასების ძირითადი კრიტერიუმში „გარეგანი აღქმა“ და არა ღრმა ანალიზზე ან თვითშეფასებაზე დაფუძნებული რეაქციები. ბოდიშის კულტურა, მადლიერების გამოხატვა ან ლიდერობის პასუხისმგებლობის ტვირთის შემცირება არაერთხელ ხდება სტარტაპის შიდა მენეჯმენტში კონფლიქტისა და უკმაყოფილების წყარო. (Ghauri, Ott, and Rammal 2020)

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ღირებულებითი კრიზისი კიდევ უფრო გამძაფრებულია სისტემური ფონის გამო — განათლების სისტემაში ნაკლები აქცენტი კეთდება სოციალურ და ემოციურ უნარებზე; ოჯახებში არაერთი ღირებულებითი კონფლიქტი ფიქსირდება თაობებს შორის; საზოგადოებრივ სივრცეში კი მიღებულია ინდივიდუალისტური ნარატივების კულტივაცია — რაც კიდევ უფრო ამცირებს ახალგაზრდების მზაობას პასუხისმგებლობის გაზიარებისთვის.

გლობალური პერსპექტივიდან, აღნიშნული ტენდენცია ემთხვევა საერთაშორისო კვლევების დასკვნებს. დანიელ გოლემანი ემოციური ინტელექტის მოდელში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თანამედროვე სამუშაო გარემოში ტექნიკური უნარ-ჩვევებზე მეტად ხშირად ჭარბობს ემოციური კომპეტენციები — განსაკუთრებით სტრუ-

სულ, ინოვაციურ და არასტაბილურ გარემოში, როგორც სტარტაპია. როდესაც გუნდის წევრებს აკლიათ თვითშეგნება, თვითკონტროლი, ემპათია და სოციალურობა, ეს პირდაპირ აისახება კომუნიკაციაზე, მოტივაციაზე და საერთო მიზნების მიღწევის ეფექტიანობაზე. დანიელ გოლემანის (1995) ემოციური ინტელექტის მოდელი ხაზს უსვამს: თვითშეგნება, თვითრეგულაცია, მოტივაცია, ემპათია და სოციალური უნარები — ყველა მათგანი უკიდურესად დაბალია იქ, სადაც გუნდის წევრებს არ ესმით კოლექტიური ძალის მნიშვნელობა. (Goleman 1995)

წარმოდგენილი ნაშრომი სწორედ ამ მრავალწახნაგა პრობლემის ანალიზს ემსახურება. მისი მიზანია, გამოყოს ის ქცევითი და ღირებულებითი თავისებურებები, რაც ციფრულ თაობას ახასიათებს, და შეაფასოს მათი ზეგავლენა სტარტაპების მენეჯმენტში წამოჭრილ პრაქტიკულ სირთულეებზე. კვლევა ეფუძნება შერეულ მეთოდოლოგიას — როგორც თეორიულ ჩარჩოს ანალიზს, ასევე ინტერვიუების საფუძველზე მიღებულ რეალურ მონაცემებს სტარტაპ დამფუძნებლებისგან. შედეგების გაანალიზებით ნაშრომში წარმოვადგენთ სისტემურ რეკომენდაციებს, როგორ უნდა ადაპტირდეს სტარტაპ მენეჯმენტი თაობათაშორის ღირებულებით გამოწვევებთან და როგორ შეიძლება აღდგეს ჯანსაღ, ღირებულებებსა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული სტარტაპ კულტურა.

ციფრულ ეპოქაში დაბადებულ თაობათა (Generation Z და Alpha) სოციალური ქცევების შესწავლა დღეს ერთ-ერთი კომპლექსური გამოწვევაა, რადგან თაობის წარმომადგენლები აღიზარდნენ ტექნოლოგიურ სიჭარბეში, მუდმივად ცვალებად ციფრულ გარემოში, სადაც მყისიერი კავშირის იმიტაციით ჩანაცვლდა ღრმა ემოციური კავშირები.

ციფრული მედია ცვლის სოციალური კომუნიკაციის სტრუქტურას: მესიჯები ჩაანაცვლა დიალოგი, ხოლო ონლაინ შთაბეჭდილებამ რეალური თანაგრძნობა. ამას თან ახლავს "გაუზიარებლობის სინდრომი", როდესაც ჯგუფური ღირებულებები და მიზნები უკანა პლანზე გადადის პირად ინტერესებთან შედარებით.

კვლევის მეთოდოლოგია და ანალიზი

მკვლევრის მიერ ინტერვიუები ჩატარდა ბოლო სამი თვის განმავლობაში, 2025 წლის მარტიდან მაისის ჩათვლით პერიოდში, საქართველოში მოქმედ 30 სტარტაპში, რომლებიც დასაწყისის ან ზრდის ეტაპზე იმყოფებოდნენ. შერჩევა მოხდა მიზნობრივი სტრატეგიით (purposive sampling) — შერჩეული იქნა სტარტაპები, სადაც გუნდში 18-დან 30 წლამდე ასაკის მინიმუმ 3 წევრი იყო წარმოდგენილი, რომლებიც მიეკუთვნებიან ძირითადად ციფრულ თაობას (Gen Z). (თვისებრივი კვლევა, 2025)

ინტერვიურებაში მონაწილეობა მიიღო 30 დამფუძნებელმა/მენეჯერმა, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ ადამიანური რესურსების მართვაზე, პროექტის

კოორდინაციაზე ან სტრატეგიულ განვითარებაზე. მათი გამოცდილება 1-დან 5 წლამდე მერყობდა, ხოლო სექტორულად სტარტაპები ნაწილდებოდნენ ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო, სოციალური და სერვისული მიმართულებით. ინტერვიუები ჩატარდა ნახევრადსტრუქტურირებული ფორმით, რაც საშუალებას აძლევდა რესპონდენტს თავისუფლად გამოეხატა საკუთარი მოსაზრებები.

ინტერვიუს ანალიზმა გამოავლინა რამდენიმე მტკიცე ტენდენცია. კითხვაზე: „რა გახდა თქვენი სტარტაპის წარმატებლობის მთავარი მიზეზი?“ — რესპონდენტთა პასუხებში ნათლად იკვეთებოდა ქვევითი ხასიათის პრობლემები, რაც აისახა შემდეგ ძირითად დეფექტებში:

- **საკუთარი წილის მიუღებლობა:** საქმე რჩებოდა დაუსრულებლად, მონაწილეები თავს არიდებდნენ საბოლოო ვერსიის წარდგენას, რაც პროექტის ჩავარდნის მთავარ მიზეზად დასახელდა;
- **ლიდერის შრომის გაუფასურება:** ხშირად არ ხდებოდა იმ ინტელექტუალური რესურსის აღქმა, რომელიც მენტორის ან გუნდის დამფუძნებლის მხრიდან იყო შეთავაზებული;
- **პატივისცემის ნაკლებობა გუნდში:** მიზნის მიღწევის გარეშე დროის, რესურსის და ცოდნის მიტაცება;
- **არასწორი შიდა კომუნიკაცია:** პრობლემების განზოგადება, თავის მართლების მექანიზმების გააქტიურება და პასუხისმგებლობისგან თავის არიდება ქმნიდა გაუცხოებას;
- **პასიური წინააღმდეგობა:** გაუთქმელი პროტესტი, იგნორირება, ჩატიდან გასვლა ან შეთანხმებული ვალდებულებების არშესრულება – გუნდის წევრების მხრიდან.

ეს ყველაფერი ასახავს იმ სისტემურ ფენომენს, რომელსაც ქვევითი უპასუხისმგებლობა ეწოდება და რაც ხშირია სტარტაპ საზოგადოებაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა გუნდში ერთზე მეტი წარმომადგენელია ციფრული თაობიდან და არ არსებობენ ღირებულებითი ბირთვის მქონე წევრები.

ასეთი შემთხვევები წარმოადგენს ტიპურ მაგალითს, თუ როგორ შეიძლება პროექტი – რომლის შექმნაში ჩაიღო მენტორის ცოდნა, რესურსი, ენერჯია და სანდოობა – შეწიროს გუნდური თამაშის და პასუხისმგებლობის კულტურის ნაკლებობას.

ამგვარი ქეისების გამეორება — „არაერთხელ გამეორდა მსგავსი შედეგი სხვადასხვა გუნდში“, ქმნის საჭიროებას, რომ ამ პრობლემის სიღრმისეულად გაანალიზებამ შეიტანოს წვლილი არა მხოლოდ კონკრეტულ კვლევაში, არამედ საქართველოსა და რეგიონის ახალგაზრდული მეწარმეობის განვითარების სტრატეგიებშიც.

სტარტაპებში რესურსი ყოველთვის შეზღუდულია. თითოეული წევრის წვლილი გადამწყვეტია შედეგისთვის, როცა ციფრული თაობის წევრი არ იღებს პასუხისმგებლობას, უარყოფს კომპრომისს, არ იცავს დისციპლინას და გუნდის შრომას უგულვებლყოფს, შედეგი ყოველთვის ერთნაირია – სტარტაპი იშლება შიგნიდანვე და მათ არანაირი რესურსი აღარ აქვთ, რომ გადაახალისონ გუნდი, მოხდეს დენადი კადრების ჩანაცვლება და შედეგი ყოველთვის უარყოფითია.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მენტორი, რომელიც ემსახურება სტარტაპის განვითარებას რესურსით, ცოდნითა და კავშირებით, იყო პროექტის მთავარი მრჩეველი და უშუალო შემოქმედი, მაგრამ სტუდენტებმა – უარი თქვეს მიზნის ბოლომდე მიყვანაზე, ასეთი შემთხვევების განმეორებით კი საქმე გვაქვს არა მხოლოდ კონკრეტული გუნდის ჩავარდნასთან, არამედ სერიოზული სიგნალია სისტემისთვის: ზიარებული პასუხისმგებლობის კულტურის ადდგენისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, როგორც უნივერსიტეტში, ასევე მთლიანად ახალგაზრდულ მეწარმეობაში.

დასკვნა და რეკომენდაციები:

სიდრმისეული სწავლა რეალურ პროცესზე – სიტუაციური და როლური თამაშების აუცილებლობა

გამოვლენილი ქცევითი დეფექტები და სტარტაპ მენეჯმენტში არსებული დირებულებითი კრიზისი ცხადყოფს, რომ ციფრულ თაობასთან მუშაობისას მხოლოდ თეორიულ ცოდნაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო მიდგომა აღარ არის საკმარისი. უნივერსიტეტებში მიღებული ზოგადი ცოდნა, ხშირ შემთხვევაში, ვერ ითარგმნება რეალურ ქმედებაში და შესაბამისად ვეღარც უზრუნველყოფს სტუდენტთა მზადყოფნას თანამედროვე ბიზნესსაზოგადოების სირთულეების გადაჭრისთვის.

კვლევამ აჩვენა, რომ გუნდების შიგნით თანამშრომლობის კრიზისი და პასუხისმგებლობისგან თავის არიდება ძირითადად იწყებოდა იქიდან, სადაც თეორიული ცოდნა ვერ იქცა ქცევით უნარად. სტარტაპ კონკურსებში მონაწილე გუნდების მაგალითზე კარგად ჩანს, რომ მხოლოდ იდეის ფლობა ან სტრატეგიის ცოდნა არ არის გადამწყვეტი, როცა გუნდურ კომუნიკაციას, კრიზისულ რეაგირებასა და როლების განაწილებას არ ახლავს პრაქტიკული გამოცდილება.

ამ გამოწვევის საპასუხოდ, რეკომენდირებულია სიტუაციური და როლური სწავლების (Simulation & Role-based Learning) სისტემური დანერგვა როგორც მენეჯმენტის, ისე ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში. ასეთი მიდგომა მიზნად ისახავს:

- რეალურ კონფლიქტურ გარემოში უნარების გამოცდას;

- მიზნობრივი გადაწყვეტილებების მიღების სიმულაციას პასუხისმგებლობის ადებით;
- გუნდური მოლაპარაკებებისა და დროის მართვის პრაქტიკულ განვითარებას;
- წარუმატებლობის ანალიზს ისე, როგორც რეალურ ცხოვრებაში მოხდებოდა, როცა შედეგი დადგებოდა.

სიტუაციური თამაშები ასევე ხელს უწყობს იმგვარი ღირებულებითი მახასიათებლების გაძლიერებას, როგორიცაა:

- შრომის პატივისცემა და თანამოაზრეთა რესურსის დაფასება;
- კოლექტიური მიზნის უპირატესობის გააზრება;
- უკუკავშირის კულტურა და დისციპლინის სიდრმისეული აღქმა;
- თვითრეფლექსია და პასუხისმგებლობის სრულფასოვანი განცდა.

გუნდების მიერ დაშვებული შეცდომები — ფინალურ ეტაპზე უარის თქმა მონაწილეობაზე, შიდა მანიპულაციები, მენტორის შრომის უგულებელყოფა და კრიტიკული გადაწყვეტილების გადადება — მიანიშნებს იმაზე, რომ მხოლოდ სახელმძღვანელოზე დაფუძნებული სწავლება ვერ პასუხობს პრაქტიკული მენეჯმენტის გამოწვევებს ეს ტენდენცია ისევეა არაფორმალურ გარემოში, როგორც ფორმალურ გარემოში განათლების მიღების დროს, როცა ციფრული თაობა ხელიდან უშვებს შესაძლებლობებს, რომელიც ცხოვრებაში ერთხელ მიეცა. კონკრეტულ შემთხვევებში აღინიშნა, რომ სხვა მონაწილე გუნდებმა ადგილი დაკარგეს მხოლოდ იმის გამო, რომ ნახევარფინალურებში შერჩეულმა გუნდებმა ვერ შეასრულეს ვალდებულებები, რითაც ზიანი მიაღწა როგორც საერთო შედეგებს, ასევე სტუდენტურ მორალს და დამფინანსებელი ინსტიტუტების მიერ გამოცხადებულ ნდობას.

სიტუაციური სწავლების მოდელის დანერგვა შესაძლებელს გახდის არამხოლოდ პროფესიული კომპეტენციების განვითარებას, არამედ ემოციური ინტელექტის გაძლიერებას, რაც 21-ე საუკუნის თანამშრომლობის კულტურის საფუძველია.

ბიბლიოგრაფია

თვისებრივი კვლევა 2025. წყარო:

<https://drive.google.com/drive/folders/1ZVWpnwQ5eO03nbvHWxXKyYxy5F6aBxOI?usp=sharing>

2. Adekola, Abel, and Bruno S. Sergi. 2016. *Global Business Management: A Cross-Cultural Perspective*. Routledge.

3. Ahmed, Dr Jameel. 2021. *Business Management and Leadership Strategies: How to Lead and Succeed in the Competitive Market*. Notion Press.
4. Ghauri, Pervez N., Ursula F. Ott, and Hussain G. Rammal. 2020. *International Business Negotiations: Theory and Practice*. Edward Elgar Publishing.
5. Goleman, Daniel. 1995. *Emotional Intelligence*. Bantam Books.

მწვანე ეკონომიკის პოლიტიკა მსოფლიოს ქვეყნებში

მადონა გელაშვილი

*ასოცირებული პროფესორი, სოხუმის
სახელმწიფო უნივერსიტეტი*

აბსტრაქტი

მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებმა უკვე ოთხი ათწლეულია დაიწყეს ზომების მიღება მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის განსახორციელებლად. შემუშავებულ იქნა სპეციალური ეროვნული გეგმები ემისიების, ნახშირბადის გამოფრქვევის შემცირების, განახლებადი ენერჯის წყაროების ხვედრითი წილის გაზრდითა და „მწვანე“ ტექნოლოგიების ფართო დანერგვით წარმოებაში.

მწვანე ეკონომიკა და მწვანე ზრდა მთავრობებმა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა ურთიერთჩანაცვლებად კონცეფციებად აღიქვეს. არცერთი მათგანი ეჭვქვეშ არ აყენებს საბაზრო კონკურენციის, ლიბერალიზაციისა და სტრუქტურული გარდაქმნების აუცილებლობას. მეტიც, მათ მწვანე ზრდის წინაპირობად განიხილავს. შესაბამისად, განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების (მთავრობების) ნაწილმა ეს კონცეფცია საკმაოდ პრაგმატულად გაითავისა ინდუსტრიალიზაციის „გამწვანების“ გზად. მწვანე ზრდის წარმატებულ მაგალითებად შეგვიძლია განვიხილოთ სამხრეთ კორეა, ჩინეთი და სხვ.

გარემოსდაცვითი კრიზისის ფონზე, მწვანე ეკონომიკამ წარმოაჩინა ახალი ნიშა ეკონომიკური მოგებისთვის, დაამატა რა წარმოებისა და მოხმარების ზრდის ტრადიციულ გზებს (Business as usual) ადამიანისა (შრომის) და მიწის კომოდიფიკაციას, ბუნებისა და ბუნებრივი ეკოლოგიური (წყლის, ტყის, რესურსების) სერვისების, მისი დეგრადაციისა და დაბინძურების კომოდიფიკაცია. ეკოსისტემების სერვისები, როგორცაა ჰაერისა და წყლის გაწმენდა, ნარჩენების დაშლა, მცენარეების დამტვერვა და ა.შ. ბუნებრივი პროცესებია. მწვანე ეკონომიკაში მოხდა ამ ეკოსისტემური სერვისების განცალკევება, წაიშალა საზღვრები სექტორებს შორის, რამაც მოითხოვა უფრო მეტი ცოდნა და უნარები სექტორს შიგნით პროდუქტიულობის ზრდისა და შედარებითი უპირატესობის მოსაპოვებლად.

მწვანე ეკონომიკა მოითხოვს, შესაბამის სექტორში ეკონომიკურ ზრდას, ბუნებრივ რესურსებსა და გარემოზე ზემოქმედებას შორის არსებული დამოკიდებულებების მოშლას (decoupling). ქვეყნის ინდუსტრიულმა პოლიტიკამ უნდა წაახალისოს რესურსების ნაკლები მოხმარება და/ან გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება. მაგალითად, თუ ქვეყანა წყლის რესურსის სიმცირეს განიცდის, მთავრობამ შესაძლებელია წაახალისოს ამ რესურსზე ნაკლებად დამოკიდებული სექტორების

განვითარება (ელექტრონიკა, ბიოტექნოლოგია, ფარმაცია) ან მოითხოვოს დახურული ციკლების არსებობა, წვეთოვანი სისტემების დანერგვა და ა.შ.

შესაბამისად, მწვანე ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, თუ რა ტიპის სტრუქტურულ ტრანსფორმაციას აირჩევს ქვეყანა; ასევე, მის ხელთ არსებულ ტექნოლოგიურ პროგრესსა და რესურსების გამოყენების ეფექტურობაზე; რა მოთხოვნები აქვს შესასრულებელი საერთაშორისო გარემოსდაცვითი კანონმდებლობის კუთხით; და რაც მთავარია, როგორ ეკონომიკურ სტიმულირებას (ინსენტივებს) შექმნის ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პოლიტიკა და ინსტიტუტები მწვანე ზრდის წახალისებისათვის. მაგალითად, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯების განვითარების შედეგად, სრულიად უნდა მოიშალოს დამოკიდებულება CO2 ემისიებსა და მშპ-ს შორის. თუმცა, ხაზგასასმელია, რომ ენერგო- და რესურს-ეფექტურობა სრულიადაც არ ნიშნავს ნაკლები ენერჯის მოხმარებას ან ნაკლები რესურსის ათვისებას. ორივე წარმოების ეფექტიანობის და პროდუქციის ზრდას უწყობს ხელს, ანუ პრაქტიკულად ვიღებთ მწვანე კაპიტალიზმს.

ცალსახაა, რომ მწვანე ეკონომიკას გააჩნია გარკვეული პოტენციალი ქვეყნებში მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, რაც პოზიტიურად აისახება გარემოსა და სოციუმზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის, მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის პრედეტერმინირებული ხედვა, რომ მხოლოდ ლიბერალიზაციამ და ბაზარმა შეიძლება მიგვიყვანოს დაბალ ემისიურ განვითარებამდე, ხელს უშლის ამ პოტენციალის ნაწილობრივ გამოყენებასაც კი.

ამასთან, ევროკავშირი და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები გვთავაზობენ უფრო მეტ ფინანსურ ინსტრუმენტს მწვანე ეკონომიკაში კერძო სექტორის როლის მნიშვნელოვანი ზრდისთვის; ამგვარ ინსტრუმენტებს შორისაა ე.წ. blending (როდესაც ეუთოს ქვეყნების ოფიციალური სახელმწიფო დახმარების შერევა ხდება კერძო ან საერთაშორისო საფინანსო ბანკების დაფინანსებასთან), სახელმწიფო გარანტიები, საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმები. განვითარებად ქვეყნებში მსგავსი დაფინანსების სქემები მოდის არა მხოლოდ ტრადიციული ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტებისგან და ღონორი ქვეყნებისგან, არამედ ასევე ახალი ინდუსტრიული ქვეყნებისგან და მათი ინსტიტუციებისგან (BRICS, AIIB და სხვები). მწვანე კაპიტალიზმი დაბალ ემისიური განვითარების მისაღწევად უკვე აქტიურად იყენებს ისეთ საბაზრო მექანიზმებს როგორებიცაა, მაგალითად: ემისიებით ვაჭრობა, სუფთა განვითარების მექანიზმები და ა.შ.

გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს, გაეროს გლობალური პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფოებს რეკომენდაცია გაეწიათ მოეხდინათ ეკონომიკური

ტრანსფორმაცია მწვანე ეკონომიკისაკენ. შეიქმნა ეკონომიკური სტიმულირების პაკეტი, რაც რამდენიმე კომპონენტს ითვალისწინებს:

- განახლებად ენერჯიაზე გადასვლა;
- მდგრადი სატრანსპორტო საშუალებების გაზრდა;
- მდგრადი სოფლის მეურნეობის, ორგანული წარმოების მხარდაჭერა;
- ეკოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ მწვანე ეკონომიკა არ არის აბსტრაქტული კონცეფცია, ის რეალობაა, რასაც სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკური ზრდისაკენ მივყავართ. სუფთა ენერჯის გეგმის შემუშავებისას, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კალიფორნიის შტატში 500,000 ახალი მწვანე სამუშაო ადგილი შეიქმნა. როგორც ვხედავთ, მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროსაც კი მწვანე სექტორში სამუშაო ადგილები იქმნება. მწვანე ეკონომიკა აქტიურად ვრცელდება მთელ მსოფლიოში, აუცილებელია ყველა ქვეყანა აქტიურად ჩაებას ამ უწყვეტ პროცესში. აშშ-სთან ერთად, ევროკავშირი და ჩინეთი სისტემატიურად ახორციელებენ ამ პროცესს. 2009 წელს მათ აშშ-ზე გაცილებით მეტი ინვესტიციები გაიღეს. მარტო კვლევასა და განვითარებაზე ევროკავშირმა ბიუჯეტი 300%-ით გაზარდა.

“მწვანე ეკონომიკის” განხორციელებაში წარმატებები აღინიშნება განვითარებად ქვეყნებშიც:

- განახლებადი ენერჯია ჩინეთში. ჩინეთში წარმატებულად ხორციელდება განახლებადი ენერჯის წყაროების მოძიება. ამ სფეროში მნიშვნელოვანი მოცულობის ინვესტიციები იქნა მიმართული.
- ორგანული სოფლის მეურნეობა უგანდაში. უგანდაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სოფლის მეურნეობის წარმოების ორგანული ფერმერული მეურნეობით ჩანაცვლების მიზნით, რაც ძალზედ მომგებიანია როგორც ქვეყნის ეკონომიკისათვის, ასევე საზოგადოებისა და გარემოსათვის. ორგანული სოფლის მეურნეობა ერთიანი წარმოების ისეთი მართვის სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს და ზრდის ეკოსისტემის სიჯანსაღეს.
- ეკოლოგიურად სუფთა ინფრასტრუქტურა ინდოეთში. ინდოეთის ურბანული განვითარების სამინისტროს მიერ ხორციელდება სპეციალური პროგრამა, რომელიც გამიზნულია ეკოლოგიურად სუფთა ინფრასტრუქტურის შექმნასა და გაუმჯობესებაზე.
- ტყეების მართვა ნეპალში. აღსანიშნავია, რომ ნეპალის ტერიტორიის (ხმელეთის) დაახლოებით 40%-ს ტყეები მოიცავს. ქვეყანაში შექმნილია სატყეო

მეურნეობის სპეციალური ჯგუფი, რომელიც მართავს და თვალყურს ადევნებს სატყეო რესურსებს.

- მზის ენერჯია ტუნისში. ქვეყნის დამოკიდებულება გაზსა და ნავთობზე რომ შემცირებულიყო, ტუნისის მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა განახლებადი ენერჯიის გასავითარებლად.
- ორგანული მეურნეობა კუბაში. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კუბას შორის არსებული ემბარგოს შედეგად კუბაში ნავთობის, პესტიციტებისა და სასუქების ნაკლებობაა. ამიტომაც მეურნეობები თავად ზრუნავენ საკუთარ პროდუქციაზე. აღნიშნული ეკონომიკური ფაქტორების გამო ისინი ბევრად უფრო "მწვანე მეურნეობას" ახორციელებენ

საკვანძო სიტყვები: მწვანე ეკონომიკა, მდგრადი განვითარება, ეკოლოგია, ბუნებრივი კაპიტალი, განახლებადი ენერჯია.

ბიბლიოგრაფია:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამა. განვითარებული ქვეყნების მაგალითები(2010).
http://www.unep.org/pdf/GreenEconomy_SuccessStories.pdf
2. მწვანე ეკონომიკის ინსტიტუტი. ოფიციალური ვებ-გვერდი:
<http://greeneconomics.org.uk>
3. საერთაშორისო ჟურნალი მწვანე ეკონომიკის შესახებ.
<http://www.inderscience.com/ijge>
4. მწვანე ეკონომისტი. ოფიციალური ვებ-გვერდი:
<http://www.greeneconomist.org/>
5. Barros M.V., Salvador R., do Prado G. F. et al. (2021). Circular economy as a driver to sustainable businesses. Cleaner Environmental System, vol. 2, art. 100006. Available at: <https://doi.org/10.1016/j.cesys.2020.100006>.
6. Gelashvili M., "State Regulation of Investment Activities in Georgia." Nova Science Publishers. Georgian International Journal of Science and Technology. ISSN: 1939-5825 <https://www.novapublishers.com/catalog/index.php?cPath=125>; USA 2013; v. 5-9.
7. Gelashvili M., „Human resources and its Development Tendencies in Georgia“. „Ekonomisti“ #1, 2018; p.55.
8. Gelashvili M., D. Burlachenko, „The strategy of growth of green economy in Georgia“. World Economy and International Economic relations International Scientific Collection; Volume 4, CUL – 2021. p.11.

სოციალური მედია მარკეტინგის როლი და გავლენა ლოგისტიკურ კომპანიებში

თამილა ქარცივაძე

*მოწვეული სპეციალისტი, დოქტორანტი
ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი*

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროში, ციფრული ტრანსფორმაციისა და ინტერნეტი-ზაციის ფონზე, სოციალური მედია მარკეტინგი განვითარებისა და წარმატებისთვის გაწყობილი ნაწილი გახდა როგორც ბიზნესის ასევე გადაზიდვებისა და ლოგისტიკის სფეროში. სოციალური მედია მარკეტინგი ნებისმიერი წარმატებული მარკეტინგული სტრატეგიის აუცილებელ კომპონენტად იქცა, ეს განსაკუთრებით ეხება გადაზიდვებისა და ლოგისტიკური კომპანიებს, რომლებსაც შეუძლიათ დიდი სარგებელი მიიღონ სოციალური მედიის პლატფორმების ფართოდ გამოყენების შედეგად.

სოციალური მედიის მარკეტინგის ერთ-ერთი მთავარი სარგებელი ლოგისტიკურ სექტორში ბრენდის ცნობადობის გაზრდა და მომხმარებელთან უშუალო კავშირია, სოციალურ მედიის პლატფორმებზე, როგორცაა Facebook, X, LinkedIn და Instagram, გადაზიდვებისა და ლოგისტიკური კომპანიები გაცილებით ფართო აუდიტორიას აღწევენ, ვიდრე ტრადიციული სარეკლამო მეთოდებით. გაზრდილი ხილვადობა ხელს უწყობს ძლიერი ბრენდის იდენტიფიკაციის შექმნას და კომპანიის ინდუსტრიის ლიდერად დამკვიდრებას.

დღევანდელი ეპოქა ხასიათდება სოციალური მედია მარკეტინგის ძალიან სწრაფი ზრდით, რომელიც გამოიყენება კონკურენტულ სამუშაო გარემოში. ლოგისტიკის ინდუსტრიამ გარკვეულწილად აითვისა ეს ტენდენცია და ჩართო ის თავის ბიზნესში, თუმცა ციფრული და სოციალური მარკეტინგის ხარისხი და წარმატება ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელ დონეზე ამ ინდუსტრიაში. ინტერნეტი სავსეა ინფორმაციით B2B ურთიერთობებში სოციალური მედია მარკეტინგის ძალის შესახებ, აღსანიშნავია რომ ლოგისტიკა არის იდეალური ინდუსტრია, რომელშიც ციფრულ მარკეტინგს (სწორად შესრულებულს) შეუძლია გააუმჯობესოს ბიზნესი, რადგან მომხმარებელთან ურთიერთობა დიდწილად ნდობაზეა დაფუძნებული. ნდობა, სიჩქარე, დაკავშირება და ხელმისაწვდომობა კი ამ სექტორში კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

სტატიაში განხილულია ლოგისტიკური სექტორი, რომელიც გამყარებულია მსხვილი კომპანიების მაგალითებით, მსოფლიოსა და საქართველოს მაგალითზე და სოციალური მედია მარკეტინგის როლი მათ განვითარებაში.

სოციალური მედიის მარკეტინგი გადაზიდვებისა და ლოჯისტიკური კომპანიების ნებისმიერი წარმატებული მარკეტინგული სტრატეგიის აუცილებელი კომპონენტია. ბრენდის ცნობადობის ამაღლებიდან და მომხმარებელთა ეფექტური ჩართულობიდან დაწყებული, რეალურ დროში კომუნიკაციითა და ეკონომიურად ეფექტური რეკლამირებით დამთავრებული, სოციალური მედია უამრავ სარგებელს გვთავაზობს, რაც კომპანიებს კონკურენტულ ბაზარზე წარმატების მიღწევაში დაეხმარება. სოციალური მედიისა და მისი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებით, გადაზიდვებისა და ლოჯისტიკური კომპანიები თავიანთ მომხმარებლებთან მტკიცე და ხანგრძლივ ურთიერთობებს ამყარებენ და გრძელვადიან წარმატებას აღწევენ.

საკვანძო სიტყვები: სოციალური მედია; ციფრული ტრანსფორმაცია; ლოგისტიკა.

ქართულ პოლიტიკოსთა სატელევიზიო გამოსვლების ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზი

თათია ცეცხლაძე

ასისტენტ-პროფესორი,

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროში ტექნოლოგიების განვითარებამ მეცნიერული კვლევების სხვადასხვა მიმართულებით წარმართვის უსაზღვრო პერსპექტივა შექმნა. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა პოლიტიკოსთა ენობრივი ქცევების შესწავლა, რასაც ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებამ პოლიტიკოსთა ზეპირმეტყველებაზე აქტიური დაკვირვების, სხვადასხვა კუთხით შესწავლისა და ინტერდისციპლინურად გაანალიზების ფართო შესაძლებლობა მოგვცა. მკვლევართა ინტერესის ფოკუსში მოექცა პოლიტიკური მეტყველების სხვადასხვა ასპექტი, მათ შორის გენდერული კვლევების საკითხი - პოლიტიკურ სივრცეში ქალი პოლიტიკოსების აქტიურობის განსაზღვრა და მათ მიერ გამოყენებული ენობრივი საშუალებების გამოვლენა მამაკაც პოლიტიკოსთა მეტყველებასთან მიმართებით.

ჩვენი კვლევის მიზანია ქართულ პოლიტიკოსთა მეტყველების კვლევა გენდერული კუთხით თანამედროვე მეთოდის, ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზის გამოყენებით, რომელიც გვეხმარება პოლიტიკოსების მეტყველებაში გამოვლენილი მანიპულაციის ენობრივი საშუალებების გამოკვლევასა და ენობრივი თავისებურებების განსაზღვრაში.

ემპირიულ მასალად ავიღეთ ოთხი ქართველი პოლიტიკოსის (თეა წულუკიანი, თაკო ჩარკვიანი, გიორგი ვოლსკი, ნიკა მელია) გამოსვლები სატელევიზიო გადაცემებიდან. ემპირიული მასალის შერჩევისას გავითვალისწინეთ გენდერული ბალანსირებისა და პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი, კერძოდ, საანალიზოდ ავიღეთ ორი ქალი და ორი მამაკაცი პოლიტიკოსის ტექსტები, რომლებიც ეკუთვნით როგორც სამთავრობო, ასევე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს. გარდა ამისა, შინაარსობრივი დაბალანსების

პრინციპის გათვალისწინებით შევარჩიეთ თემატურად მსგავსი გამოსვლები, კერძოდ, ევროინტეგრაციის თემასთან დაკავშირებული გამოსვლები სხვადასხვა გადაცემებიდან. ამასთანავე, შევეცადეთ, შეგვენარჩუნებინა ემპირიული მასალების მოცულობითი ბალანსირების პრინციპიც.

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ როგორც ტრადიციული მეთოდები - სტატისტიკური ანალიზი, რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი, ასევე ინოვაციური მეთოდი - ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზი.

პოლიტიკური ტექსტების დამუშავებისას აქტიურად გამოვიყენეთ პროგრამული ინსტრუმენტები - Voyant Tools და KWIC. აღნიშნული მეთოდების კომპლექსურად გამოყენებამ განაპირობა კვლევის პროცესის ეფექტურად წარმართვა, კვლევის შედეგების ავთენტურობისა და სანდოობის ხარისხის გაზრდა და სტატისტიკური მონაცემების ვიზუალიზაციის გაუმჯობესება.

მიღებული შედეგების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალი და მამაკაცი პოლიტიკოსების მეტყველება ერთმანეთისგან საგრძობლად განსხვავდება. ენობრივ თავისებურებებზე გავლენას ახდენს როგორც სქესი, ასევე პოლიტიკური ორიენტაცია და ზოგადად თემატიკა. კვლევის შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა, თუ რა ენობრივ საშუალებებს იყენებენ ჩვენ მიერ შერჩეული პოლიტიკოსები ქართულ პოლიტიკურ სივრცეში აუდიტორიაზე ან მსმენელზე ზეგავლენის მოსახდენად, ძალაუფლების მოსაპოვებლად ან/და მეტი დამაჯერებლობის ეფექტის მისაღწევად. ამდენად, მიღებული შედეგები, ერთი მხრივ, გამოკვეთს პოლიტიკოსთა მიერ გამოყენებულ ენობრივ საშუალებებს და, მეორე მხრივ, წარმოაჩენს კანონზომიერ ურთიერთმიმართებებს პოლიტიკურ მეტყველებასა და პოლიტიკურ პროცესებს შორის.

საკვლევი თემა აქტუალურია გამომდინარე იქიდან, რომ პოლიტიკური ლინგვისტიკა, ისევე როგორც პოლიტიკური დისკურსი, ინტერდისციპლინური კვლევის საგანია და სხვადასხვა მიმართულებით არის საინტერესო. ასევე, პოლიტიკური მეტყველების კვლევა მნიშვნელოვანია ენობრივი ქცევისა და საზოგადოებაზე მისი გავლენის კვლევის თვალსაზრისით, კერძოდ, რა ენობრივ საშუალებებს იყენებენ პოლიტიკოსები მიზნის მისაღწევად და რამდენად ეფექტურია ამ საშუალებების გამოყენება პოლიტიკურ დისკურსში.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ჩვენ მიერ შესწავლილ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო სივრცეში კვლევები საკმაოდ მწირია. პოლიტიკური ზეპირ-მეტყველება ინტერდისციპლინური და კომპლექსური ხასიათის კვლევებს საჭიროებს, რამდენადაც მანიპულაციის ენობრივი საშუალებების გამოყენება პოლიტიკოსთა მეტყველებაში ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია პოლიტიკური პროცესების წარმართვასა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში.

კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები ეყრდნობა მხოლოდ 4 ქართველი ქალი და მამაკაცი პოლიტიკოსის მეტყველების ლინგვოპოლიტოლოგიურ ანალიზს. რასაკვირველია, საკითხი საჭიროებს უფრო მასშტაბურ კვლევას ჩვენ მიერ წარმოდგენილი დასკვნების ავთენტურობის გადასამოწმებლად.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური ლინგვისტიკა; ლინგვოპოლიტოლოგია, პოლიტიკური დისკურსი

ბიბლიოგრაფია

1. თანდაშვილი მ., (2020). „პოლიტიკური ლინგვისტიკა – კვლევის ობიექტი, მიზნები და მეთოდები“, ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველების დისკურსი, ტომი 1, გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი.
2. თანდაშვილი მ., ყამარაული მ.,(2021). „შესავალი დიგიტალურ ქართველოლოგიაში“ გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი.
3. Burkhardt A, (1996). „Politolinguistik, Versuch einer Ortsbestimmung“. In: Diekmannschenke, Hajo/Klein, Josef (Hrsg): Sprachstrategien und Dialogblockaden. Linguistische und Politikwissenschaftliche Studien zur politischen Kommunikation. Berlin/New York, de Gruyter.
4. Dijk Teun A. van, (1997). "What is Political Discourse Analysis?" Belgian Journal of Linguistics.
5. Tsetskhladze T., Kamarauli A., (2024). „Contemporary Georgian Political Speech from Gender and Party Perspectives“, Journal „Millennium“, Vol.2.
6. გამოყენებული პროგრამული ინსტრუმენტები: KWIC. Voyant

BUSINESS COMMUNICATION AS A FORMULA FOR EFFECTIVE COMMUNICATION

Tamar Diasamidze

*Associate Professor,
Batumi Navigation University*

Abstract

Business communication has become a central element in the functioning of modern organizations, as it directly influences performance, cooperation, and decision-making. Defined not merely as the exchange of information but as a structured process, business communication can be conceptualized as a formula for achieving effectiveness. This formula integrates multiple dimensions, including verbal and non-verbal interaction, clarity of expression, active listening, technological mediation, and cultural awareness.

When applied systematically, these dimensions allow organizations to minimize misunderstandings, strengthen collaboration, and build trust both internally and externally.

In today's complex business environment, the role of effective communication is even more critical due to globalization and digital transformation. Communication is no longer limited to personal interaction but increasingly mediated through technological platforms, which demand precision, professionalism, and adaptability. At the same time, multicultural work environments require sensitivity to diverse perspectives and practices, ensuring inclusivity and respect. By combining clarity, empathy, and strategic use of communication tools, organizations are able to develop sustainable professional relationships and improve overall performance.

The formula of effective business communication highlights not only the mechanics of message transmission but also its relational and ethical dimensions. Strong communication practices contribute to organizational culture, enhance employee motivation, and improve leadership effectiveness. Furthermore, they serve as a foundation for external relationships with clients, partners, and stakeholders, where trust, credibility, and transparency are decisive factors. Thus, effective communication is both an operational necessity and a strategic advantage that directly supports long-term organizational success.

In conclusion, business communication as a formula for effective communication provides a structured framework that integrates clarity, feedback, technological tools, and cultural awareness into a coherent process. Organizations that adopt this formula are better positioned to navigate challenges, enhance innovation, and achieve sustainable growth in an interconnected global economy.

Keywords: *Business communication; organizational success; communication formula; globalization; cultural awareness.*

References

1. Cardon, P. W. (2023). Business communication: Developing leaders for a networked world (4th ed.). McGraw-Hill Education.
2. Clampitt, P. G. (2021). Communicating for managerial effectiveness: Business communication processes (7th ed.). SAGE Publications.
3. Robles, M. M. (2022). The role of effective communication in business success. Journal of Business and Professional Communication, <https://doi.org/10.1177/10506519221078934>
4. Shockley-Zalabak, Pamela. 2015. Fundamentals of Organizational Communication: Knowledge, Sensitivity, Skills, Values. 9th ed. Boston: Pearson Higher Education.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობა აჭარაში და ბათუმის სკოლის დაარსება

ლაშა ხოზრევანიძე

*ასოცირებული პროფესორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი*

აბსტრაქტი

საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მეცხრამეტე საუკუნეში რუსიფიკატორული რეჟიმის წინააღმდეგ გადადგმულ მამულიშვილურ საქმეებს, რომელთა შორისაც საპატიო ადგილი უჭირავს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება და ზემოხსენებული ორგანიზაციის ქოლგის ქვეშ ბათუმში სკოლის დაარსება. სამეცნიერო სტატიაში განხილულია პერიოდი, როდესაც საქართველოში აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა შტო სამუშაო ენად იყენებდა რუსულ ენას. ბიუროკრატიული აპარატის გარდა, სასამართლო საქმეების განხილვაც მიმდინარეობდა რუსულ ენაზე. საზოგადოების შექმნილი ფენა ძირითადად საუბრობდა ფრანგულ და რუსულ ენებზე, ერთადერთი ადგილი, სადაც ქართული ენა ისმოდა იყო უფლებამუკვეცილი და კონტროლირებადი ეკლესია.

კავკასიის სასწავლო ოლქის ბრძანებით, 1880-იან წლებში გამკაცრდა განათლების პოლიტიკა, კერძოდ, თავდაპირველად, პირველი კლასიდანვე სავალდებულო გახდა რუსული ენა და ქართულ ენას მხოლოდ 2 საათი ეთმობოდა, ხოლო შემდეგ უკვე 1885 წლის ბრძანებით, ქართული ენა საერთოდ განიღვენა სკოლიდან. ქვეყანაში მკვიდრდებოდა ტოტალური გაუნათლებლობის ეპოქა, რასაც ხელს მაქსიმალურად უწყობდა რუსული ხელისუფლება.

დღევანდელი გადასახედიდან, ვსაუბრობთ იმ პერიოდზე და პროცესებზე, როდესაც ეროვნულობის დაკარგვის საწინდარს და ფუნდამენტს რუსული რეჟიმი ქართული ენის შევიწროება-დაკარგვით აყალიბებდა საქართველოში.

კვლევაში შესწავლილია, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მხრიდან აჭარის რეგიონში პირველი წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლის გასახსნელად მიმოწერები და საარქივო მასალებში დაცული კორესპონდენცია, რომელიც გარკვეული პერიოდის წინ საქართველოს ეროვნული არქივის ინიციატივით გაციფრულდა და გასაჯაროვდა. სამეცნიერო სტატიაში ასევე შევხებით

ბათუმში პირველი სკოლის დაარსებისთვის შემონახული კორესპოდენციის ანალიზს, მიმოწერებს და ანალიტიკურ მასალებს, რომელთა შესწავლის შედეგები ცხადყოფს, რომ იმ პერიოდისთვის ბათუმში, ქართული წერა-კითხვის პირველი სკოლის გახსნა წარმოადგენდა ფრიად მნიშვნელოვან და ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისთვის ფუნდამენტურ საკითხს.

მიღებული დასკვნები მნიშვნელოვანი იქნება როგორც საქართველოს უახლოესი ისტორიის მკვლევარებისთვის, ასევე იმ პერიოდის რუსეთ-საქართველოს საკითხით დაინტერესებული სამეცნიერო საზოგადოებისთვის თუ საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარებისთვის.

სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო

თამარ შალიკაძე

*სსიპ აჭარის მუზეუმის სამეცნიერო და საგამომცემლო საქმის კურატორი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი*

ასმათ დიასამიძე

*განათლების დოქტორი,
ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი*

აბსტრაქტი

აჭარის ტერიტორიაზე განხორციელებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების საფუძველზე მიღებული შედეგები შესაძლებლობას გვაძლევს ვთქვათ, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო წარმოადგენდა სახელმწიფოებრიობის უძველეს აკვანს. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურამ და უძველესმა მეტალურგიულმა კრებმა კი განაპირობა ანტიკურ ხანაში ფიჭვნარის მსხვილი დასახლების ქალაქად გადაქცევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მჭიდრო, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ელინურ სამყაროსთან, რასაც მოწმობს ქობულეთ-ფიჭვნარის ნაქალაქარსა და სამაროვნებზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა. ამ მონაცემებს ემატება წყალქვეშა არქეოლოგიასთან დაკავშირებული შემთხვევითი მონაპოვრები.

ტრადიციული და თანამედროვე მედიის პოლიტიკური კულტურის ტრანსფორმაცია საქართველოს მაგალითზე

ირინე ცინცაძე

ასისტენტ პროფესორი, ბათუმის
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფატი ხალვაში

ასისტენტ პროფესორი, ბათუმის შოთა
რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

თანამედროვე სახელმწიფო წარმოუდგენელია განვითარებული, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული, დამოუკიდებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ევროპული სტანდარტების მქონე პოლიტიკის გარეშე. 21-ე საუკუნე ტექნოლოგიების განვითარების საუკუნეა, გლობალურმა ცვლილებებმა ყველა სფეროში, დროსა და სივრცეში დააჩქარა განვითარების დინამიკა, რამაც ფაქტიურად მართლაც, რომ უნიკალური საშუალება მისცა საზოგადოებას ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით არჩევანის წინაშე დადგეს. ასევე მნიშვნელოვანი საკითხია, რომ ცნება მედია და პოლიტიკური კულტურა, ფაქტიურად მსოფლიო მასშტაბით დღის წესრიგში დგას, როგორც მთავარი ფაქტორი.

მედიის განვითარება და ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია საზოგადოებრივ სივრცეში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პოლიტიკური კულტურის ფორმირებაზე, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტები ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია. საქართველოს შემთხვევაში, მედიის ტრანსფორმაცია მკვეთრად ასახავს იმ ცვლილებებს, რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციის გავრცელების ფორმებთან, პოლიტიკურ მონაწილეობასა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაზე. აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს ტრადიციული (ტელევიზია, ბეჭდური მედია) და თანამედროვე (სოციალური მედია, ონლაინ პლატფორმები) მედიასაშუალებების გავლენის შედარებით ანალიზს პოლიტიკური კულტურის დინამიკაზე საქართველოში.

კვლევაში შესწავლილია, თუ როგორ განაპირობებს მედიაპლატფორმების სტრუქტურული და შინაარსობრივი განსხვავებები პოლიტიკურ ჩართულობას, პოლიტიკური დისკურსის ფორმირებასა და პოლიტიკური ქცევის ტრანსფორმაციას. გამოყენებულია შერეული კვლევითი მეთოდოლოგია — რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი, მედიაკონტენტის შეფასება და მედიასივრცეში მოქალაქეთა ქცევის ანალიზი.

შედეგები ცხადყოფს, რომ თანამედროვე მედიასაშუალებები არა მხოლოდ ალტერნატიულ საინფორმაციო არხებს ქმნიან, არამედ პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის ახალი ფორმებსაც განაპირობებენ, რაც ხშირად ტრადიციული მედიის მიერ დამკვიდრებულ ნორმებს და სტანდარტებს უპირისპირდება. კვლევა მიუთითებს, რომ საქართველოში მედიის ტრანსფორმაცია პოლიტიკურ კულტურაში იწვევს დუალისტურ პროცესს: ერთი მხრივ, ფართოვდება პოლიტიკური პლურალიზმი, ხოლო მეორე მხრივ, იზრდება დეზინფორმაციისა და პოლარიზაციის რისკები.

მიღებული დასკვნები მნიშვნელოვანი იქნება როგორც მედიის კვლევის, ისე პოლიტოლოგიისა და დემოკრატიული განვითარებისთვის საჭირო სტრატეგიების ფორმულირების თვალსაზრისით.

უმადლეს საგანმანათლებლო სისტემაში პერსონალის კმაყოფილების და შრომის ნაყოფიერების დონის ამაღლების მექანიზმები

თეონა ჩაჩუა

*დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

აბსტრაქტი

თანამედროვე განათლების სისტემის განვითარების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადამიანური რესურსების ეფექტიან მართვას, რაც დაკავშირებულია როგორც პერსონალის კმაყოფილების, ისე შრომის ნაყოფიერების დონის ამაღლებასთან. უმადლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც ძირითადი რესურსი ადამიანია, პერსონალის მოტივაცია, პროფესიული განვითარება და სამუშაო გარემოს ხარისხი პირდაპირ გავლენას ახდენს როგორც ორგანიზაციულ, ასევე ზოგადად განათლების სისტემურ შედეგებზე. პერსონალის კმაყოფილება ნიშნავს, როდესაც თანამშრომელი იღებს დამაკმაყოფილებელ ანაზღაურებას, შესაძლებლობას პროფესიული წინსვლის და აფასებს საკუთარი შრომის მნიშვნელობას ორგანიზაციულ წარმატებაში. სხვადასხვა კვლევის მიხედვით, კმაყოფილება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თანამშრომლის მოტივაციასა და მომსახურების ხარისხს.

საქართველოს უმადლესი საგანმანათლებლო სისტემისთვის აქტუალური პრობლემა რჩება პერსონალის არასათანადო ანაზღაურება, რაც ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია ბიუჯეტის შეზღუდვებთან და სახელმწიფო დაფინანსების არასაკმარისობასთან. ამ ყველაფერს ემატება სამოტივაციო მექანიზმების ნაკლებობა, რასაც შეუძლია სერიოზული დემოტივაცია გამოიწვიოს ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალში. საქართველოში ჩატარებული ზოგიერთი კვლევა აჩვენებს, რომ კმაყოფილების დაბალი დონე ხშირ შემთხვევაში იწვევს კადრების გადინებას კერძო სექტორში ან უცხოეთში. შრომის ნაყოფიერება უსდ-ში შეიძლება შეფასდეს სხვადასხვა ინდიკატორით: სასწავლო პროცესის ეფექტიანობა, სტუდენტების შედეგები, სამეცნიერო პუბლიკაციებისა და პროექტების რაოდენობა, და პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო პროგრამებში. თუმცა საქართველოში შრომის ნაყოფიერების შეფასების ერთიანი და გამჭვირვალე სისტემა ჯერ კიდევ ნაკლებად ჩამოყალიბებულია. რაც ქმნის სუბიექტურობის საფრთხეს და ხშირად უკავშირდება მხოლოდ ფორმალურ კრიტერიუმებს, რაც ვერ ასახავს რეალურ შრომით რე-

სურსსა და შინაარსობრივ წვლილს. გარდა ამისა, პერსონალზე მეტწილად მოქმედებს მაღალი ბიუროკრატიული დატვირთვა, რაც ართულებს მათ ფოკუსირებას კვლევასა და სწავლებაზე. ამას ემატება არასაკმარისი ტექნიკური მხარდაჭერა და თანამედროვე ინფრასტრუქტურის დეფიციტი.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა საჭიროებს ადამიანური რესურსების მართვის რეფორმირებას, რომელიც ეფუძნება პერსონალის კმაყოფილებისა და შრომის ნაყოფიერების თანხვედრას. მხოლოდ ამ გზით გახდება შესაძლებელი განათლების ხარისხის ზრდა, ინოვაციური პოტენციალის გაზრდა და პერსონალის ორგანიზაციულ მიზნებზე მაქსიმალურად ორიენტირებული ჩართულობა. არსებული მდგომარეობის ანალიზი და პრაქტიკული რეკომენდაციები ქმნის საფუძველს სისტემური ცვლილებებისთვის, რაც მოიცავს როგორც სტრატეგიულ დაგეგმვას, ისე სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესებას.

დასკვნები, რეკომენდაციები. ზემოთ აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ, საქართველოში საჭიროა ისეთი მექანიზმების დანერგვა, რომლებიც გააძლიერებს როგორც მოტივაციას, ისე მუშაობის შედეგიანობას. შესაძლებელია შემდეგი სტრატეგიების გამოვლენა:

- სამოტივაციო სისტემების გაუმჯობესება - მათ შორის ფინანსური სტიმულები, ბონუსები, პროფესიული ზრდის დაფინანსება და სოციალური პაკეტი;
- სამუშაო გარემოს გაუმჯობესება - გონივრული სამუშაო დატვირთვა, ტექნიკური უზრუნველყოფა და კომფორტული პირობები;
- პროფესიული განვითარების შესაძლებლობები - ტრენინგები, სემინარები, უცხოეთში სტაჟირების პროგრამები, აკადემიური მობილობა;
- კომუნიკაციის გამჭვირვალობა - მენეჯმენტსა და პერსონალს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება, თანამშრომელთა ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
- შეფასების ობიექტური სისტემა - შრომის ნაყოფიერების შეფასების მრავალდონიანი კრიტერიუმების შემუშავება, მათ შორის სტრუქტურული უკუკავშირის, კვლევითი წვლილისა და ორგანიზაციული აქტივობის გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა, პერსონალის კმაყოფილება, შრომის ნაყოფიერება, სამუშაო გარემოს გაუმჯობესება, პროფესიული განვითარების შესაძლებლობები

ბიბლიოგრაფია

1. **Rainey, H. G.** (2009). *Understanding and Managing Public Organizations*. Jossey-Bass.
2. **Joо, B. K., & Lim, T.** (2009). *The impact of employee motivation and job satisfaction on employee performance*. *International Journal of Business and Management*, 4(4), 52-58.
3. **Luthans, F.** (2011). *Organizational Behavior (12th ed.)*. McGraw-Hill Education.
4. **Кондратьева, Л. В., & Гаджиева, И. Ш.** (2015). *Профессиональная мотивация и эффективность труда в системе высшего образования*. Москва: Научный мир.
5. **Abdullah, M. I., Huang, D., Sarfraz, M., Ivascu, L., & Riaz, A.** (2021). Effects of internal service quality on nurses' job satisfaction, commitment and performance: Mediating role of employee well-being. *Nursing Open*, 8(2), 607-619.
<https://doi.org/10.1002/nop2.665>.
6. **Armstrong, M.** (2020). *Armstrong's Handbook of Human Resource Management Practice*.
7. **ჰაიჭაძე ნ.** (2018) ადამიანური რესურსების მართვა (სახელმძღვანელო) თბილისი
<https://ugcollege.ge/storage/books/December2022/NCBKpT31zQBrgk4QRQTW.pdf>
8. **Robbins, S. P., & Judge, T. A.** (2019). *Organizational Behavior (18th ed.)*. Pearson.
9. **Junça-Silva, A., & Freire, M.** (2022). The role of organisational climate, and work–family conflict in burnout: The case of teachers. *Sustainability*, 14(21), 13871.
<https://doi.org/10.3390/su142113871>
10. **Tufail, M., Shahzad, K., Gul, A., & Khan, K.** (2017). The Impact of Challenge and Hindrance Stressors on Job Satisfaction: Moderating Role of Islamic Work Ethics. *Journal of Islamic Business and Management*, 7(1), 100–113.
<https://doi.org/10.26501/jibm/2017.0701-008>
11. **Locke, E. A., & Latham, G. P.** (2002). Building a practically useful theory of goal setting and task motivation. *American Psychologist*, 57(9), 705–717.
12. **OECD.** (2021). *Education at a Glance: OECD Indicators*. OECD Publishing.
<https://www.oecd.org/education/>
13. **Spector, P. E.** (1997). *Job Satisfaction: Application, Assessment, Causes, and Consequences*. Sage Publications.
14. **Bakker, A. B., & Demerouti, E.** (2007). The Job Demands–Resources model: State of the art. *Journal of Managerial Psychology*, 22(3), 309–328.
15. **Knight, P. T., & Trowler, P. R.** (2001). *Departmental Leadership in Higher Education: New Directions for Communities of Practice*. Open University Press.

CYBERSECURITY IMPORTANT FACTOR IN THE SUCCESS OF BANKING BUSINESS

Evgeni Baratashvili

Doctor of Economic Sciences, professor

Ramaz Otinashvili

Doctor of Economic Sciences, professor of GTU

Giorgi Otinashvili

KIU student

Abstract

The article discusses the mechanisms for ensuring banking business security, the nature of risks and their management practices, both at the local and global levels. Recommendations are presented for strengthening the system taking into account modern challenges.

The role of banks in the economy is invaluable. It is the “vascular” system of the economy, which ensures the efficient movement of resources, financing of investments and the continuity of business processes. The sustainable functioning of banks is a decisive factor for economic stability.

Ensuring the security of banking business faces multifaceted challenges. Threats are divided into economic and political risks. The security of banking business requires: constant technological updating, raising consumer awareness, ensuring legal compliance and implementing an integrated risk management system.

Cases of cyber attacks on the banking sector are discussed. Due to their scale, their negative impact leads to global threats that threaten not only the banking business but also the national security of countries.

Taking into account the main directions and recommendations for ensuring the security of the banking business will help improve the sustainability of banks, and active monitoring of existing threats will transform cybersecurity measures into a solid and sustainable system.

Keywords: Business, banking sector, cyberattack, security, management.

The banking sector is one of the largest and most successful businesses in the world. The role of banks in the economy is invaluable, as they are the foundation of the financial system. The role of banking in the economy is determined by the following factors:

1. Promoting economic growth. Through lending activities, banks finance both small and medium-sized businesses and large corporations. Investments are realized through loans, which are the main driver of economic growth;

2. Ensuring financial security. A strong and transparent banking system is the basis of the history of the economy. Banks fulfill the requirements of the regulator, maintain reserves and anti-crisis plans, which minimize the likelihood of systemic risks spreading;

3. Mobilizing finances and redistributing costs. The banking system collects savings, generally from individuals and legal entities. In this way, banks contribute to investment activity and the efficient allocation of capital;

4. Ensuring the tax system. Banks ensure the efficient, secure and fast movement of payments (card systems, online and mobile banking, transfers), which facilitates business activity;

5. Conducting monetary policy. Banks are the implementers of monetary policy (e.g., the refinancing rate) determined by the Central Bank. By regulating interest rates, they affect aggregate demand and prices.

6. Promoting social policy. They participate in social activities, finance infrastructure, education and healthcare projects. They also contribute to the growth of financial inclusion and improving access to finance for broad segments of the population.

As a result, the banking business is the “blood vessel” system of the economy, which ensures the efficient movement of resources, financing of investments and continuity of business processes. Its sustainable functioning is a decisive factor for both local and global economic stability.

Ensuring the security of the banking business faces many challenges, the only thing worth noting is that only 10-20% of the bank’s working capital is its own. 80-90% of its funds are attracted. i.e. high-risk. Therefore, the effectiveness of the activities of commercial banks significantly depends on the correct management of challenges.

Threats are divided into economic and political risks. Economic risks are caused by mismanagement, unbalanced liquidity, etc. Political risks are caused by socio-political instability in the country and the world, currency fluctuations, etc.

The banking sector is quite sensitive to political processes. Psychologically, even a political statement by a government representative against a specific bank can negatively affect the activities of the bank.

Banks work with customers' financial assets and personal data, which makes them a target for both cybercrime and internal fraud.

The article discusses the mechanisms for ensuring security in the banking business, the nature of risks and their management practices, both at the local (Georgian) and global

levels. As a result of the assessment and analysis, we present recommendations for strengthening the system, taking into account modern challenges.

The main challenges of banking security are:

1. Cybersecurity – the growth of digital threats. Banks are often targeted by hackers in the form of phishing, DDoS and data leaks. The lack of security in old IT infrastructure increases the risk of system intrusion;

2. Low level of user awareness. Insufficient cyber education, many customers are not aware of the threat of phishing or fraudulent messages. Weak passwords and single-factor authentication increase the likelihood of hacker intrusion;

3. Internal fraud and disclosure of confidential data are a serious challenge, due to ineffective internal controls;

4. Rapid change in regulations and standards. Delayed implementation of legislative requirements. Timely implementation of international standards (GDPR, ISO 27001, FATF) is often complicated by a lack of technical or financial resources;

5. Financial fraud and money laundering. Ineffective AML systems, insufficient automation and lack of appropriate analysis make it difficult to detect suspicious transactions in a timely manner;

6. Data protection and confidentiality. The risk of personal data leakage is high. Banks store sensitive information about customers, the protection of which is critically important;

7. Integration of technological innovations and digital products. The use of new technologies (FinTech, blockchain, cloud services) accelerates information exchange, but creates new threats. Cooperation with external service providers increases the risk of data leakage and their control.

As a result, the security of banking business requires: constant technological innovation, raising consumer awareness, ensuring legal compliance, and implementing an integrated risk management system.

There are many known cases of attacks on the banking business. In 2019, Capital One (USA) was the victim of a cyberattack that led to the leakage of bank account and brokerage information, as a result of which the data of thousands of clients became public.

Although Capital One had a strong cybersecurity policy, an external software flaw, specifically a configuration error in Amazon Web Services, became a weak point. Security mechanisms were incorrectly configured in the AWS system, which made penetration possible.

This case showed us that strong banking security strategies are less effective if the configuration of third-party services is not monitored at the appropriate level.

Another example is the case of WannaCry, one of the largest software attacks that took place in May 2017. The attack was carried out on the computer systems of government agencies and private companies. Its important circumstances are: WannaCry was a Windows vulnerability that was “infecting” digital systems, accompanied by a ransomware attack, which paralyzed the healthcare, financial and technology sectors of more than 150 countries, including the US, Germany, the UK, and the Russian NHS (National Health Service). The hacking group “Lazarus” was allegedly associated with North Korea.

NotPetya (2017) was also a large-scale cyberattack that mainly affected Ukraine and other European countries. The hacking program initially attacked Ukrainian banks, the energy sector, and transport systems, and then spread globally. It was directed not only against commercial organizations, but also against state infrastructure, which posed a serious threat to the national security of countries.

The largest cyberattack in Georgia was carried out in October 2019. A hacking group has damaged the websites of dozens of government, commercial banks and media organizations.

The sites were blocked using "distributed denial of service" (DDoS) technology. The attack aimed to paralyze public and private sector Internet platforms.

As a result, due to the scale of cyberattacks, their negative impact leads to global threats that threaten not only the banking business but also the national security of countries.

The main directions for ensuring the sustainability of the banking business are:

1. Cybersecurity

- Information systems protection: Banks need a robust IT infrastructure, including firewalls, antiviruses and intrusion detection systems (IDS/IPS).
- Encryption: Data transmission and storage should be carried out using modern encryption algorithms (e.g. TLS, AES).
- Remote services protection: Online and mobile banking security should include multi-factor authentication (MFA) and biometric systems.

2. Physical security

- Branch and office security: CCTV monitoring, security personnel and access control (cards, biometrics).
- Safes and physical asset protection: Secure areas, special protection standards for valuables.

3. Internal Control and Fraud Prevention

- Regular Audit: Financial and operational checks to identify internal risks.
- Employee Monitoring: Access restrictions, recordkeeping controls.

- Bank Code of Ethics: Compliance with internal standards and rules of conduct.

4. Regulatory Compliance

- Banking Supervision Requirements: Compliance with National Bank and international norms (e.g. Basel III, GDPR, AML/CFT).
- Know Your Customer (KYC): New customer registration, data verification and risk assessment.

5. Education and Training

- Employee Retraining: Regular training on security standards, phishing and fraud schemes.
- Consumer Awareness: Raising consumer awareness on security issues.
- Effective management of banking sector challenges requires complex and integrated management strategies, which should be based on both modern technologies and human factors, ensuring system sustainability and customer protection.

The developed recommendations will contribute to improving banking sustainability.

1. Combining cybersecurity strategies

- Market protection infrastructure upgrade. To ensure the sustainability of the cybersecurity system, constant upgrades are required, which include both mathematical security models and the use of blockchain technology and diverse encryption techniques.
- Multi-factor authentication (MFA) is essential for security. Similar passwords and a single protection method are no longer enough. Both passive and active protection systems are needed. For example, biometrics, OTP, multi-factor authentication, etc.

2. Tools and methods for preventing cyberattacks.

- Early detection of digital threats. The bank should be equipped with security monitoring systems that notify us in a timely manner about any unauthorized activity. This requires automated notification systems.
- Ransomware prevention. It is necessary to create state-of-the-art protection systems against ransomware attacks. All banking products should have a backup system, which eliminates data loss.

3. Raising awareness of employees and customers

- Banking organizations should provide both customers and employees with the necessary education on cybersecurity issues. It includes:
- Creating passwords correctly.
- Virus detection techniques.

- Access management control (RBAC) and a constant rating of authorized persons in the system significantly improve the quality of security.
4. Risk management strategies and regulations
- A banking risk assessment should be constantly conducted and appropriate measures should be taken. Both external and internal risks should be assessed, including: cyber attacks, data leakage. Virus attack, financial fraud, etc.
 - Banking business should be prepared for changes in regulations. Especially such as GDPR, FATF, AML and other local and international legal acts. It is necessary for the bank to constantly check and update its own security standards.
5. Control of third-party services
- If the bank uses third-party platforms (e.g. cloud computing, payment systems), it is necessary to constantly monitor their security standards. An integrated audit will identify challenges and fraud at an early stage.
 - Monitoring of partner transactions. Fintechs should be used during transactions, which allow suspicious operations to be detected.
6. Data protection and information security
- Protecting users' personal information should be a priority. A low-risk (Data Minimization) policy should be developed to avoid collecting unnecessary information.
 - Disaster Recovery. If the bank is faced with a threat (e.g. DDoS attack, data leak), it is important to have recovery systems that can quickly restore all data and provide services without interruption.
7. Use of advanced technologies
- Blockchain technology is effective for verifying and reliably storing data. It provides a high level of security, as any data change is not allowed without authorization.
 - Computer vision and AI (Artificial Intelligence). The bank should use financial systems that provide automation of analytical processes. Artificial intelligence effectively protects user data and easily detects fraudulent transactions.

The economic development of Georgia depends significantly on the successful functioning of the banking business. A complex of measures must be carried out to create a reliable banking security system. Initially, it is necessary to assess the situation surrounding a specific bank. Analysis of the market environment at both the macro and regional levels, as well as at the level of partners and competitors. When assessing the social environment, many aspects should be taken into account: the political and socio-economic situation in

the country and the region, the forecast of the policy pursued by state management structures, the state of market infrastructure, legal basis, material, energy and labor resources, the criminogenic situation in the country, the price level, the competitiveness of manufactured products, the opportunities for establishing business contacts, the presence of real or potential competitors, etc. An important factor in the process of improving the banking security system is not only technological, but also human and organizational approaches. Developing integrated strategies that include technological innovations, internal security procedures, and raising consumer awareness not only ensures the effectiveness of protection, but also creates an environment where consumers have complete confidence in the banking system. Active monitoring of existing threats transforms cybersecurity measures into a solid and sustainable system.

References:

1. Otinashvili, Shota Veshapidze, Gia Zoidze, (2023), Impact of economic crime on the sustainable development of the state, Three Seas Economic Journal, Vol. 4 No.1, Page 10-17, <https://doi.org/10.30525/2661-5150/2023-1-2>;
2. Ramaz Otinashvili, Evgeni Baratashvili, Giorgi Otinashvili, Innovative Technologies - the Foundation for Safe Business Development, "International Scientific Conference on Innovation and Entrepreneurship" organized by Caucasus International University, University of Alcalá School of Entrepreneurship and Deggendorf Institute of Technology. February 9-10-11, 2024. <https://drive.google.com/file/d/1MN5A-eHyEt2rSY5vzGetpr-LsZ6RM39Q/view>, (p.22), https://drive.google.com/file/d/1LCB778KeGnr7LUKl_P7b27aVfcU3edRM/view (p. 61);
1. 3.. Otinashvili R., Veshapidze S., Gvarutsidze A., Abuselidze G., & Zoidze G. (2022). Modern Technologies to Overcome the Challenges of Globalization. Journal of Innovations and Sustainability, Entrepreneurship, file:///D:/RAMAZI-1/Scavla/KONKYRSI/Shromebi/Entrepreneurship_2_2022-23-33.pdf, (<https://is-journal.com/is/about/submissions>), CEEOL - Journal Detail), (Impact factor);
3. Chechelashvili M., Otinashvili R., Lagvilava T., PROBLEMS OF ENTREPRENEURIAL ENVIRONMENT OF GEORGIA IN THE FIELD OF SMALL BUSINESS, Eurasian Union of Scientists (ESU), Monthly scientific journal, 2018, No.1 (46), p.51-54
4. Otinashvili Ramaz, Gvarutsidze Akaki, Problems of ensuring the security of banking business, Tbilisi, GTU 2010.-94p.,

5. Otinashvili R. G. IMPORTANT ASPECTS OF COMMERCIAL INFORMATION SECURITY, [https://sci-conf.com.ua/iii-mezhdunarodnaya-nauchno-prakticheskaya-konferentsiya-european-scientific-discussions-1-3 fevralya, 2021, Rim-italiya-arhiv/](https://sci-conf.com.ua/iii-mezhdunarodnaya-nauchno-prakticheskaya-konferentsiya-european-scientific-discussions-1-3-fevralya-2021-Rim-italiya-arhiv/);
6. Otinashvili R., Vanishvili M., COMPETITIVE STRATEGY IN BUSINESS (UDC 336 (075.13)), The 4 th International scientific and practical conference "The world of science and innovation", November 11-13, 127-134 p. Cognum Publishing House, London, United Kingdom. 2020. 1007 p. ISBN 978-92-9472-197-6, <https://sci-conf.com.ua/wp-content/uploads/2020/11/THE-WORLD-OF-SCIENCE-AND-INNOVATION-11-13.11.2020.pdf>;
7. <https://www.recognisebank.co.uk/blog/best-practices-for-business-banking-security/>

Sustainable Transport System and Maritime Logistics ISTSML - 2025

Proceedings of the IX International Scientific Conference

Batumi, Georgia
June 24, 2025

Copying of content is not permitted except for personal and internal use, to the extent permitted by national
copyright law, or under the terms of a CC BY-NC 4.0 License.

Batumi Navigation Teaching University № 38 Tamar Mefe ave., Makhinjauri; Batumi; Georgia
E-mail: b.gechbaia@BNU.edu.ge, website: www.bnu.edu.ge

